# ცისკარი.

ქართული

სიტყვიერებითი

ჟურნალი

1852 წელს

მარტი

**№ 3.**

L'Aurore

N. 3

ПЕЧАТАТЬ ПОЗВОЛЯЕТСЯ

съ тѣмъ, что бы по отпечатании представлено было въ Ценсурный Комитетъ узаконенное число экземпляровъ.

г. Тифлисъ. Марта 1 дня 1852 года.

Исправляющій должность Ценсора *Кайтмазовъ.*

Въ Типографіи Канцеляріи Намѣстника Кавказскаго.

# ცისკარი

## ბაღჩა-სარაია.

პოლშურით

ჯერეთსა არს დიდი, გარნა ცარიელ.
სასახლე დიდთა ხან გირეითა,
ოდესმე გული თვამათ შუბლთაგან,
გარემე ეზო და დერეფანი.
დიდების ტახტზედ, ტრფობის სამცველოს,
ბებერა ქსელავს, და ჯხტების მკალი,
საშუალთ სარკმელთ, მკულთ ჭრელ მინებით
უკუჩ აღზრდილან გრძლად ბალახები,
ვითა კაც-ზედა ესრეთ ბუნება,
მოჯქმედობს აქა დაჯსწერს თითითა,
ვით ბალთაზარსა, დარღუწულება!
შუა დარბაზის, ტურფა აუზი,
მარმარილოსი, უცხოთ ნათალი,
მუნ შადრევანი ხანთა არამის,
აღმომჩქეფარებს, მარგალიტებად,
და თითქო ჯსტირის მშუწნიერთათჳს.
მაშა სადახარ, ჵი სიყუარულო?
ან უპატიო ან დიდებაო?
თუწნა გმართებდათ აქა დაშთომა
მისთვის რომ წყარო მსწრაფლად მდინარებს,
ჵი სირცხვილო თქუწნკი არღა ხართ
და წყარო ისევ არს დარჩომილი.

## პატოცკას საფლავი:

პოლშურით

გაზაფხულისა მხარეს საშუალ მდიდართ მტილთა,
და ჰსჭკნი ამად ჵი ვარდო, რომე ყამთა წარსულთა,
ვით ოქროვანთა პეპელთ, შენ მიერ განფრენილთა,
დაუტევეს თესლებად შენთა ზედას ყვავილთა,
ჭმუნის ჭიანი; რომელთაცა გრძობსრეს,
ჭაბუკობისა წელნი, დამიწასა დაგფარეს!—
ჩრდილოეთის პოლშის მხარეს ნათ ეჰენ რად ვარსკვლავნი?
ნუთუ შენისა თვალით სიმხურვალითა სავსით,
ჰსჭვრეტდი, ვიდრე იფარე სიკჳდილისა სამოსით,
და განჰკჳალე სიმწვავით პოლშადმდე ცაში გზანი!
პოლშის ასულო, მოვკვდები მეც ამ მწირობაში,
მხოლოდკი მოუჳსთ უტევე მფლან აქა საფლავში,
ხშირად მგზავრი დაიწყებს შენს საფლავზედ უბნობას,
მაშინ მეც მაცხოველებს მშობლიურ ენის ბგერა,
და მღერალი სამარეს შენზედ, იწყებს გალობას,
ნუთუ ჩემსა საფლავზედ ჩემთჳს მანც თქჳას სიმღერა.

გ. ერისთ.

ვოლკოვსკის სოფელს კუსინას. 1-ს აგვისტოს.

## გარემისა საფლავნი

პოლშურით

აქა ყურძენნი ტროფობის. ჯერეთ შემოუსვლელნი,
წარიღეს სატრაპეზოდ უკჳმ ალლახისათჳს,
აქა მარგალიტნივე აღმოსავლეთისანი,
ბედნიერების ზღჳიდგან, იტაცა ჭაბუკებად,
საუკანო სადათმან მიიღო ცივ სარეცელს,
და დაჰფარა იგინი და ვიწყების საბურველით.—
თავზედ ტურბანნი ცივხი მტილსა ოდენ ბრწყინვიან,
ვითა ბუნჩულნი ჰსჩანან ანაჩრდილთა, დიდთა სპათა,
დაშთენ მხოლოდ სახელნი გაურთ თითთგან ნაწერნი.—
ჵი ედემის ვარდნო? წმინდანო ვით წყარონო,
დღენი თქჳმნი დაცაჭკნენ მორცხობის ფურცელთ ქჳმში?

აწ საფლავსა თქჳენს თუალნი უცხო ქვეყნისა მგზავრის,
იქნებ შეურაცხს ჰყოფდეს იგი თჳსისა მზერით. . .
შემინდე რომ გავბედე ჵი დიდო მაჰმადათ,
მაგრამ უცხო კაცთ შორის ვჭჳრეტდი მე მხოლოდ ცრემლით.

### სიმღერა მაზურკის ხმა.

აგერ ცაში მზე ბრწყინჳალებს,
და განჰფანტა ღამე ბნელი
შუქი მისი შენსა ფანჯრებს,
ჰკოცნის ვითა საყვარელი!
აღსდეგ ტურფავ კმარა ძილი,
კმარა ტკბილით სიზმართ ზმანება,
ისმინე ფრინველთ ჟღივილი,
იხილე დღისა შვენება?
აღსდეგ ატკბე შენი ყური,
ვარდს ტკბილად დასტვენს ბულბული,
ტურფად დამღერს მოლაღური,
შორის ტყით ისმის გუგული?
მზისა სხივსა ოქროს ფერად,
დაუფერამს შენი არე,
მე მოვსულვარ შენად მზერად,
აღსდეგ ხილვით გამახარე.
აღსდეგ მნახე, თავს დაგიკრავ,
მოგიძღვნი ვარდისა კონებს,
შენსა ყელსა გულს მივიკრავ,
გარდგიკოცნი ლამაზ თვალებს.

ბ. ერ. ჭოლშა,

### სოფლისა მდურვა სიბერისათჳს თქმული
### დიმიტრი ბაგრატიონის მიერ.

ოდეს რა დაჰხსნა, ადამ მცნებანი, ჰმელ ჰყო მაღლისა შემართებანი,
ვისგან მიეცა ყოფა გებანი, მას უწყო კდომა კამათებანი,
ჰსწადდა უფლება, განღმრთებანი, სამებისა მის შემართებანი,
გამიტყდა ქნარი წინწილ-ებანი ველარ დავმღერე სოფლის ქებანი?

შოიმხრო გველთა მცბიერებანი, შემწედ ჰყჳა ეშმაკთ ძლიერებანი
ამაყად შექმნა ედემს რებანი, ცნობადს კეს ჰკადრა შეცახებანი,
მას ესხა მითჳს ხილად გრძნებანი, მოიღო ჰსჭამა სიკჳდილად წყებანი
გამიტყდა ქნარი წინწილებანი ველარ დავმღერე სოფლის ქებანი.

წამსავე მიხჳდა ნაცჳალ-გებანი, სამოთხით გარე გამოძებანი
დაჰკარგა ნებსით უკჳდავებანი, ღჳთის-მიმჰსგავსება მიბაძებანი
შერისხდა სულით მამა გებანი, შემოკლდა მისი დღის განგრძებანი
გამიტყდა ქნარი წილწილებანი.

მუნით შემოხდა კაცთა ვნებანი, ცოდჳათა მიერ დამონებანი
შური, მტერობა, მოყივნებანი, ამპარტავნება, ნაყროვნებანი,
ძმათა მკჳლელობა, განძჳნებანი, გულის-სურვება აღტყინებანი
გამიტყდა ქნარი წინწილებანი.

კულავ სოფლის ზრუნვა, ვაგლახ ვებანი, ჭირნი, ჭმუნვანი, მოწყი-
ნებანი,
განსაცდელთ მოსვლა, მოვლინებანი, საბაოთ კმათა მოსმინებანი,
ღმობილთა გულთა, მოტკივნებანი, თჳალთაგან ცრემლთა მოდი-
ნებანი
გამიტყდა ქნარი წინწილებანი. . . .

მით შეიცჳალა, ზეგანგებანი, წამისვე ყოფა მოგონებანი,
ზომით ჰყჳანა ჩჳენთა დღეთა გებანი, სამოცდ-ათს წელს
მოდღევებანი,
უმრავლეს შრომა, რუდუნებანი. არისო გჳტყვის ფსალმუნებანი
გამიტყდა ქნარი წინწილებანი. . .

მეც მით მეწია, დღითა აღვსებანი ბუნების წესთა აღსრულებანი
მითხრეს არისო, ღჳთისა ნებანი, ნუ გეწყინების მოხსენებანი
ნობათით გსვდაო მხცვანებანი, დასრულდა შენი, მხნოვანებანი
გამიტყდა ქნარი წინწ ილებანი

მაშინ დამიწყეს თვალთაკლებანი, ყურთა დამძიმდენ მოსმინებანი
წამამიხდა პირის ფეროვნებანი სანახობა, ჰაერნობანი
გამიჭაღარდენ წვეროვნებანი ამით დამეტყო ბეროვნებანი:
გამიტყდა ქნარი წინწილებანი:

კელ-ფერხთა თითოოლა წელთ-მტკივნებანი, შემიქნეს კბილთა მოცჳვნებანი,
დავჰკარგე პირის გემოვნებანი, ვითალა ეგოს მოპოვნებანი,
ცუდ-მექმნა შემგბართ შენელებანი, თუ ვჰსჭამ არ ძალმიძს მონელებანი,
გამიტყდა ქნარი წინწილებანი.

გამიკრთა ძილი, მოსვენებანი, მომწყინდა ლოგინს ცუდად გდებანი.
მელანდვის ღამის მოჩუენებანი, მაშინებს დღისით მოსვენებანი,
მესწრაფის რიჟრას მოთენებანი, აღდგომას მშილის მცონარებანი
გმიტყდა ქნარი წინწილებანი, ველარ დავმღერე სოფლის ქებანი:

მეფის-ვახტანგისგან.

მე უმცირესმან ძმათაგან, ვახტანგმან სახელ-დებულად,
ვჰქმენ ოთხ-წელ მცხეთა ურიხისა, სადგურ-კამარა გებულად:
ტფილისის სიონ კელ-ახლა აღჳმართე ქანდაკებულად,
ჩემ-თჳსცა სახლი სარკისა, შიგლხინი მოწონებულად:—

სტამბა მოვიღე ვლახეთით ვამრავლე წიგნთა მელანი,
ქციის რუ ხუნარ წავიღე გაღმითად მოვრწყე ველანი,
მამავრის რუ ხომ ტბას შევრთე შიგ თევზი შავჰსხით ყჳელანი
ესე მთა მოვინადირე, ვჰხოცე ირემი მშველანი:—

სამართლის-წიგნი დავჰსწერე, მსაჯულს არ უნდა ცილობა,
ვეფხის-ტყაოსნის თარგმნობა. სხჳა წერილთ არ ვჰსთჳა ცილობა,
ჩემთანა მყოფთა ჭაბუკთა უქმნია კარგა-ზრდილობა,
ბოლოს? მიმიღო სოფელმან სიმდიდრე მეფეთ-შვილობა:

—

ძჳელთა და ახალთა საქართჳელოს მელექსეთა სახელნი შაირად ნათქჳამი მეფის თეიმურაზ პირჳელისაგან.

სხჳას ლექსით ჩახრუხაძემან შეამკო მეფე თამარი,
არ მებრალების საქებრად თამარი მისი ჰკამარი.
ვაჲ ამით რომ სრულ ვერ ჰგუო, მალე უთხარეს სამარი,
მუდამ სხჳას წიგნებს ვიკითხავთ მაგრამ მისიცა სამარი—

როსტომიანი უთქჳამსო თურმანის ძესა ხოსროსა,
სხჳა წიგნი მაშინ ძვირობდა დაუწერია რას დროსა,

დიდის საქმისა უცოდნი ჰსჯერდება საქმეს მომცროსა,
ახლა ცუდად ჰსძევს მაგრამე, მოიხმარება მის დროსა,
ნანუჩას რუსთველის ნათქჳამში ბევრი რამ გაურევია,
საბრალოს ვერ შეუწყვია, წმინდა რამ აუმღვრევია,
მისთან რას ჰსწერდა მისს ლექსსა სირეგჳნე მას მორევია.
ჯაგლაგსა ფალავენის შვილსა არ-ვინ ათხოებს ყურსაო,
მას ვერცხლი დაუმსხვრევია და ვეღარ დაუყყურსაო,
სულ მელექსენი შევჰყარე მაგრამ ამ ორთა მშურსაო,
რა დავაბრალო ჯაგლაგსა ვერ მიჰყჳფს ბედაურსაო:
ქაიხოსრომან შიგ ჩართვით ლექსად ჰსთქჳა ომანიანი,
ომანის სიმხნე სიქჳფლე ჯაჭვის ცმა მოენიანი,
კარგად რამ უთქჳამს მის გამო არა ვჰსთქჳა მისი ზიანი,
ყჳავილშიც გამოერევა სულითა ქუფრად რიჰანი.
ფარსადისა ძემ ნოდარ ჰსთქჳა, ქება კარგა ბარამ გჳრის,
შვიდთ იყლიმთა კელმწიფეთა ხოტბა სრულის არაგჳრის,
თჳალნი თლილნი მოაფრქჳვნა გარეკა ჰყო არ აგჳრის,
მის ლექსისა სასმენელად მიპყრობა ჰკამს კარგა ყურის,
გარსევან ჩოლაყას შვილსა უთქჳამს რამე რაებია,
კიტრი ხილად რაღას ვარგა ვაშლი მოვა რაებია,
ესევე ჰსჯობს რაც მასმია, მისგან მონახსენებია,
გული კჳდება ნარგიზთათჳს თჳალნი გაუსტერებიათ:—
სულხან ვინ თანიას შვილი მეც, მახსოვს იყო ჩემობას,
ცოდნა მას ჰქონდა ბევრი რამ, მაგრამ ჰსწამობდენ ჩემობას,
ამირან-დ. რეჯანის-ძეს უქებდა გამომჩჳფნობას,
თუმცა კარგა ჰსთქჳა მაშინცა ნუ ჰგონებ რუსთველის ოდნობას:—
ბარძიმ ვაჩნაძემ საამის წიგნი გალექსა ოდიშსა,
სხჳას მელექსესთან ჯდომაში უკამს იხდიდეს ბოდიშსა,
თუ არ შეეძლო რასთჳს ჰსთქჳა: გაიხდის სამას ბადაშსა:—
შემოქმედელი იაკობ, ვახსენო ბრძნად მოუბარი—
ამ ჟამად მას მეცნიერი არსად არა ჰყავს უბარი,
საღმრთოს სიტყვითა შაირობს არას საეროს მგმობარი,
სრულად ამისთჳს არ ვაქე რომ იყო ჩემი მკობარი!—
ფეშანგი ფაშჳ ბერტყაძემ ახლა ჰსთქჳა ფირმალიანი,
სომხისგან კარგად ჩაავდეთ ხიმძიმით თჳთ ლიტრიანი,
გებრალებოდესთ საბრალო ცხვირ-მოჭრით თჳალ-ცრემლიანი,
მე ვათქმევინე მაგრამე ვერა ჰსთქჳა მართალიანი:—
სხჳათ მელექსეთ არ ვახსენებ არც ბაკა დოლიძესა,

არც დათუნა ქვარიანსა, შოთას რად ვერ წაბაძესა,
რუსთჳელმა ჰსთქჳა კაცის კაცად, საქმე რამე დიდი ძესა,
ჰხედავთ გარსკჳლავთ სიმრავლესა ვერ ედრება შუქით მზესა-
ქართჳელთ ენითა მელექსე ვერ ედრებიან ამ ორსა,
რუსთჳელსა ენა რიტორსა მეფესა ალვის ნამორსა,
ერთმანეთს რად ვაბასებთ უკამს თუ ჰყოფდენ ამბორსა,
სრულად იტყჳან უკლებლად ჰმბავსა სპარსთა ნამჭორსა,

## პეტრე ბაგრატიონისა თჳს სიტყჳა.

არა არს სისრულე, სოფელსა ამას შინა!
არცა სადამე მტკიცე ბედნიერება,
ზენა არისა, მადლის განგებულებით,
ქჳეყანა ესე ჰკრწნილების ქჳეშე ვრდომობს,
რასაცა მას შინა მიჰსცემიეს, დასაბამ,
თანა-მდებ-არსცა ნამდვილ შემუსრვილ ყოფად,
ჩჳენ შორის თაცა წადილთა დასასრული,
იფარვის ჩჳენგან, იმიერ საფლავისა,
გარნა საზღვართა საუკუნისათ.
ჰბრწყინავსაცა უკჳე საუკუნო ნათელი,

ყოვლად უწყალო, საზარელი სიკვდილი,
არა მექონი გრძნობათა, არცა თჳალთა,
რასცა შეხჳდების, ყოველსა უკჳე მოჰკჳეთს,
ვერც სიჭაბუკე, ვერცა მშჳენიერება,
ვერც სიმამაცე, ვერცა გონიერება,
ვერცა მრავალთა წელთა გამოცდილება,
ვერც ელჳარება, ბუნებისა ნიჭებთა,
ვერცა სიმრავლე, კეთილ მოქმედებათა,
ვერცა რაჲ სხჳა დამაბრკოლებლობითი,
ვერ შემძლებელ არს შეპყრობად გზათა მისთა,

არა გუშინ ოჰ? არა გუშინ იყოა?
რტო ჩინებული ივერიის მეფეთა,
კავკასიისგან ალერსობით აღზრდილი,

ერთ-გულ შემსჭჳალვით ჩრდილოეთის არწივის,
სადიდებელად, თანა-მშრომელ მოღვაწე,
და სარწმუნო ძე, როსსიის მამულისა,
ბაგრატიონი, არა გუშინ იყო?
როსსიის სპათა მჴნედრე წინა-მძღომარე,
რომელიც უკჳე უშიშრითა სიმჴსწრაფლით,
განაკჳრვებდა ყოვლისა სოფლი ს სივრცეს,
ოჳ არა გუშინ, იყო თხემთა ზედა,
თოვლ შემსილის ალპიისა მთისათა,
რომელ იგი მუნ, გმირულით მორბედობით,
მჴსგავსად კანჯართა, შიშთარე მძრწოლარეთა,
ამლტოლვარებდა, თჳისისა მეფის მკჳლელთა,
და პოხიერნი ველნი ნაყოფ-მდიდარნი,
ბორმიდისა-ტერფების და პოსანი,
მკჳდართ სხეულთაგან სრულიად დაფარულნი,
საქმეთა მისთ ქებად შეუთხზვიდენ,
და თავსა მისსა გჳრგჳნსა დაფნისასა!
არ გუშინ იყო რომელ ძჳელად ცნობილის,
დუნაიისა, მდინარის კიდეთ ზედა,
განსაცჳფრონი, შემუსრნა სიმაგრენი,
და ბნელ მყოფმან, მთოვარის ელჳსამან,
აღზჳაებულის აგარიანთა თემის,
გარდარეული, იგი ამპარტავნება
დაამდაბლა რა, მჴსწრაფლ მომდორებულ-ჰყოცა,
და თჳსებანი, სახელოვან მყოფნი,
ბრძოლათა შინა განმჴკცოვნებულის მთავრის,
გამოაცხადნა წინარე მჴკცოვანების,
არა გუშინ იყო? იგი ვერცხლ-უყჳარული,
რომელ ნიჭებულთ მონარხის უხჳებისაგან,
ოქროთ სიმრავლეს მხიარულთარე გულით,
ყოველ მთხოვთა ზედ განსცემდის დაუზოგველად,
არ გუშინ იყო, რომელ მისთა მეგობართ,
მათ თჳს განხმულსა მზას საუნჯესა შინა,
გინა შეწევნა, ანუ განსჳენებაჲ,
გნუცხადებლად და საიდუმლოდ დაცჳთ,
აღურიცხჳელად, თჳნიერ უჳედრებისა,
აღსავსედ აქჳნდათ მის შორის მოპოებით.

პალატთა შინა მეფის წინაშე მდგომი,
და თანა-სწორთა თჳსთათანა მგებარე,
ბანაკსა შინა, ველსა ზედა ბრძოლისას,
გინა საშუალ, მეგობართაცა თჳსთა,
მარად მარტივი, და მარად გულ-განხმული,
არა გუშინ იყო? რომელ მაგალით-ყოფით,
გჳმომძღჳრიდა იგი კეთილ-წესიერებას,
ჭეშმარიტებას მამულის სიყუარულსა,
განკარგულებას, მორჩილებისა დაცუას,
და შედგომასა, სახიერებისასა,
არა გუშინ იყო? რომელ მოსკოვ წინაშე,
ძლიერმან ამან როსიის მამულის ძემ,
მჴედრობანი რე კადნიერთა მტერთანი,
ვითარცა ვეფხვნი, მძჳნვარებით აღნავსნი,
განმზადებულნი, და სარღუმველად მისად,
და სიმამგითა, ფიცხელად მისეულნი,
ას გზის ვიდრემე, უკუნ-აქცივნა რისხჳთ,
დამქადებულმან, მათდა აღსპობისამან.
ნუ თუმცა უკუე ერთიღა ოდენ წამი,
გარნა; დარჩება ჟამმან სიკუდილისამან,
ჭკშირის დასითგან აღბორგებულის მტრისათ,
ტუჯასა შინა დაფარული სიკუდილი,
გამოხდა მკუახედ, უმკსწრაფლესის ფრინვითა,
და ოჳ განაქარო, საჩინო იგი გმირი!
მეისულ დაბნელდა, არწივებრივი ხედუა,
მყის განიყინა აღდუღებული სისხლი,
განვარდა კელით მკუეთრი იგი მახვილი,
რომელი მტერთა, სიკუდილსა ასტუმრებდის,
სრულიად სპანი, შეიპყრა მწუხარებამ,
დალურიან მწარედ ცსართა ცრემლისა ღურთა:
ჵე ქსრეთ, ქსრეთ, გმირი იგი არღა არს,
დარღუულ-იქმნა, შედგმულება მის შორის,
ვითა მტუერ-იყო? ეგრეთ მტუერადცა მიიქცა,
გარნა ცხოველ არს, სული იგი უკუდავი,
წიაღსა შინა, თჳსის შემოქმედისას,
განისუენებსცა რიმნიკელისა თანა,
ორთავე ამით მგზნებარე სიყუარული,

როსსიის მიმართ არა სადა არს გამქრალ,
არამედ უფროს, ნათლად და უწმინდესად,
გულავცა ცნობების მისდავე სასარგებლოდ,
ბაგრატიონი, ნამდვილ არღა სადმე არს,
ჩუჱნ თჳსრე სატრფო, დაგუშთა სახე მისი,
თუალთაგან ჩუჱნთა, საუკუნოდ იფარა,
გარნადა ნაცჳლად, და გაუშთა მისი სახელი:
დაგუშთა ათასი საქმე და მაგალითი,
მამულისადმი მჴსახურებისა მისის
ფრიად საქები, ფრიად სადიდებელი,
აჰა ესე არს თესლნი ყოვლად კეთილნი,
რომელნი ნაყოფთ, ზოგად სასარგებლოთა,
გამოიღებენ, ასეულად ბევრ-წილად,
ვინცა იხილავს მსუბუქსა ამას ძეგლსა,
კიდესა ზედა, წყლისასა აღმართულსა,
გრძლად და საშთომლად, ქჳსგან გამოკუჱთილის,
მდგომარე შორის, შექმუხვნილთა აგარაკთ,
დაგრილებულსა, აჩრდილთა მათთა ქუჱშე,
და წარიკითხავს, ტაძარსა ზედა ამას,
(აქა მდებარებს, მტჳრი ბაგრატიონის.)
მყისუე შეიმოსს დიდების მიმართ ფრთეთა,
და შეიქმნების, თჳთცა ნამდჳლად გმირი:

ალექ. ახვერდოვი.

გაგრძელება მოლანურის მოთხრობისა.

ნეჯა ქინ ალლამასინ დაშ ბიგუნ.
ქესელიბთ ეთმიშ-ექი ბაშ ბიგუნ
როგორ არ უნდა ქუაო იცრემლოს სისხლით.
დღეს მოიჭრა სამოცდა თორმეტი თავი

მაგრამ ისკანდარ არ ფიქრობდა მოჭრილი თავებისთჳს; უსუფმა იმ ანბით ახალი თავი გამოაბა, ნათელმა აზრმა, ჩადრ წამოსხმულმა ნახოს თავის საყვარელი, გაუნათლდა მას გული; მე მივდიოდი სჯულიერის გზით, ამბობდა თავისთჳს, დ იმან მიმიყვანა უფსკრულადმდე. ახლა მე მივალ ბილიკებით როგორც იქნება, ახლა ყოველი შეკრულება არის გაუწყვეტული, მე არა მაქვს დანაშაული, მაშ შეიტყოს ფეთხალიმ თუ რა არის განღვიძება ვეფხვისა, დ იმისი გაჯავრება, უპატიოებით მოტაცებით, ყოველით მზათა ვარ ვიპოვნო გამოვგლიჯო ჩემი ქიჩქინე, დიახ, მე ჩავიცვამ ქალურად, დაუმტკიცებ რომ არა ვარ ბაშვი; ამაღამდელი დღესასწაული მიმახლოებს; დღე გზა ხანჯბლებით იყოს მოკირწყლული, გაუგონებელ მუსულმანთ შორის ვიქმ თავხედობს განა ასეთი არარის ჩემი სირცხვილი, ჩემი სიყვარული? ესრეთ ჰგონებდა, უმჯობესად ვსთქვათ უგუნურებდა; ამზადებდა ქალურს ტანისამოსს, გაიზომა ტანზედ ჩადრი ნაყიდი საცოლესათჳს, დ სწავლობდა წამოსხმას, ნელა სიარულს, წვრილის ხმით ლაპარაკს, სალამოზედ იმას შეეძლო, წამდგარიყო უსეინის ხათილში ყველაზედ უკეთესად, სურმა დ სიბნელე ღამისა დანამთენს დაჰფარავს, ფიქრობდა ისა, მაგრამ ეშინოდა თავის ნუქრის სიტყჳსაგან ამისთანა საქმეში, იმან გაგზავნა ცხენების საძოვრად. გულის თრთოლით ელოდა ღამეს; მაგრამ დღეს არ უნდოდა სიკვდილი, როგორც მდიდარ ბიძას, დასასრულ ზორის, ბარაბანის ხმამ მიულოცა იმის გულს, მაშხალანი ნავთით აენთნენ ქუჩებში დ შეერთდნენ მეწამულითა კომლითა განთიადებრ, მალე იქნება დრო; ისკანდარი ჰსცურავდა მისთჳს უცნობს ოკიანში, ეძებდა ახალსა ქვეყნის ბედნიერებასა რომელიცა ახალს კოლუმბსა ეხატებოდა გამოსატვითა სავსე საუნჯითა დ ალტაცებითისა უცხოითა; მაგრამ თუ რომ ეკითხათ იმისთჳს რა აქვს დასამტკიცებელად რომ აღუსრულდება თავისი განზრახვა რისთჳს გამოიჩია, ეს გზა რომ ნახოს ქიჩქი-

ნა; იმან არ იცოდა მიეცა თავის თჳს ანგარიში, ანგარიში არ არის მოგონებული მიჯნურთათჳს:—

გაიშავა წარბები რომელიც უგანასკნელი მოდით იყო, შეერთებული როგორც ხიდი ორივე ყურებისა. და დაიკრა ღოყაზედ ორი ოქროს ვარსვკლავი, ისკანდარმა გაირჭო ატლასის ქათიბის ქვეშ, დანბაჩა, დაიბურა თავზედ ლეჩაქი, გაეხვია თავიდამ ფეხამდის თეთრ ჩადრში და წავიდა ქვემო მაღლისაკენ: და დაიმალა ქიჩქინეს სახლის კუთხესთან, იმან დაიცადა ვინამ არ გამოვიდა ორის ამხანაკებით, და გაჰყვა შორი ახლო ასე რომ არ დაჰკარგვიყო, თვალ წინ, მოედანი იყო სავსე ქვეითით და ცხენიანით მონები იყვნენ სავსენი გროვა ქალთაგან; დრამა ჯერ არ დაწყობილი იყო; ახლოს ამაღლებული ზეიდის ტახტად, დაიწყო წინა სიტყვაობა მოლა სედექმა, და ორნი მოლანი უდგნენ გვერდით მოძაბლოთ. რომელიცა ნიშნად გრძნობიერებისა უყვიროდნენ ხალხს, როცა საცოდავ ალაგს აუწერდა მოლა სედექ, რატომ არა ტირით, იტირეთ! პასუხად ამისა მაღლიდან და დაბლიდან ისმოდა საშინელი ქვითქვითი; მერე ენა მშვენიერება განსუსტდა შორის ჴალხის ბზულისა, თითქმის ციებიანმა მიირბინა ისკანდარმა შემდგომად ქიჩქინისა, ვიწრო კიბეზედ სხვის სახლში. და ხშირათ შეეხებოდა სხჳათა. ქალთა, ბანზედ. იმ ბანზედ ასამდე დედაკაცი ზოგნი ისხდენ ზოგნი იდგნენ, ზოგთა ჰსჩანდა სახე და ზოგთა არა: ქალები უსალმიდნენ, ჰკოცნიდნენ ურთიერთსა: და ლაპარაკობდნენ, დაუყოვნებლად, იცინოდნენ გაუწყვეტლად, იმათ ეცვათ უკეთესი ტანისამოსი; ეკიდათ ოქროს ვარსკვლავები და ფულები და იმა ყოველთა სიმდიდრეთა, არ დაივიწყებდნენ ეჩვენებინათ ნაცნობთათვის, გაიშლიდნენ ჩადრსა:—

ისკანდარი უცნობი ჭაბუკი შევარდნილი სიმგრგვლესა საშუალ ლამაზთა ქალთა, რომელსაც არ ულაპარაკნია თავი დღეში, თუ არ ბებრებში და არ უნახავს ლამაზი პირი, თუ არ შორით. ის ყლაპამდა თვალებით, უგდებდა ყურსა და გონებას რომ გაეგონა იმითი ლაპარაკი, რომელიც ურთიერთ შორის ქალები არიან ძალიან დაუფარავნი:—

« ახ გენაცვა ქალო, ეი ჯან ჯუვან, როგორი ლამაზი ბალი გაქვს; ჩემი ძვირი ზინზილში იყო და მოიტანა აბრეშუმის დუშაყი. მართალია ოქრომკედით არის დაწნული მაგრამ რას გამოდგება იმას ვერ ჩაიცვამ, ვერც მჩითში, ვერც აბანოში:—

არა ჩემი ქმარი ყინიანია, მაგრამ ჩემთჳს კი არა შერსრა, მაჩუ-
ქა ბევრი ნივთები, ამისთჳს რომ არ დაუშალე ზაფხულის ჩვე-
ულება ზამთარში:— გაიგონე შენა ფათმა ხანუმ; რომ ჩემა
ბებერმა ეშმაკმა ბაქოში სხჳა ცოლი შეირთო, მე ვტირი და
ისკი მეუბნება; განა მე იქ უფლაოთ ვიცხოვრეფო? შვიდ მთას-
მდინ უნდა იყოს ქმარი ცოლის ერთგულიო. შახუსეინ ვაჲ-
უსეინ! განა ის რომ შვიდ მთას გაივლის ჩემიდან კი შვიდი
არ იქნება? მე კარგა გადაუხდი, სხჳა ცოლს ირთავს, და თი-
თონ ჯუმა ახშამი კვირის კანონს არ ინახავს, ასეთი უსჯულოა.—
მართალია, როგორ გენაცვა, მართალი არის? რუსეთის ქვე-
ყანაში გამოვიდა უქაზი რომ ქალებმა ჩვენსავით თუმანი უნდა
ჩაიცვან? მე თითონ ვნახე, რომ აქაურმა ნაჩალიკის ცოლებმა
დაუტევეს გაარისხონ ალლახი, ჩაიცვეს ასეთი თეთრი შალვრე-
ბი. დროც იყო რავდენჯერ მინახავს გორაზედ რომ მიდიოდ-
ნენ ქარი შემოუბერავდა... საუცხოვო ვეჯიბეთი მომეცი შაქარ
ხანუმ. ათასჯერ გმადლობ ტანი იმისგან ატამსავით ჰხდება,
ასმათ ხანუმმა ტოლმის გაკეთება არიცის სულ არიცის; ქორ-
წილშიაც რომ ჭამო, მწარეთ გეჩვენება, არამთუ დამარხვაში...
მოკვდა თითონ არის დამნაშავე, სხვასთან იცოდა სიყვარული
უნდოდა ბოლოების დაჰფარვა ჰსცოდნოდა, თორე ქმარი რაკი
კარზედ გავიდოდა ის მაშინვე სტუმრად, დამერე ფარნით, გა-
ნა სასიკვდილოდ დაჰსჭრა? ხანჯალმა იქით გაუო წვერი ჯანიმ,
იქავე აზრაილს სული ჩააბარა.. მაშწყინდნენ ჩემი ბაშვები ბაჯი დაო
გაიზარდნენ მაინც პატარა ასეთი წივიან რომ თავს მიხეთქენ.—
ოხ. დაო. პატარა შვილებისაგან მტკივა თავი: დიდებისაგან გუ-
ლი გადმეკიდა მეშიდი მიყიდე და მიმყიდე ცოლიო განა ცოლი სა-
ლამურია, ძალიან დაძვირდა ეს ფარჩა საიდან მოვიტან მე ფულსა აი
ვაჲ, როგორი სირცხვილია სომეხთან ტოლმაჩთან მუსულმანნი
და რუსები არ ეყოფოდნენ, უკეთესი სომეხი ორ ნაჭერი ზერ-
ბაფიც რომ ზედ დადვას მეოთხედ ცოდვათაც არა ღირს; საუც-
ხოვოა, ჩოხისპაითელერ, ჩემო სულო და ძალიან სუმბუქიც
არის, ის ასოს ჯიმსა ჰკავს მე მგონია ასეთის სახით
მრთელ ანბანს გავარჩევდი, ძალიან მსწავლულია ჩემი ქმარი;
ოხ ნუ მამაგონებ დაო ჰსწორეთ მაგისთანა ყინიანი იყო
ჩემი ქმარიცა, ჩემ პატარას რაკი დაუწყებდა ჰსწავლებას ის
ღუღლუღებდა ღმერთმა წელი არ გაუგმელა თორე
აქამდის კითხვას ასწავლიდა; ხმამან ბაშლიადი, ბაშლჲადი,

დაიწყო! გაწყვიტე ეს ლაპარაკები, ეზეითი წითელის გაზით მწვანის ჩალმით იჯდა უჭუჭ ტახტზედ; მარცხნივ ცოტა ძირს ღმერთმა უწყის რომლის მოთხრობიდან იჯდა ევროპიელი ელჩი ფანტასტიკურის მუნდირით რუსულის გამოჭრითა. სამკუთხიანის შლაპითა, დიდის სულთახითა ევროპიულის ჴმლით, და დეზებით, მასლობელნი ეზედისანი არაბის შთამამავლობანი თეთრის ჩალმებით გარე ერტყნენ ნახევარ მთვარისაებრ:— ევროპიულს ელჩობას, თამაშობდა უსუფ, მაგრამ ის შემოჭირებული დაუჩვევარის ტანისამოსით შხირად იბლანდებოდა პორტუპეიში და დეზებში ხშირად ისწორებდა შლაპას, რომელიც სეირნობდა იმის მოპარსულ თავზედ, იყო ასეთი სასაცილო რომ მგონია ვერავინ მიიზიდა ევროპიელი გამხდარი იყო, საშინელმა იმის ცხვირმა და მეტადრე საშინელმა სულთანმა მამლის და ფარშევანგის ბოლოსაგან მოახდინეს ქალებში საშინელი ბაასი:—

შახ უსეინ. ვაჲ უსეინ, დებო შეიხედეთ ისრა პირუტყვი ზის, მარცხნივ წყეულის ეზიდის მხარეს: დაიყვირა ერთმა ხათუნმა, ქა ეს ლომია უთხრა მართლის გულით ახლოს მჯდომმა ქალმა, ოსმანთ მწვალებელთ ხალიფებთან ყოველთჳს ჰყვარულობდა მშვინარე, პირუტყვი, ვისაც გაუწყრებოდა მაშინვე იმას მიუგდებდენ შესაჭმელად: ლომი ხომ ლომია უთხრა მეორემ მაგრამ ეს ის არის რომელიც ტიროდა უსეინის საფლავზედ; ეზეიდის სამსახურში კი არა, პლუტმა ჩაუშებმა ნახეს რომ მწუხარებდა ჩუმან იმამსა და მაშინვე დაიჭირეს, გესმით გესმით ეზეიდ ეუბნება იმას, მიიღე ჩვენი ჰსჯული, და ისკი მარტო ცხვირს იწმენდს, ეს ნიშნავს რომ იმას არუნდა:—

როგორი ლომია დაცინებით, სთქუა სხუამ: ეს ფრინველია, რა საკურველია ფრინველი? უპასუხა იმანვე, განა ფრინველს ბოლო თავზედ აქუს, ეს ფაფარია, დიაღ ჰსწორედ ფაფარია... ფაფარი სულ არარის, ეს არის ქოჩორი თუთიყუშისა. ეს თუთიყუში უთუოთ ეზეიდს მირზად ეყოლებოდა. ჰსედამ ხალიფა როგორ უალერსებს და ის ფრინულად უყიყინებს:—

ქალო შენა ხარ ჰსწორედ თუთი ყუში,
დაო შენ სწორედ ლომის პირი გაქუს

შექმნათ ბაახი, ზოგნი ანბობენ ლომია, ზოგი თუთი-ყუ-ში, უსუფის წითელმა ცხვირმა მისცა ჭაზრი თუთ-იყუშის შემგზავსებისა; რომელთ მხარე იყო უმეტესი. ზოგნი ანბობენ რომ იმ ფრინველს თავისი ცხვირი აქუს, ზოგნი რომ ჩამოცმულიაო; საბრალო უსუფი რომელიც არა გამოიხატევდა რომ მისი კაცობრიობის ცხვირი, იქნებოდა იჭვ ქჳეშე, ეუბნებოდა ქების შესხმას ეზიდს.—მეფემან ჩემმან, ბრძანებულმა ფრანკის ტანისამ ( ესრეთი ჭაზრი იყო ) მოისმინა გამარჯჳებანი თქჳენნი, წარმომავლინა თქჳენდამი რათა გთხოვოთ მასთან შერიგება და მეგობრობა.— ეზიდმა მიუგო რომ ჯერ იმის თჳს არა ჭსცალიან ღორის მჭამელებთათჳს, რომ ის უბოძებს მშვიდობასა და დროს მოსანანებლად; მაგრამ თუ არ მიიღებენ შექოზიზ ქითაბ უეჭველს წიგნს სჯულად, მაშინ ის გამოუცხადებს ჯილდოდ ომსა სჯულთათჳს და დაიწყებს წესურს კვეთას თავიდან.— ამავე დროს სამხიარულო ანბავი ხალიფას სარდლის გამარჯვებისა უსეინზედ, მოვა ერთად ტროფეითურთ; კონა ისართა, ხმალთა, ჯავშანთა, ტომრები ნაალაფევითა არიან, განფანნტულნი ფეხთა ქვეშე ეზიდისათა; მოიტანენ სინზედ უსეინის თავსა; აი მსვედრი მისი ვინც მე არ მმორჩილდება ამპარტავნებით ეტყვის ხალიფა, და წიხლ ამოკრული თავი გაგორდება კიბეზედ. ეს კაცი იყო ნათესავი მახმადისა, უნდოდა ხალიფობა, მრავალნი უწოდებდნენ წინასწარ მეტყჳელად ლოცვის შემავედრებლად, იმამად, ეხლა რა არის ესე, მტვერია ფრანკის ელჩი გაბედავს კითხვას, განა იმათში წესია, თავის ჭრა წინასწარ-მეტყჳელისა? ცრუ წინასწარ-მეტყჳელისა- მრისხანებით მიუგებს ეზეიდ. იმაზე შეიძლება დავერწმუნეთ ჭეშმარიტი თუ ცრუ წინასწარ-მეტყჳელი იყო იტყვის ფრანკი:— უსეინის თაო, ეტყვის ის მოჭრილ თავსა აცმულს შუბზედ აი თუ შენ ჭეშმარიტათ სარგებლობდი მუსულმანთ ღმერთის სიყუარულით და თუ სარწმუნოება რომელსაც შენ ჰქადაგებდი არარის სიცრუე, მაშ მითხარ მისი სიმვოლი. მე ქრისტიანე გეფიცები მოვიქცე მუსულმანად, თავი განაღებს მომკჳდართა ბაგეთა ლოცვა ლია ილიალე, ალლახ, ლა იე, ემლედე, ენნა მუხამედ რესულ ალლახ საყვირით მოისმის ხმა ჭერში, განცვიფრებული მლეული სასწაულითა ევროპიელი დაეცეთა პირქვე, და იტყვის მუსულმან, მან მაგიამ, მე მუსულმანი ვარ მაგითი ვარ, შენ სულელი ხარ! ეტყოდა ეზეიდი განრისხებული

იმა გაბედაობისათჳს მაგალითისათჳს შენ ღირსი ხარ დასჯისა; მოსჭრით თავი! ჭკუა უსუფი რომლისათჳს ასე ადვილი იყო ჯდომა სკამზედ, ვითა ცხენზედ, განსაკუთრებით დატვირთული თავი ღვინის ორთქლითა არ მოიცადა შემჭოკვრა გაგორდა პოლ-ზედ. დაცემული ფრანგი გაათრიეს და გამოცჳალეს გატენილის განგებ გაკეთებულის თავმოჭრილის გვამითა, და მოჭრილმა თავმა იწყო სიმღერა ლექსისა უსეინის ქებისა;—

ამ ხმიანობაში, ისკანდარ მიუჯდა გვერდით ქიჩქინეს; სული შეუგუბდა მხიარულებისაგან, გულსა ზედა გარდაესხა ჯუსხნელი ტკბილი ალი. ის იყო გვერდით საყუარლისა შეე-ხებოდა მას, ჰგრძნობდა მისის ლოყის სიმხურვალესა იმის საუნთქვის სურნელებას. და ის იყო მუსულმანი ეს არი ეხლა შეუსრულდა ოცი წელი, იმან ვერ მოითმინა შეცდომილებისგან როდესაც ქიჩქინე წამოდგა რომ კარგათ ჩაჰხედოს ძირს და-ებჯინა მის მუხლსა, ქიჩქინე! უთხრა ისკანდარმა, ადექ მე ორი სიტყუა მინდა გითხრა, ადგა და მაგრა მოუჭირა კელი:—

ქიჩქინე იყო სავსე ისკანდარის ფიქრითა; მას ეძებდა სა-შუალ მღელვარეთა ზღუათა, პირთა განათლებულთა ლამპარ-თაგან, იმედეულებდა შემოეყარნენ თუალნი მისნი თჳსსა თუა-ლსა ეზეიდი არა მიიზიდავდა მას, ეზეიდისათჳს, არა ჰფიქრობ-და დარწმუნებული, რომ ერთხელ მაინც კიდევ დაინახავს თა-ვის საქრმოსა, რომელიც პირველად გაახარეს, რომელიც ეხ-ლა წაართვეს უმიზეზოთ, ამა ყურად ღებამ მოიცუა სრულიად მაშა ვითარი იყო განცვიფრება და შიში: როდესაც ხმამ რო-მელიცა იყო პასუხი გულის მოგონებისა განუბგერა მას ყურ-ნი კივილი მოუგუდა მას ტუჩებში, იმას არ ჰქონდა ძალი და არც სურვილი წინა აღდგომობისა. ისკანდარმა გაიყვანა შორს ბნელ კუთხეში. ქალები ასე იყვნენ გართულნი ეზეიდისა და ელჩის ყურებაში, რომ იმათ არ უნდა შეშინებოდათ.—

მე შენ მიყუარხარ ქიჩქინე! უთხრა მან მძრწოლარესა ქალსა, ძალიან მიყუარხარ! ხედავ რა ვქენი შენი გულისათჳს რომ გნახო. შეგიძლიან მიუხდე რასა ვიქ. თუ შენ მეტევი ისკანდარობეგ მე შენ მიყუარხარ! ანბობ არა? საყუარელო—თუალნი ისკანდარისანი საშწვავად გამომხურვალებდნენ მარჯვე-

ნა სელი უჭერდა დანბაჩის ჩახმახს საბრალო ქალი თრთოდა სიმკრთალით მიმოიყურებოდა, თითქო უნდოდა რომ გამოეხსნა ვისმე. და თითქო დასწყევლიდა მას ვინც დაუშლიდა გაეგონა ეს საშინელი გარნა ტკბილი გრძნებიანი სიტყვანი ისკანდარ? დასასრული უთხრა ქიჩქინემ. ოდეს გაიგონა წკაპანი დამბაჩის ჩახმახისა; მე ვარ შენი მსხვერპლი, მხოლოდ ნუ დაღუპამ შენ თავს ნუ გამაუპატიურებ მე, ნება მომეც წავიდე. . მე შემოგევლებოდი გარე როგორც წელსარტყამი, მაგრამ შენ ხომ იცი როგორი კაცია ჩემი ბიძა; ხმიანი კოცნა მოისმა, ჰსწრაფი წუთი არის სიყუარულისათჳს მიცემული აღმოსავლეთში, მაგრამ ვითა სიზმარი იცის დასტიოს ათასნი ჩირდილნი; ათასნი შემთხვევანი; ოჰ არა ნუ მეტყვი მე დილის ცისკარსა, აზიზიმ, რომლი უნდა გიყუარდეს შენი მეტოქე; მაშ შენ თანახმა ხარ? განა თანახმა ხარ? უძვირფასესო ქიმათსიზ. ხვალღამ ვნახამთ ერთმანეთს. ყურავინ გაიგონა რა უპასუხა ქიჩქინემ, მაგრამ ისკანდარის სასეზედ გამოარჩეოდა:—დიახ, არ ვიცი როგორ გაატარა ღამე შემდგომად ამ შემთხვევისა მშვენიერმა ქიჩქინემ, მაგრამ ისკანდარ-ბეგმა დაიძინა ტკბილად დამალე.— არიან ცოდვანი რომელთაგან მალე და უტკბილესად დაეძინება კაცსა, ვინემ შემდგომად კეთილის საქმის მოქმედებისა: თუ თქჳენ გენახათ ისკანდარის ლამაზი სახე, განსვენებული ნარნარის მღიმარებითა, თქჳენ იტყოდით რომ თჳთ ხედავთ შეწმახვნილთა ოცნებისა უჴაეილთა გარე ხვეულს ჭაბუკისა შუბლსა:—

შემდგომად ორისა დღისა უსეინის დღესასწაულისა, ციხეს ნარიყალაში, კამენდანტისას იყო შეყრილობა ბეგთა, ვინაჲთგან იყო დღეობა კელმწიფისა.— ნუქერნი დაუზდენნი ელვარისა შეჭურვილებითა ატარებდნენ დაეჭირათ ცხენები კელში, დასახსტავი გროვანი იდგნენ, და ლაპარაკობდნენ შადრევანთან, თაბასარანელთა, უარა უაითალელთა და დერბენდელთა მფლობელთა, ზალა იყო სავსე სტუმრებით, კარებთან კომენდანტის დილბანდი რაღასაც ანბობდა სიცხარით, მას უსმენდნენ და ჰკითხვიდენ ყურად ღებით, ყველგან ჩურჩულებდნენ, მოხუცნი მხრებს იშვერდნენ, ეტყობოდა ახლად რაღაც დიდი რამ მომხდარიყო: დიახ, ეტყოდა დილმაჩი, ავაზაკებთა გამოთხარეს ქედელი და შევიდნენ

სუნეიმან ბეგის სწოლში, და გაეღვიძა იმას, მაშინ როცა ერთმა ავაზაკმა იარაღი ჩამოიღო, დანბაჩა გამოიღო მუთაქის ქვეშ ესროლა მაგრამ ეტყობა დაეცდინა, ამდროს ორნი ამხანაგნი მოუშველნენ რომელთაც შეკრეს ცოლი იმისი და ბიჭი. ხანჯლით დაჰსჭრა ერთი ავაზაკი, მაგრამ ავაზაკთ ჩაკაფეს იქავე. მეზობელნი მოუშველნენ, მაგრამ ვინამ ფარნებს აანთებდენ შეიყარნენ და შეტეხეს კარები, რაზბონიკთ ზანდუკი გატეხეს გამოწმინდეს და გაიქცნენ, ასე რომ კვალიც ვერ იპოვეს. და მაშ ერთიც ვერავინ დაიჭირეს? ჰკითხა ერთმა ბეგთაგანმა:—

დაიჭირეს ერთი ახლო იმათი ამხანაგი, ეტყობა ის ყარაულად იდგა. იმას გარშამო საბელი ერტყა, რა საკვირველია რომ იმისთჳს რომ ავაზაკნი ჩაეშჳა ციხეს შიგნით კედლიდამ, სარტყელში ერჭო გატენილი დანბაჩა და ხანჯალი. მაგრამ იმას ნება ჰქონდა ყოველთჳს ეტარებინა, იმისათჳს რომ იყო ბეგი; არ შეიძლება რომ ბეგი ვინმე გარეოდა ავაზაკურ საქმეში? კითომ რატომ უპასუხა მირზამ, დაცინებით, გადასქდა რომელთამე, არიან ბეგნი რომელიც ოხვრენ ხანის დროს მართებლობისათჳს, უმაწვილ კაცთ უყჳართ სეირნობა, საშოვრისათჳს კი არა ისე ვაჟკაცობისათჳს; დიახ გუშინდელი დაჭერილი იყო ბეგი პირველის გჳარისა, თქჳენ განკვირდებით როდესაც მე გეტყვით ვინ არის ისა, ის არის ისკანდარ-ბეგ ქალფასი ოღლი, კომენდანტი ჰსჩხრეკს ეხლა მოხსენებას ყალაბეგის და დეჟურნისას და ისკანდარს ნახავთ ეხლა თქჳენ აქა. კომენდანტმა ბრძანა იმის მოყჳანა გობთუვახტიდგან:—

ყოველთ ვისთვისაც იყო ეს ამბავი ახალი დაიყვირეს განკვირვებით, და სიბრალულით, როგორ ყმაწვილი? კაცი, რომლის ზნე იყო საერთოდ ცნობილი სამაგალითოდ, ჩავარდა სასისხლო სამართალ ქჳეშე. ქურდობის და ავაზაკობისათჳს, მაგრამ გამოჩნდნენ ისეთი კეთილი კაცებიც რომელიც ამბობდნენ რომ იმათ ეს სულ არ უკვირთ, ამისთჳს რომ ისკანდარ იყო ყოველთვის ჩუმი ფარისეველი, ბიწიერებანი არ ელიან აზრდას ისინი მოდიან დაუთესელად კომენდანტის გამოსვლამ გააჩუმა მათი ბუტბუტი:—

კამენდანტი იყო ერთი მათ მცირე კაცთაგანნი: რომელიც მიხვდებიან აზიელთ ხასიათთა სიწვრილემდე, იყო ალერსიანი განჩხრეკით, მისთჳს, რომელ იმის ალერსი იყო დაფასებული უმაღლეს ჯილდოსა, სასტიკი, უბილწოდ, რომელიც მოსწამლამს თჳთ ჭეშმარიტებასაც; იყო მშვიდი და ხარისხიანი მოქმედებათა შინა მუსულმანთათანა, ის აჩვევდა მათ, რომ ჰყვარებოდათ სიმართლისათჳს და პატივ ეცათ ძლიერებისათჳს, ის გამოვიდა ზალაში სრულის მუნდირით:—

გმადლობ თქუენ აღალიარ, დასასრულ უთხრა შეკრებულებას, რომ მნახეთ ყოველთა, რუსის იმპერატორთ ქვეშევრდომთ სასიხარულო დღესასწაულში, ვდღესასწაულობთ დაბადებას ერთის მეფის შვილთაგანისას; ჩუენ გუყვავს ერთი ღმერთი, ერთი ფადიშახი. და ჩუენ ყოველთა ვილოცოთ ღუთისადმი თვისებრ რათა დაიცვას სიმრთელე ფადიშახისა, საზოგადო ჩუენის ბედნიერებისათვის. უფალნო ბეგნო მე მგონია თქუენ გაიგონეთ გუშინდელი ავაზაკობა, მე მაქუს სრულიადი დამამტკიცებელნი კუალნი, რომ ეს დერბენდელთ მცხოვრებთაგან არარის ქმნული. არამედ მოსულთ მთიულთაგან; გთხოვთ ამისათვის იხმარეთ ყოველი ღონის ძიება იპოვოთ და წარმოადგინოთ დამნაშავენი, ჩემი მხრიდან გავგზავნე სარწმუნონნი ბეგნი იპოვნონ ისინი, და სადაც არიან დაფარულნი, აქ არის გამოძიება— რა ჰქმნა მულამ უთხრა მირზას კომენდანტმა ისკანდარბეგ არა ტუდება? ან თითონ რას ანბობს? მირზამ უპასუხა რომ ისკანდარ ანბობს რომ არ ურევია ავაზაკობის გაცარცვაში, და სხუა რიგათ არის დამნაშავე, მაგრამ გარდახდომილების ჰაზრი არა მქონიარაო, სახელი მქონდა ამისათვის, რომ მინდოდა ქალაქის გალავნიდამ ჩავშვებულვიყავო მინდა მესეირონა მინდორშიაო; მე ქალაქში გული მიწუხდაო და უიარაღოთ ვინ წავა ღამე როდესაც დღისითაც იარაღით დადიანო— უადგილო სეირნობაა, შენიშნა კომენდანტმა, აქ რაღაც არის დაფარული, თუმცა მე ვერ ვეთანხმები ავაზაკობასთან; მაგრამ კეთილ ქცევას ისკანდარბეგისას, შემოიყვანეთ აქა?—

საზოგადო ჩუეულებით ისკანდარ-ბეგი შემოვიდა ქუდით და უქოშოთ, პატივ ცემით დაუკრა თავი კომენდანტს, ამპარტავნებით შეურილობას. და მშვიდად დადგა ნაჩვენებს ადგილს, კამე-

ნდატმა დაუწყო გამჭჳტრის თვალით ყურება დამნაშავეს; ჭაბუკი გაწითლდა ჴაზრისაგან რომ იმაზედ იჭვნეულებენ მაგრამ მხე-დველობა მისი იყო წმინდა შეუმკმრთალი:—

მე არა დროს არ მოველოდი უთხრა დასასრულ კამენდა-ტმა რომ მე შენ მენახე ჩემ წინ ისკანდარ-ბეგო ჩემს წინ ვი-თა გარდასხდომილი:— ბედმა და არა გარდასხდომილებამ მომი-ყვანა შენთან! იცი როგორ მძიმეა დანაშაული რომელშიაც ხარ განსჯილი? მე აქ შევიტყე რასაც მე მაბრალებენ, მე აღვიარებ ჩემს სიგიჟეს, მე ვგრძნობ, დამნაშავე მყოფს ყოველი-ფერი, მაგრამ მე არ ურევივარ მაგ საქმეში იცის ღმერთმა:— კაცმა უნდა დაუთმოს ცხად დამტკიცებას და ამისათვის ვირემ იჭვი შენზედ არ აიყრება შენ უნდა იყო დაჭერილი, სხუა რიგად თუ შენ იპოვნი ჩემ პატიოსან სტუმართაგან, სჯულიერ თავდებს მე განვთავისუფლებ პყრობილებისაგან; კამენდატმა იცოდა რომ უბედურებაში ჩავარდებიან ვითა უფსკრულში უეცრად. მაგრამ გარდასხდომილება მოხდება ჩასავალი ვიბით და არ უნდოდა გაესატიკებინა პყრობილებითა თავის უფლება, შესაძლო არს უმანკო ჭაბუკი კაცი, მით უმეტეს რომ მას აქვნდა ყოველი ღონე: მისსა ქცევასა ზედა- ისკანდარ შედგა, გარდახედა გარე-მე თითქო ჰკითხავდა ვინ დამიდგებით თავდებათ; გარნა უბე-დურება განაშორებდა მისგან ყოველთა, ყველამ დაჰხარეს თა-ვი წვერზედ კელს ისვამდნენ და იყვნენ ჩუმად:—

არავინ უდგებით? სთქუა კომენდანტმა: სიზინ ალთიარინ მიუგეს ყოველთა, თქუენი ნებაა: მე დაუდგები თავდებად ჰსთქუა, უსუფ ბეგმა, გამოვარდა წინ გრძელ წვერიანებიდან: კამენდანტმა გაიღიმა, რა საკურველია სტუმართ ძლიერ დაიჭირეს სიცილი, მან წარბები შეიჭმუხნა და ყოველთ დაეშვათ ყურები სარტყლამდის:—

მე ვგვირობ უფალნო, პატიოსანნო მოქალაქენო, დერბენ-დელნო: მე ხშირად მაწუხებთ ხოლმე, რომ თქუენის თავდე-ბობით გაუშუა ცხადნი ავაზაკნი, და ბევრჯელ უდგებოდით ასეთს რომელთაც დაივიწყეს თავდებობა და გაიქცნენ მთაში, და არ ჳინდათ დაუდგეთ უმაწვილ ბეგსა, რომლის ქცევა თქვენ ჰლიარეთ ამას წინათ სამაგალითოდ და ღირსად, რომელიც

თქუჱნის მოწმობით, წარვადგინე ჯილდოზედ, რადგან იყო დარჩენილი რიცხვთა გამორჩეულ მხნეთათანა, ყაზი მოლას ჯარის შემდგომის დროს. მართლ-მსაჯულებას არ დაემალება, გარდახდომილება თუ მაგასა აქუს დანაშაული მაშინ დაისჯება თავის ზომით: მაგრამ ვინემ არ არის განსჯილი, თქვენი ამხანაგის და ამის სამაგალითო ადრინდელი ქცევა ღირს რათმე; სხვარიგათ თავდებობა არის თავის ნებითი, ისკანდარ-ბეგ, წადი შენ, მე ვარ შენი თავდები:—

გამენდანტმა თავი დაუკრა, რომ წავიდეს საყდარში, ცრემლნი ტკბილნი ცრემლნი მადლობისა გარდმოსცვივდნენ თვალთაგან განჩვილებულისა ყრმისა, ეს არას დროს არ მოელოდა, რუსის ნაჩალნიკისაგან ესრეთს დიდს სულოკნებას, ის მზათ იყო დაეჩოქნა წინაშე გამენდანტისა, ეკოცნა ჴელზედ ვითა მამისათვის აღიარებინა საიდუმლო საყვარელი თვისი, რომელსაც ვერ ათქმევინებდა სასტიკი გამოკითხვა, საიდუმლო რომელსაც ეხლა მიჰყვანდა საუკუნოდ დაკარგვაში:—

თათართა დიდებულნი გავიდნენ გამენდანტის ზალიდგან: თჳთ აღმატებულთა პატივის მოყუარეთა ვერ მოასწრეს თავის სმირის თავის დაგვრით გამოემუშაკებინათ ორი სიტყუა, დარჩებოდენ უკან და უცდიდენ ურთიერთს გასულას, ამისთჳს რომ გამოსულიყვნენ პოლოს, მერე ამპარტავნებით ჩაეცვათ თუფლები და შენიშნულების ამპარტავნებით დაეკრა თავი მურიანის გროვასათჳს, და საიდუმლოთ ეჩურჩულებინათ ვისთვისმე, ოჰ მაწვალა გამენდანტმა კითხვებით და საქმის მონდომებით—

ცხელი დილა აორთქლებდა მოკირწყლულ დერბენდის დიდ მეჩითსა; გარნა ნოტიერი ჩრდილი აღმოსავლეთის ჩინართა დააკარვებდა და გრილი მოაჯირი, დაკიდებული ჭაერში ჩრდილო ეთის კედელთან აძლევდნენ მისაყრდნობელსა მორთულსა გროვასა ლამაზით პატარა თათრის ბაშვებსა, რომელიც იმღეროდენ ანუ უკითხავდენ თავიანთ მოლებს, თავის გაკვეთილს. ხმა მათი მგზავსად ფუთკართა თიოქო, ელაპარაკებოდა შადრევანსა მჩქეფარესა წმინდასა ღრმას აუზში; გარე მისსა ეხვივნენ რავდენიმე ბიჭი და გოგოები რომელიც აუვსებდნენ წყალსა, ღია მეჩითის კარზედ ისხდნენ მოხუცნი, გათბებოდნენ მზითა

ყოფილსა ჰანბითა თავის თვისსა გაციებულსა გულსა, ორიოდ სამნი გლახანი იდგნენ დიდკარებთან, ერთ კუთხისაკენ გაშლილ ნაბადზედ განისვენებდა ვიღაც მგზავრი, მრთელი სიცხოვლე ყოველი შემთხვევა მუსულმანთა ცხოვრებაში გამოჩნდებოდა აქა, იმედი და მოგონება სამოქალაქო ზრუნვანი და მცირედი განსვენება სამხედრო გზისა, შეიყარნენ ჩვეულისამებრ მშვიდობისა ჩრდილსა ქვეშე, სიწმინდისასა საზოგადოდ განშლილსა მდიდართა და უსახლოთათჳს კმაყოფილთა და უბედურთათვის:—

ახლო მგზავრისა გაეშალა ხალიჩა თჳსი მულა სადექს; წმიდა მამაცა ემზადებოდა სვალ სამგზავროთ, და ამისთჳს ანგარიშობდა ფულსა და ბუცბუცებდა თავის ქებას, რომ კარგათ ასერხებდა საქმეს, ბედნიერის სახით ამააწებდა ლავაშს, მაწონში და ნიორს, ხან ამოაწებდა ლერწმის კალამს თითბრის საწერელში, დაუქშევდა ბუზებს, რომ სიბრიყვის ქცევით არ დაესვათ წერტილი და არ შეეშალათ ჰზრი დაწერილისა, მასუკან უმეტესის ალერსით, დასთვალა ქელის გულში ჯიბის ფული, ისიყო ასე მოცული ვერცხლის ვარსკვლავების ფიქრით, ესრეთის ყურადღებით ჰსჩხრეკდა წაშლილ დაწერილს რუსულ აბაზზედ, და სპარსულს ორაბაზიანზედ, ასე რომ შეგეძლოთ მიგელოთ ის მასხის კარის ასტროლოგად მწევრად აკადემიის წარწერილთ მჩხრეკლად, იმან ვერ დაინახა და ვერ გაიგონა რომ იმისწინ იდგა აგერ ხუთი მინუტის ლეკი, რომელსაც დიდიხანია დერბენდის ტალახი ემსახურებოდა ნაცვლად წყლის ძირისა, დალისტნისა ცა ნაცვლად ნაბდისა.— და ბებკულისა ტანისამოსიდამ უჩანდა ტიტველა ხორცი და ქვეშე შიშველის ტანისა შესაძლო იყო და ნახვა მისი კუჭისა, თუ იმაში იჭვს მიიღებდა, ვინმე, გლახა ესრეთის საბრალოს ხმით თხოულობდა მოწყალებას, ბირ ალლახ უჩუნ! ერთის ღვთის გულისათჳს: ასე სიხარბით უყურებდა მულა სადექის საუზმეს, რომ ცოდვა არიყოს ფიცის ისიყო უჭმელი ერთი თვისა და ცოდვა იყო რომ არ შეებრალებინა კაცსა; მაგრამ სასტიკი ვერცხლის მოყვარულს გულს საბრალული ვერ შეარბილებს და სინიდისი ამაოდ დაიმტვრევს კბილებს, მულა სადექმა შეხედა გლახას, ჩამოიფარა შუბლზედ ფაფახი და დაიწყო ანგარიში, ეშხად, აშურადმიათ, ალფათ, ერთი, ათი, ასი, ათასი:—

მე სამი დღე არის არ მიჭამია რა, ჩემო აღავ, ჩემო ეფენდი, ჩემო პირო, ანბობდა საბრალო გაუშვერდა ჴელს წმიდა კაცსა: ემხად. აშურად. მიათ. განამეორა მულა სადექმა; ერთი გროში მომარჩენს ერთ დღეს. და შენ გაგიღებს სამოთხის კარებს საუკუნოდ: აშურათ ალფად ანბობდა კვალად სედექ:—

შენა ხარ მულა, მოიგონე რასაც შენ ყველას ასწავლი ყურან იალიმან, დიდხარისხოვანის ყორანიდან, პირველი ვალი-არის მუსულმანისა. მოწყალება:—

წადი ქემაკებში სუნნის ურწმუნოვ· დაიყვირა გულით, განა შენისთანი ავაზაკებისათვის არის მოგონილი ალლასისაგან მოწყალება? თქვენთვის არის ბალასი მინდორში, ჯოხები ქალაქში, აი რა არის, როცა ღონე გაქვთ ავაზაკობთ, არა გაქვსთ ღონე, გამოსტყუებთ ფულებს მართ მორწმუნეთ, შესთხოვთ საკუთარ ფულსა, და მერე იმათვე დასცინით; არა გაქვს შენ ჩემგან არც ლუკმა პური, და არც გროში, მე თითონ მგზავრი კაცი ვარ და უკანასკნელი წამართვა დაწყევლილმა თქჳნმა ქჳყნიერემა მულანურმა; როცა აქ მოვდიოდი გამქერქა როგორც წაბლის გული ავაზაკმა; მგზავრმა რომელიც იყო აქამდის დაწოლილი მშვიდათ, წამოიწია დადაბეჯინა ჴელზედ ჩამოისვა თავის პირქუშ პირზედ ჴელი. და ზრდილობით ჰკითხა გაჯავრებულ-მულას:—

განა ასეთი შეუბრალებელია და უწყალო კაცია მულანური? რომ აგრე ღარიბად გამოგიშვა პატიოსანი წმინდა კაცი? ასე გავიგონე მე რომ მულანური ძალიან ზრდილობიანათ ჰსცარცვავსო, ორ მანეთს ართმევს თავზედაო:– ორ მანეთს? ალლახ, ალლახ! ის ასეთი ურიაა რომ არცკი დაფიქრდება ძირში თვალები ამოგეთხაროს, და ჩააგდოს იმამ ალიამ ჯანაბაში, და მოიხარშოს ის ოქროში რომელიც მე იმან წამართვა; ასე განსინჯე ჩემი აქლემის ხირლაცკი შეშურდა მგლიან სულიანს:—

სუნნეთ. გერჩეგ, მოჭრილი, ჭეშმარიტებაა, ჰსთქვა, ორიოდ სამმა დერბენდელმა, მოლა სადექი ჩჳნთან მოვიდა ჰსწორეთ ნოეს წარღვნიდან გამოცურებულსა გვანდა. ჩვენ მოვაგროვეთ რომ ჩაგვეცემევინა დაგვეჯილდოებინა დაწყევლილი იყოს ავაზაკი მულანური;

მგზავრი იდგა ფეხზედ ღიმილით, მოისმა რომ სამგლოვეებმა დაჩხარუნეს ტანის ჯაჭვზედ; იმან ამოიღო ჯიბიდან ერთი ოქრო და აჩვენა გლახა ლეკსა და უთხრა დასწყევლე მულანური და ეს შენი იყოს; ლეკმა ჯერ მსწრაფლად გაუშვირა ჴელი მაგრამ მალე დადგა დაფიქრებული, მულანური შეეწივა ფულით გაჭირე-ბაში ჩემ ძმას, და მრავალნი ჩემ ქვეყნიერნი გამოიხსნა ჭირი-საგან, მე იმას ვერ ვიცნობ მაგრამ იმის გულს ვიცნობ, წაიღე შენი ფული უკან, მე არ ვიყიდი წყევლას:

მგზავრმა გაკვირებით შეხედა შესუსტებულისა შიმშილი-საგან გლახაკსა; დაუყვედრებით მდიდარ მოლას; მდიდარმა ჩაუგდო ჰარკში წყევლა ნაცვლად მოწყალებისა, გლახამ არ დასწყევლა თვალთ უკან უცნობი ავაზაკი, სიცოცხლისა დაცვისათჳს, მგზავრმა ჩაუდვა განკვირებულ გლახას ჴელში ხუთი ოქრო. დაჰკრა მხარ-ზედ ჴელი მულა სედეკს და უთხრა ორსავ; არის ღმერთი ჭეშ-მარიტებისა ცაში, არიან კეთილნი კაცნი ქუეყანაზედ და მიეფარა:—

მეჩითის გალავანის კარებში ებნა მისი ცხენი, შეჯდა და ნელა დაეშვა დახვანჯულ ბაზრის ქუჩაში, გაიარა ხმიანი ბაზა-რი. ის შებრუნდა მეორე ქუჩაში, სადაც დგას სახლი ყალა ბეგისა დერბენდის პოლიცის-მეისტარისა, ალაყაფის კარებში იჯდა ყალა ბეგი გარე ხვეული მაჩივართა, და ჩაუშთაგან სადაც განსჯიდა და დასჯიდა; ისიყო მოხუცი მაგრამ უცხოთ იღებავდა წვერსა ეცვა ჩოხა ბაბთებიანი სასხოვრად ვაშკაცობის, და უმა-წვილ მოგონებისა; ჰქვანდა ოთხი ცოლი და სამი ხარჭა, დაასცა-რიელებდა კარებ დაკეტილში რამდენსამე ბოთლიკას ქაფიანს, თუ არ დაჰქონებოდა დიდროვანი მწვანე სათვალები, დაკიდე-ბულს მუცელზე სარტყელი და მეხმუჭვნილება შუბლზედ თქუენ უმაწვილი გეგონებოდათ ამ დღეს არ იყო კარგ ქეიფ-ზედ ყალა ბეგი, გლახა მცხოვრები ჩიოდენ იმასთან, რომ ერთ ხარჯს იღებენ მდიდრებთან სარწყავში და იმათ აქვთ ცო-ტა წყალი მდიდრებზედ, ბრიყვები ვერ იტევდენ თავში, რომ კანონისამებრ აზიურსა გიდროსტატიკის, წყალი უმეტესად მიმდინარეობს იქ ვისაც აქვს უმეტესი მიწა, დაიღალა ყვირი-ლით და უნდა ესწავლებინა ანგარიში მოჩივართ ფეხის გულებ-ზედ როდესაც მცნობი მგზავრი ჩამოხდა ამის წინ; სელამ ალე-ქუმ. — მულრამბეგ. უთხრა მან, მულრამბეგ შევრთა თითქო

მორიელმა უკბინა ქვემო სარტყულისა, განკვირებისა ხმა მო-
უვდა ტუჩებში, თითები და პირი გეელნენ განკვირვებისაგან,
დიდო დამბაჩის ბოლოზედ ქალი მგზავრმა დაიხარა და ყურში
უჩურჩულა ყალაბეგსა, გამიგონე მეღრამბეგ, ქალი არ ახლო
ძველ ნაცნობს, მე მოველ აქა შენის სარგებლობისათჳს მე
კარგ სამსახურს გიზამ, წავიდეთ შენ ოთახში, მე შენ იქ
გეტყვი ერთ საიდუმლოს, რომლისათჳს შენ ჩემი და დერბენდი
შენი მადლობელი იქმნება, სხჳა რიგათ თუ შენ დაიურანტალებ
ან ანიშნებ რომ მე დამიჭირონ, მაშინ იცოდე რომ ჩემ დანბა-
ჩაში არის ერთი ტყვია და ექვსი საფანტი; და ეს არის ეხლა
ბაზარში ნაყიდი ტალი და თუ შენი გუშგი ამაებს მოსარშავს
მაშინ თორმეტი ჩემი ამხანაგი ჩემს სიკვდილს გადიხდიან;
შენ იცი რომ მე კჳტხნა არ მიყჳარს წავიდეთ:—

და მხიარულად თითქო ჴსთხოვა შექცევა რამე. ავიდა კიბე-
ზედ უცნობი და იმას აჴყვა ხვნეშით ყალაბეგი: რისათჳს
ლაპარაკობდენ მრთელი ნახევარ საათი. არვიცი და ვერც უბედის
ჩაუშისაგან შევიტყე, რომელსაც ჩვეულება ჰქონდა ჩუმათ
კარებიდან ყურის გდებისა. მხოლოდ ეს ვიცი რომ უცნობი
მშვიდათ შეჯდა ცხენზედ რომელსაც პატივით მოჰგვარეს
ცხენი, ნუქერს გადაუგდო მანეთი, რომელმაც დაუჭირა ავჟანდა
და იქით აქეთ მყურებელი გავიდა ქალაქის კარებიდამ.— ორ დღეს
უკან ლაპარაკობდნენ, რომ ეს იყო დიდი ავაზაკი მულანური
ვითომ ყალაბეგმა გამოუყენა ნუქრები; მაგრამ მართო ნალები
უჩვენა იმათაო, მგონია ეს იყოს ზღაპარი:—

ამდროს საბრალო ყრმა მწუხარებდა თავის სახლში; ბოროტ
შემთხვევამ მიიყვანა იმ ალაგს:— სადაც აღსრულდა ავაზაკობა,
და ამან ნაცვლად ტკბილისა კოცნისა მიიღო გულში საშინელი
ჭვეთება, დაბრალება; მაგრამ იმას ერჩივნა თავის პატივი მიეცა
დემულებსა შინა, ვიდრე გაუშავებინა კეთილი სახელი უმანკო
ქალისა, სიმორე აწუხებდა მას მაგრამ უნცნობობა
მოსწყვლიდა უმეტესად, განკრძელება მსაჯულებისა არის ჯოჯო-
ხეთი მრთელს აზიელებისათჳს, ისინი უმჯობესად, გარდა-
იხდიან არა მართალ დასჯილებას ვინემ მართალს განკრძელებულ
სამართალს, და ნუ გგონიათ რომ ასე იყოს ჩვეულება, არა, ესო
არის ბუნება აღმოსავლეთისა, მსწრაფლი გადაწყვეტა ფაშისა

ყადისა, ანუ ჯამაათის მასლაათის, შერიათისა, როგორც უნდა იყოს როგორც უნდა ღირდეს, აღმოსავლეთის მცხოვრებთათჳს სასია-მოვნოა, ვინემ წვლილი მოუყიდველი მოწყალებიანი გადაწყვეტა ევროპიის სუდისა.— აზიელის ჰსცხოვრებს აწ მყოში, ამისთჳს, რომ დღეს არის ასე სასიამოვნო. და ხვალ ასე ორგული იჭვი-ანი, ხვალ შემოუბერავს სამხრეთით ქარი და მოჰბერავს საოფ-ლეს, ხოლერას, ხვალ იყიდის ჩოხასთან ჭირს, ხვალ წავა გზა-ზედ და ჩავარდება კლდიდან ხევში და იქმნება დაფქული სოფ-ლის წყლისაგან, დახლეჩილი ჯლდისაგან იქმნება მოკლული ვეფხვისაგან; ანუ მესისხლისაგან; გამოცვალეთ ბუნება აღმოსა-ვლეთისა, მიეცით იმას ცხოვრება ევროპიული პირობა, ჩაასხით ჩუჱნ ბუთაში ჩვეულება იმათი საზოგადოობისა და მასუკან ით-ხოვეთ აზიელთაგან მოთმინება, განმსჯულობაში; და სიმტკიცე პირობილობაში მაგრამ ვინემდის მათ თავზედ ჰსუნთქავს განმაღნობიერი, თუმცა მშვენიერი ჰერი, მანამდის არის გარე ჩვეული შიში, ყოველსაათში. და ყოველ ბიჯში, ისარ დაჰსცხრება რომ არ იყოს ფატალისტი; და აფასებს უმეტესად აწმყოსა წუთსა უმაღლეს ყოვლისა, ორსავე ცხოვრებაში; ანბობდა ისკანდარ: უმჯობესია სიკვდილი, საუკუნო ბორკილი, სიბირის თოვლში, ვინამ მომწამლელი იჭვი რუსებისა, რომელთაცა მასწავლეს თჳსი სიყვარული, და სიძულილი ჩემ ქვეყნიერთა, რომელნიცა მძულან აღრინდელზედ უმეტესად· უმჯობესია სიკვდილი ხლმითა ვინემ ხერხითა; და ის დახშული პატიოსნის სიტყვითა, ხტებოდა ვითა ვეფხვი თვის გალიაში, იგლეჯდა მაჯებს, ტიროდა როგორც ჩვილი:—

საღამოს ხანს ვაშხმობის დროს, როდესაც ცოლშივლიანი მუსულმანი განისვენებს სულითა; და უცოლო ზის მჭუნვარებით თავის ბუხრის წინ, ისკანდარბეგს მოესმა რომ ფანჯრიდამ რაღაც შემოვარდა ზუზუნით და დეცა იატაკზედ, ის იყო ქვაზედ მობმული ბარათი,, მულანურ ისკანდარბეგს თაყვანსა ჰსცემს ,,უმჯობესია იყო უბრალო დაჭერილი ვინემ დამნაშავე განთავის-,,უფლდეს, დაიჯერე მე ყველა ვიცი: და ყველასფერს აღვასრულებ ,,რომ შენ მაგ ჭირისაგან გამოიხსნა, ალახმა აღასრულოს ,,დასასრული, მოითმინე იმედეულ იყავ გამართლება არის ახლო;

და მართლად მეორეს დღეს ისკანდარ დაიბარეს, კამენდატი-სას და ვერ მიასწრო მიეწივნა შინამდის, ოცმა ხმამ მიულოცა

ბედნიერად მორჩენა შუქურ ალლახ! ისმოდა ყოველ მხრივ. ავაზაკები დაიჭირეს ისინი შეიყარნენ ბახტიერისას რომ გაეყოთ საშოვარი; და იქავე ოთხივ დაიჭირეს, ოთხნი არიან დეკნი და ორნი ქალაქელნი იმათ რიცხვში თითონ სახლის პატრონი. იმ ავაზაკს უპოვეს ორი კედელი სადაც დამალავდა ნაცარცვებს, ახლა ქურდების ბუდე დაშლილია და პატიოსან კაცთ შეუძლიანთ განისვენონ; ავაზაკთ გამოკითხვამ გაამართლა ისკანდარის სახელი, ასე რომ შეიქნა უთეთრეს და უტკბილეს შაქრისა; უმადლოების ბიწიერება არა ჰქონდა ისკანდარბეგსა, იმან არ მიიღო თავის მეზობლებისაგან შერისხული შერცხვენილი ნაჩალნიკის დიდ სულოვნებითა; იმან აღურა კამენდანტს წვრილად თავის სიყვარული თავის განზრახვა და შური; და ჰკითხოვა ერთი შემძლებელობა, რომ ნება მისცენ დაამტკიცოს თავის ერთგულება სამსახურითა — და აუვედრა ცოტად კამენდანტმა, ჩვეულების დარღვევა, და უქო კეთილი განზრახვა, დაასრულა ამა სიტყვათა; ისკანდარბეგ! შენ თითონ გამოსცადე სადამდის მიიყვანს აღკრძალული ვნება. არც კაცი შეუნდობენ ჩვეულების გარდახდომას შენ გაბრალებდნენ ტყუილათ ერთ საქმეს, მაგრამ ჰკითხე შენ სინიდისს, მართალი იყავ მეორეში? შეურიგდი შენ ბედს და იცოდე რომ ღალატით ვერ მოიყიდი ღალატს, ვერ იყიდი ბედნიერებას, და იცოდე ეს, რომ კეთილი კაცი არა იქს საიდუმლოდ; ღამე და საიდუმლოება არის, სამოსელი რაზბოინიკთა და ცრუთა, მომავალი ბედნიერება, შენი არის შენ გულში შენს ერთგულობაში:—

ისკანდარ მორჩა საშინელს განსაცდელს: მაგრამ სიხარული მისი იყო ერთის წუთისა, მძიმე იყო ყრმისათჳს განშორებინა თჳსი ოცნება და თჳსის გულისა აჰზრი, ტრფობისა, რომელ უკუჱ უწოდებდა თჳს საკუთრებად. კოცნა ნახევარ ნებითი, ნახევარ მოტაცებული ბაგეთაგან ქიჩქინისა. ვითა სასიამოვნო ეზო ათასჯერ განაშორებდა მის გულში; მან მოიგონა დაწვრილებით უკანასკნელი შეყრა სატრფოსთან სული უბნდებოდა მისის ჴმისაგან რომელიცა ესმოდა ეფირულს გამოხატვისა ყურისაგან, იატკბილად, ის ძრწოლით დახუჭავდა თვალთა უხილავთ ნაპერწკალთაგან გადმოყრილთა განუშორებლთა ზმანებათაგან, განუშვერდა ჴელსა რომ მოხვეოდა მშვენიერსა ტანსა, ის გორავდა თავის ხალიჩაზედ ვითა მშ-

ქილდა, უნდოდა კბილებით მოეგლიჯა ოქროს ღილი. რომე-ლიც დაჰფარავდა მრთელს ქვეყნის სიტკბოებას; და ჩავარდებოდა სიცოფეში, შეეზარებოდა რა აჭერთა ნაცვლად თჳსა საცოლისა არ., ჰხნობდა ის ტყუილათ მწერდა მე მულანურ, მე მზათა ვარ გარდახდომილებით ვიყიდო ჩემთვის ქიჩქინე, და დარწმუ-ნებული ვარ რომ იმასთან ვიქმნები ბედნიერი; ცარიელ მიწა-ზედაც! ქვეშე, ცის დერეფნისა, ნებით ან უნებლიეთ მოვიტაცებ და წავიყვან მთაში: დავიყურყმულავებ ერთს საათს მაინც, ჩემი გულის ნეტარებაში, და მასუკან მე მზა თა ვარ მივცე ის მუსა-ჭმელად:— და მშვენიერი ქიჩქინეცა მჭმუნვარებდა მარტო ობით და იმანაც გაიცნა რიცხვი განშორებულის საათისა, გრძელის უბედურის საათისა. ვარდი მომეცა გულზედ და მიჩურჩულა მიყურე მე ვარ გაზაფხული, ბულბულმა დამისტვინა თჳსის ტკბილის ხმით მე, დავარქვი მას სიხარული, ისკანდარობეგმა, შემომხედა და მაკოცა მე; მე მაშინ გავიცან სიყვარული, მაგ-რამ სადა არის ვარდი? სადა არის ბულბული? სად არის ჩემი ისკანდარი? სად გაფრინდა ჩემი ბედნიერება?—

ბირმას ქქიმის ოლდი; ქქმის ბირმას ოლდი. . .

საშინლად ჩამოქუხს ტენგი ხმა ვიწროს ტენგის ხევში; საშინელი ქუსილი დააყრუებს ყორანთა და არწივთა, წივილთა ბოროტად წინა მომთხრობთა; უბედურია ვინც გაზაფხულის ჟამს როდესაც თოვლი დნება. გაჰბედავს უწინამძღვროთ აქ გასვლა უბედურობა ანუ ბედი შეახვედრებს, აქ ავაზაკთ: ეს არის საყვარელი ადგილი, რაზბოინიკთა: რა ძლივ მორჩები წყალში გასვლას, არის ვიწრო გზა და კლდე აფარია, იმ კლდეს უკან არის ბუდე ავაზაკთა, აქ მულანურმა თორმეტის ამხანაგით დააყენა სამი პოლკი ყარაბაღის და შირვანის მხედარნი, რომე-ლიც მობრუნდენ გამარჯვებულნი მდიდრის ალაფითა, ღენარალ პანკრატევის პასოდიდან, და მიდიოდენ შინა: ის დახვდა მუნ შეჭურვილი კარგ ცხენზედ მჯდომარე, გაშალა მიწაზედ ნაბადი თაყვანსა გცემთ თქჳნ, ამხანაგნო და იყოს სახელი თქჳნი მა-ღალი, ვითა მაღლა აილებოდა კელი თქვენი მტერზედ, ალლა-ახმა მოგანიჭათ გამარჯვება, ალაფი, მუზარაქოლსუნ მოგილო-ცავთ! მქმენით მეც მონაწილე თქვენის გამარჯვებისა მხიარუ-ლებისა, არ გაიძულებთ მხოლოდ გთხოვთ, მამეცით თქვენის

ნამუსით რაც გინდათ: იფიქრეთ ძმანო, თქვენ მიგაქჳთ ხაზუქარი სახლში, თქჳენ ახლა მდიდარი ხართ, მე ვარ ღარიბი არა მაქვს ბანი რომ თავი მივაჴფარო, და ერთის მინუტის მუ-უდროება მე უნდა ვიყიდო ოქროთი სხვარიგათ ძმანო იცოდეთ კაცთა წამართვეს უსამართლოთ რაც მქონდა, მაგრამ სამართ-ლით ალლახმა მიბოძა სიმხნე, ალლახმა მიბოძა ეს ხევნი, და მიშველი კლდე და მთები, რომელთაც თქჳენ აიძულებთ. მე ვარ მადლობელი მათი და უჩემნებოთ ვერავინ გაივლის ამ აღთქმულ ალაგს, თქჳენ ბევრნი ხართ და ვაჟკაცნი. მაგრამ თუ ძალით მოინდომებთ წასვლას დაჰკარგავთ მომეტებულს დროს, ვინემ მე და ჩემი მხნენი დაიხოცებიან ჩემთჳს დაიწყე-ბენ ბრძოლას, თვითეული ქჳა, თვითეული არწივი, ამ ხეობისა და მე უკანასკნელ თოფის წამლის მარცვლამდე; გადაწყვიტეთ თქჳენ ბევრს დაჰკარგავთ, მე არაფერს მე მქვიან ხათელი (ნურ.) მაგრამ ცხოვრება ჩემი არის უცუდეს სიბნელისა, მრისხანე უბედრებამ ჩამოიარა ყარაბაღელთ დასებში, მრავალნი იძა-ხოდენ ჩვენის ცხენის ნალით გავსრესთ მულანურს, ამბობდნენ ისინი, ნახეთ ჩვენ რავდენი ვართ და ისინი ცოტანი წავიდეთ წინ წადით ავაზაკებზედ. მაგრამ პირველობაკი არავის უნ-დოდა სიმხნეძ დაუთმო ანგარიშს, ეთანხმნენ, ხარჯზედკი არა, ჩუქებაზედ, ჩვენის ნებით გაძლევთ ვისაც რაც გვწადიან, ამბობდნენ მხედარნი და დაღრეჯილნი გადაუგდებდნენ ხაზადზედ მულანურს წვრილ ფულსა, ძალით მენ ნალის ღურსმანს ვერ წაიღებდი ჩვენგან, და თითო თითო გაივლიდნენ იმის გვერ-დით მულანური თავს უკრავდა და ფარისევლად ილიმებოდა ძა-ლიან ძნელია დაღისტნელთ ცხვართ გაპარსვა; როდესაც ყარა-ბაღის მგლებს ბალანი დავაგლიჯე, და ტყუილად ჩივიან წელს მოუსვლელობაზედ. ჩემი ქჳები კარგ სამკალს მაძლევდენ, მხოლოდ უნდა საქმე კაცმა იცოდეს, თორემ არამ თუ ერთ საპალნეზედ თჳთეულ თოფზედ შეიძლება თოთო აბაზის აღება:

დასაწყისსა ამ წლისას გაწყდა ხმა მულანურზედ. თითქო წყა-ლში დაირჩო; წავიდა შერაქის მხარეს, გაიქცა სპარსეთში მოკლა ვინმე მთაში; არავინ არ იცოდა, და ქარვანი ერთი ერთმანერთზედ უზიდან შამახიაში ახლო გზაზედ ტინლინის ხეობაზედ, დადიო-დნენ და არ შემოეყრებოდნენ ჩვეულებრივ მეიჯარადრესა, არავინ არ იყო დაყენებული მულანურისაგან. თუმცა იმისი ნამუ-

სიანობს განთქმული არაგვის დააყენებდა იმ გზაზედ მაგრამ მაინც უხაროდათ რომ მუქთათ დავიდოდენ და არავინ არას ართმევდა:—

გამოვიდა ყუბიდგან დილით ადრე ღირს პატივ ცემული მულა-სადექ. შუა დღისას მოვიდა იმ ხეობაში, ძვირმა არ იქორავა წინამძღვარი ეშინოდა არ გაეღარიბებინა თავისი ნათუსავი ოქროები, და მანათნი დერბენდში მოვნილი. ყუბაში დაარწმუნებს რომ უსასიმო გზა არის და წყალი თუნგა ისე დიდი არ ეგონა მაგრამ ის დღე როცა გამოვიდა იყო ცხელი; ივნისის მზე ასე ჰსწვამდა რომ მგზავრი მულა ხშირად ძალათ გადმოიგდებდა მხრებზედ გაცხელებულს თოფს; რომელიც ჰსწვამდა წმიდა ღვთის მოყუარეს ზურგს; იამა რომ შევიდა ჩირდილიან ხეობაში მარამ არ იამა რა მივიდა წყლის პირს. . .

ტენლა დუღდა მჩქეფარებდა დიდდებოდა. რავდენათაც ჰსურდა მიესწრო დღესასწაულ ყურბან ბაირამ მსხვერპლი შეეწირვა შამახიაში სადაც მოელოდა იმოვნიდა ბევრს თავის ქადაგებითა, მაგრამ დახრჩობის შიშმა, მულა სადექს წაუჩქირა ვეცხლის მოყუარულ ყიყვში, სისხლი გაუცივდა. როდესაც დაინახა საშინელი კლდეები რომელიც იმის თავზედ ეკიდენ და ფეხებთან ჩამოქუხდა წყალი; ეშმ კმა წაიღოს სე წყალი რომ ვერცხლისა და იაკუნდისა იყოს მაშინაც არ შევარდებოდი უამხანაგოდ განა ჰსწორეთ ვირი არავარ? რომ რუსთაში არ ვიქირავე წინამძღუარი, და იმან მწუხვარის თუალით გადახედა გარემემოს იყო ცარიელი და ყრუ. მარტო დასჯილი საუკუნოდ სიმღერისა, განმეორება მრისხანე წყალის ქუხილის მაგრამ გახედა კარჯათ და დაინახა ტყეში უნაგირიანი ცხენი ბალახზედ გაშვებული რომელზედაც იერიჩის მაგიერ ჰქონდა ცხვრის ტყავი გადაფარებული და ცოტა მოშორებით მუაზომის კაცი კარგის სახით: თათარი უბრალო ყომრალის ჩოხით უიარაღოთ გარდა ხანჯლისა. ფქვილი გაათეთრებდა იმის წვერსა: და უდეს მეტყობოდა იყო მეწისქვილე მულასადექს იამა:

ეი მეგობარო შენ უთუთო აქაური ხარ გეცოდინება ფონი ამ ცოფიანის წყლისა; აქაური ვარ უპასუხა ამან, და ჰსჯამდა ცარიელ პურს მე კარგათ ვიცი ცხოვრება ტენგისა, ამისათვის რომ ჩემ საცერში გადის, და ჩემის ნებისა, ეს წყალი ყემი მონაა ეს მიტრიალებს ჩალხსა:—

ვაი დროს შემხჳდი კეთილო კაცო. გაკურთხოს ალლახმა თუ მე მიზამ ერთ საქმეს. თუ გამაცილებ ამ ხევს:—ამაღამ აქ მოიცადე უთხრა ცივად მეწისქვილემ წყალი მოიკლებს ჩემი ცხენი გაძლება, მეც დავისვენებ და მასუკან ნახევარ საათზედ გავალთ; ეხლა საშიშია:—

ალლახის გულისათჳს! ალის და უსეინის გულისათჳს! ჩემი ლოცვის გულისათჳს! ( მე მულლა ვარ ) ჩქარა გამიყჳანე ეხლავ ამ საათში ამ წუთში, შენ შაგი ხარ. უპასუხა იძულებით მე რა ეშმაკებისათჳს მინდა შენი ლოცჳა და კურთხევა წინასწარ-მეტყჳელი ჯელანემ რომელიც ჩემი ძმის სულისათვისაც დავფიქრდებოდი ასრე წყალ დიდობაში ვეოფილვიყავ წინამძღჳარი, და უსულო შაგისათჳს გვალვის დროსაც არ წავიდოდი, კარგი კარგი ნუ უარობ ჩემო სულო, ჩემო თავის ფიალე, მანიმ თაჯისირამ, ალლახი გადმოასხამს შენზედ ოჯს სისხლს ამისათჳს რომ უზამ კეთილს საქმეს მოლასა; გინდა ქჳყუნის ძაღლების მულა იყავ ჩემი მულა არ იქმნები მე ალლახი, დამასრჩობს თუ შენ ცხენიანი ცოდჳა გაგიყუანე ამ წყალში:—

რა საძაგელი სვინიდისი გქონია შენა ჩემო ვაჟკაცო; გამიყვანე მშვიდობით და მე ფულს მოგცემ: რას მომცემ ჩემ ოფლში? უთხრა წვერის ქექით.— თუ შენ შეიძლებ ამისთანა სიცხეში გაოფლიანდე მე ორ აბაზ მოგცემ:—

ორ მანეთსაც არ გამოგართმევ. ვალლახ ვალლახ ერთ ოქროს ნაკლებ არ წავალ შენის აბაზით ცხენსაც ვერ დავსჭედამ, და მართლა რომ ვსთქჳათ ოქროს, თავის მაგიერ ვერ გამოიბამ. დიდხან ივაჭრეს მულა-სადექი ვერცხლის მოყჳარებამ გახადა მნახე, აიძულებდა წასვლას, მეწისქვილე არ ჩამოვიდა ფასიდან და აღასრულა თავისი, მულა-სადექ შეიქმნა თანხმა:—

მისცა სადავე კელში, და ამასთანვე ყოველი მიანდო: გამოცდილი მეწისქვილეს წინამძღარი ერთს მხრიდამ მეორესთან მივიდოდა არიდებდა სიღრმეს წყალისა, ხან დატრიალდებოდა და მოვიდოდა თითქო უკან. მულა-სადექ როცა ზვირთი მოხჳდებოდა გულში, თრთოდა დაილოცვიდა რომ ლოცვით დაეურუ-

ებინა ცოდვის მოგონება მაგრამ შვოთიანის სინიდისით მაშინ არ გაუგონებს კაცს როცა არის გასაჭირში. და ან დიდს სნეულებაში და რაკი გასცილდება, სვინიდისს მაშინვე და უკეტენ კარებს. და მოსჭრიან მყივანა მამალს თავსა, რომელიც ისე ადრე გვიყივლებს:—

მულა-სადექ ქვეშ შიშის სვინიდისა იგრძნო ნარნარება სიწმინდისა, და სამხრთო ცხოვრებისა, და აღუთქუა ალიას, 99: აღთქმა არ იცრუოს სულითა მისაღებელად ოქროისა და ლამაზი ცოლებისათჳს; და რა ხევში გავიდა ისევ შეიქნა წუწკი. და გემოთ მოყუარე: ოქროვანი და მხიარული სხივი გამოიხატვიდა მის თავზედ, მან ამაიოხრა თავის უფლად, მიიხედა უკან და ვიწრო ხევი ეჩვენა მას პირ დაღებული თითქო სიზმარში: მაშინ იმან ამპარტავნებით დაუძახა თავის წინამძღვარს წადი, ჩქარა, არამზადავ, თეზ გეთ, თეზ. მაგრამ ძალიან გვიან მოხარულობდა ჩუჩნი მულა, წინ კიდევ დახვდა წყალი უღრმესი და უჩქარესი წინამძღუარი შევიდა დააყენა ცხენი სადაც უჩქარესი წყალი იყო და მოაბრუნა თვის ცხენი მოლასაკენ:—

აბა მულა-სადექ უთხრა იმან: გაუშვირა ხელი ნაპირემდის ათი ბიჯიღაა, დრო არის ხელი მომცე, შენ ხედავ რომ მუქთათ არ გართმევ ოქროს; ოქრო განა შენ სული გაქვს მეგობარო განა ხუმრობ განა ირიცი რომ ოქრო სამი მანეთია, ვაყო თითო ბიჯი აბაზათ დამიჯდება. განა ვერცხლის ხიდს გაგიდებ. ფიე ძალიან დიდი საქმეა ამ ლაფში გატოპვა; ვაყო აქ ქათამი უფთროთ ფეხსაც არ დაისველებს, და თევზი ქვევითი გავა კმარა ძმაო. შენ ორი აბაზიც გეყოფა, აი წაილე და ღმერთი იყოს შენთან:—

პირობა? უთხრა გაჯავრებულმა მეწისქვილემ. იმულებული პირობა ჩემო საყუარელო არაფერია; ყორანშიაც არის ნათქუამი; ვინ მამცა მე გლახა მგზავრსა; მაგდენი ფული, მე აქ გამცარცვეს ავაზაკებმა ასე რომ, თუმცა მულა ვარ, მაგრამ ფაყირზედაც ღარიბი შევიქმენ. არ მართმევ ძმაო, შენი ნება არის; მაშ აი ჩემი კურთხევა იყოს ფულის მაგიერ რატაო არ წახვალ:—

მე აქედან არ დავიძვრი, მანამ შენთან არ მოვიანგარიშებ და ჩემი ანგარიში მარტო დღევანდელი არარის: შენ სინდისი

არა გაქვს მულა სადექ მაგრამ გონება გაქუს, შენ დააგდე ხმა დერბენდში რომ უფრო ჩქარა გამოსტყუვო ფული მსუბუქ მორწმუნეთა ვითომ მულანურმა გაგცარცვა და გაგიშვა შიშველი, აბა თქვი? ესლა ცრუვ? სადა, როდის და როგორ იყო ესე? მე ეგ არადროს არ მითქუამს დაე დამსაჯოს მე ალახმა, არ მითქვამს. დაე აზრაილმა კი არა ეშმაკმა მიიღოს ჩემი სული, დაე ამ სოფელში ვერ ვიპოვო წყალი გასაბანელად და ვერც ცეცხლი ჩიბუხს მოუკიდო:—

ნუ უმატებ ცოდვა ცოდვასა დაგჳრგჳნე მოტყუებას სიცრუით, დაიხრჩე, წყევლით შენი შავი სული; გახსოვს შენ მეჩითის აივანი სადექ? გახსოვს რა უთხარ შენ გლახასა, რას უანბობდი მგზავრსა? განა შენ არ იყავ ჩემ წინ, მულასადექმა გაალო შეშინებული თვალები საშინელი იჭვი შეეპირა გულში, სახე მეწისქვილისა გაბანილი წყალისაგან, სრულიად გამოიცვალა ქვეშე ხშირისა წვერისა, გამოჩარჩოვდა პირი მოშაო, შეჭმუხვნილი წარბებით, გამოცეცხლდებოდენ თვალები, მაგრამ ვერ დაინახა რა საჭურველი მულასადექ იგრძნო სარგებელი თავისა, მოიძრო თოფი. მაგრამ ვინემ მოაბრუნა დანბაჩის ტუჩი მიაბჯინა გულში:—

არამცა თუ კელი თუ ულვაში გააცანცარე, წითელ თავიანო დედაკაცო ემ წყალში თავდაყირა წაბძანდები თევზებis საქადაგებლად, რომ იმათ ოტკა არ დალიონ. გაადაგდე თოფი, შემოიხსენ კმალი, ალლახს ყიზილბაშებისათჳს არ მოუგონებია რკინა; შენი საქმეა ხალხი ატყუო ბაზარში, და ნბიონზედ, შენი საქონელი არ არის სიმხნე, ნუ აჩაჩუნებ გეუბნები, მე ძაღლის შვილო; შენთჳს არ არის საჭირო, თოფის წამალი დავსარჯო. კმარა გაუშვა აღვირი შენის ცხენისა და შენახარ მკუდარი:—

ყვითელი როგორც სანთელი, ძრწოლარე როგორც კაბა ქარში, იდგა მულა სადაქ. თოფის კელ ჩაცივებული და უყურებდა ყოველს დამბაჩის განძრევას, რომელიც იყო, მიბჯენილი გულში, საშინლად, და შავად შესხავდა ზვირთი გაგიჟებულის წყალისა, სიკვდილი ბრწყინავდა ავაზაკის კელში; სრულიად, და დაიკარგა ორ სიკვდილის შუა.— შემიწყალე მე ვარ მულა;

მეც თითონ მულა ვარ, უპასუხა! ავაზაკმა უმეტეს მულისა თუ-მცა არა ვარ მუფთი და მუშთაიდი; მე ვარ მულანური;.—

საშინელის ღრიალით დაეკიდა ცხენის კისერზედ, მულა-სადექ. და დაიფარა ჴელით კისერი; თითქო ელოდა ხანჯალის შემოკვრას. დიდხან ბოროტებით იცინოდა მულანური შეშინე-ბული მულა-სადექზედ, დასასრულ უთხრა რომ ადგეს და უთ-ხრა: შენ გამაუპატიურე დერბენდელებში, შენ დაარწმუნე იმათ, რომ გამოგართვი უკანასკნელი ფული, უკანასკნელი პერანგი; მე, რომელიც ვძლევ გლახას, სისხლით მოყიდულს ოქროსა, მე, რომელსაც არ გამომირთმევია არც ერთ ვაჭრისათვის ერთ ოქროზედ მეტი; ის ჩემის ამხანაგებისათჳს და ჩემი ამხანაგე-ბი თუ ჩემი არ ეშინოდეთ დაიწყებენ ყოვლის მგზავრის ხო-ცვას ეს ცოტაა, შენ გინდოდა წინამძღვარი მოგეტყუებინე და-პირებული შრომის ფულებში; ამისათჳს, რომ შენ გეგონა გლახა, უბრალო ვინმე და შენ გინდოდა თოფი მიგეკრტყა ნაც-ვლად ფულის მიცემისა მოგეკალ მე:—

შემიბრალე შემიწყალე ღრიალებდა მულასადექ. შენ შე-ბრალე გლახა? რომელიც შიმშილით კვდებოდა? შენ შემიბრა-ლებდი თუ მე არ დამესწრო გულში დამბაჩის მობჯენა? სულო ვერცხლის მოყვარევ! ბოროტ ცოდვიანო, წმიდის მქადაგებე-ლო, შენ თითო ყორანის ასოთი მჭრიდი ჴელსა სოფლის მქადაგებელო, შენის სარგებელისათვის. აურევდი სახლეულებას განაშორებდი გულებს, მე გიცნობდი შენ და იმისათვის გაგიშვი შენ მშვიდობით, შენ არ მიცნობდი და მაურაცხ მყოფდი:—

შენ პირველად თავის ნებით შეიქმენ წინა მთხრობელი შენის ბედისა, საკუთარი თავის მსაჯული, აგრე იყოს, შენ ხვალ შეგიძლიან არ მოატყუო შამახილები, რომ მე გაგცარ-ცვე; ამაიღე რაც ფული გაქჳს:—

ძნელი იყო ძვირის კაცისა თჳს განშორება, საკუთრის ფულისათანა, მაგრამ სიცოცხლესთან უფრო საშიში იყო; საბ-რალო ხმით ღრიალებდა თითქო გაზით ჰუგლეჯდნენ ნაჭრებად სულსა, იღებდა ქისიდან და აბგიდან ფულს დაუყრიდა კალთაში მულანურს უჭერდა ყოველ მანათს ჴელს რომ ვერც-

ხლის სისუქნე დარჩებოდა თითებზედ, სულ ეგ არის ჰსთქუა მან ოხრით.— მე მგონია სადექ შენ საფლავში ჯიებსაც მოატყუებ, თუ არ გინდა შეიტყო რავდენის ნაჭრის ტყვით არის გატენილი ჩემი დანბაჩა ჰსწორეთ დათვალე რავდენიც ოქრო გაქვს ჯიბეში; შენ მომეცი თორმეტი თუმანი, და შენ გაქვს კიდევ ოქროები და წვრილი ფული; და მე რიცხვი კარგა ვიცი; ცრემლები მოედინა ჩემს სადექს როდესაც ჩაუთვალა კალთაში უკანასკნელი ფული, ესრეთ ტიროდა როგორათაც ჩვენ ვტირით, როცა დავაყრით ერთ მუჭას მიწას საფლავს ჩვენის მოყვარისასა, გამოათრია ნაპირზედ მულანურ გადასტა ცხენზედ და უთხრა იმასაც რომ გადასტეს საბრალოს გული ასე გაუპატარავდა რომ კაკალში დაეტეოდა:—

ჯერ საქმე არ დასრულებულა, ჰსთქუა მულანურმა. შენ დამალე ქორწილი ისკანდარ ბეგისა? შენვე უნდა ადრინდელებ მოახერხო. საწერელი სართულში გირჩევა, მისწერე მირზა ჰჯი ფეთხალის, რომ შენ აღარ გინდა შერთო იმის ძმისწული შენ ძმასა; მიჰსწერე რომ, არ უნდა შენ ძმას, არ შეუძლიან შერთვა, ამისათვის რომ ის მექაში წავიდათქო, რომ იქ ავათ გახდა, და ჩაძაღლდათქო, მოიგონე რაც გინდა, მხოლოდ ისკანდარბეგ შეიქნეს ქმარი თავის დანიშნულისა, თორემ იცოდე უვადოდ დაგაქორწილებ ხურიებთან; მისწერე, იცრუვე მომეტებული ტყუილი არ გაგალარიბებს— არასდროს დაიჯერა განწირულმა მულა სადექმა, ეგ არა დროს არ იქნება, შენ წამართვი რაცგა მებადა; და რაც მექნება წინათ წამართმევ ერთად ჩემ სულთან:—

მართლა? უთხრა მულანურმა, დაადაჰკრა სამჯერ ტაში, თორმეტი ავაზაკი ერთი, ერთმანერთზედ მაღალი, წამოადგნენ უეცრად მულა სადექს თავსა და გახვრიტეს საშინელის თუალებითა; ეი პატიოსან მულას ჰსურის დასწეროს წიგნი უთხრა მათ მულანურმა, მოუმზადეთ რაც საჭირო იქნება იმის მაღლ ხარისხებისათჳს, ერთმა ლეკმა პატივით ამოაძრო მულა-სადექს სართულიდან საწერელი, მოართვა ქაღალდი გაეშვილი ვერცხლიანის არშიებით. მესამემ შეუბერა ლერწმის კალამს; მაგრამ მულა-სადექ ჩურჩულებდა არ დავსწერ, არასდროს. მაგრამ გარეშეხედა, ნახა რომ ამ ულაბნოში ვერავინ მოეშველება, ოხვრით მიჰყო ხელი, მაგრამ პირველად ცუდათ დაიწყო საქმე:—

თუმცა რვაჯერ საწერელში მოლამან ჩაჰყო კალამი.
მაგრამ რვაჯერვე შიშითა, ვერა დასწერა სალამი.

მასუკან ამას ეჩვენა რომ აჯეჯს არა ჰქონდა წუწნი, მას-უკან გონება გაუხდა. უმეტეს აჯეჯისა: დაჰსწერე გინა შენი სისხლით, იფიქრე გინდა მუცლით, დაიყვირა გაჯავრებულმა მულანურმა, შენიშნა, რომ სადექ ყოყმობდა, ჩქარა დაწერე თორემ ასეთ, დაუზირს დაგასვამ წარბებ შუა, რომ ეშმაკიც ვერ მიჰვდეს, რა ასოსა ჰგავს შენი ცხვირი: როდესაც უსტარი იყო დასრულებული, დასასმელი ბეჭედი აბდულუ მულლასადექ იბნ ახმედ. მონა სადეკ ახმედის ძე.— მულანურმა დაიყარა თავზედ ფული სრულიად რაც ადრევ წაართვა—

აი შენი ოქრო სადექ! წაიღე უკან, და თქვი ვინ არის მედაშენში ვერცხლის მოყვარული და ქურდი.— მაგრამ ეს ჩუქება არარის ეს არის ფასი, შენ უნდა ოქროთი დაჰფარო ჩემი სახელი შამახიაში, გაშავებული დერბენდში, და ქება შემასხა შამახიის მეჩითში, წადი მაგრამ გახსოვდეს, თუ მადლობა და ან შიში არ აგასრულებინებს, ამას, მაშინ წინათვე იცოდე რომ ჩემი ტუჯა გიპოვნის შენ, ხმიან ბაზარში, და საიდუმლო გზაზედ, ცოლის მოხვევნულების დროსა, ხანის არამში, და ტებრიზის მეჩითის კარებში, შენ გამოსცადე რომ მე ყველა-ფერი ვიცი. მე გარწმუნებ რომ ყუფლა შემიძლიან:—

გახარებულმა მულა-სადექმა, მაშინ დაიჯერა თავის განთა-ვისუფლება, როდესაც ჩაითვალა უკანასკნელ აბაზამდე თავის საყუარელი ფულები, შიშმა რომ მულანურმა არ უკუ იფიქროს აღარ დაასრულებინა კარგათ ჩაბარგება ფულისა, შეჯდა ცხენზედ, და წავიდა ჭენებით;—

ორის დღის შემდგომად, მულა-სადექ. განსაკვირველად შამახიელთა უხვად ვითა წყალი ამდინარებდა თჳსსა ენას ქე-ბითის წყალით მულანურის ზომიერებას, დიდ სულოვნებას, უწოდა არა ავაზაკი, არამედ მფარველი გზათა, ლომად მქო-ნედ ტრედისაებრ ჩვილის გულისა, და მსმენელთაგანი თუ ვინმე შეცრად ხანჯალზედ ხელს დაიდებდა მულა-სადექ გაუვითლდე-ბოდა და მოაბრუნებდა ქადაგებას მულანურზედ ასხამდა მის თავ-

ზედ ვარსკჳლავთა, გარე ახვევდა მას ყჳავილთა, ჩააცვა იმას ყოველი პირუტყვის ტყავი. ხალხი ერთი ერთმანერთ უჩურჩულებდა რომ პატიოსან მულას უთოთ მოპატებული თრიაქის აბი ჩაუყლაპამს.— ეტყობა რომ წიგნმა მირჰჳი ფქთსალისათან მიწერილმა იმოქმედა კეთილად, შემდგომად იმ წიგნის მოწერისა ერთობრ ღამის სიმყუდროე იყო გამქრალი ზურნისა დ̃ დაფის ხმითა, ყვირილით კიჟინით დ̃ სიმღერით მაშხალანი ანათებდნენ ვიწროსა დ̃ ბნელსა ქუჩებსა: მიჰყვანდათ დანიშნული მშობლის სახლიდგან ისკანდარის სახლში: ქჳჩითნი დ̃ ცხენიანი კაცნი დ̃ ქალნი შეუდგებოდნენ ქოლგისაებრ ტრასტავანდსა, სადაც როგორც ღრუბელში მთვარე იჯდა მშვენიერი ქიჩქინე, ხმა მილოცვისა ხვედა ჰაერსა, სახლის ბანებიდან ისროდნენ თოფსა მაღლა, არავინ ისროდა ძირსა, ეტყობოდა მთელი დერბენდი განცხოვლდებოდა სიყვარულით დ̃ სიმხიარულით ბედნიერის ისკანდარისათჳს:—

ისკანდარ ჭლექდებოდა მოუთმენლობისაგან სიყვარულის ციება ათრთოლებდა, ხან ცივად დ̃ ხან ცეცხლებ. მოესმა რახმა ზურნის:, ის ოცჯერ მეტათ გამოვარდა კარზედ არ იგონებდა თავის ბებიის ჯვარობას, რომ არ დაერღვია ჩჳჩულება ქორწილების წესისა, აი მეორეთ ძლივ გამოყო თავი კარებიდან ამ დროს ვიღამაც ცხენიანმა გამოუშვირა სამკლავიანი პელი· ალლას! ვერსინ! იალე ისკანდარ, ჰსთქვა მან, ღმერთმა მოგანიჭოს, ბედნიერება დ̃ მაგრა მოუჭირა ხელზედ განკვირვებულ ბეგსა, მიაბრუნა ცხენი დ̃ შეხჳდა უსუფს, რომელიც ყჳჩლაზედ წინ მოუმღოდა ქორწილშიაც ჰკჯი უსუფი, ასე უეცრად იყო მოწყლული, რომ გაუშო აღვირი ცხენისა, დაიწყო ყვირილი მულანურ შემიბრალე! აირივა ხალხი ყვირილი მულანურ აქარის, მულანურ დაიჭირეთ ცხენოსანნი გამოუდგნენ უკან დერბენდის დასვლანჯილ გზაზედ, გალავნის კარები იყო დაკეტილი ვერსად წავიდოდა, შორით მიზდევდნენ მას, მიაჭენა მულანურმა იმ კედლამდის რომელიც ზღვამდინ იყო ჩაბჯენილი იქ შედგა საშინლად ზვირთდებოდა, დ̃ ტრიალებდა ზღვა, მტერნი მოეწივნენ, უეცრათ მათრახი გაელვარდა სიბნელეში დ̃ ის დაითვარა კასპისკის ზვირთშია:—

დიდხან გაშტერებულნი უყურებდნენ მღევარნი ზვირთნი თემურად გაშფობდნენ დ̃ ბრწყინჳალედ შეიმუსრნენ კლდეზედ

ის დაიხრჩო ის დაიღუპა დაიყვირეს ყოველთ ერთის ხმით საში- ნელმა სიცილმა და კასკასმა უპასუხა მათ კედლის იქით— მაგრა აქუს შეკეტილი კარები ისკანდარს, არის მყუდროება იმის საწოლში: მხიარულება ეძებს ხმიანობს და ხალხს, ბედნიერებას უყვარს მხოლოობა; სიმყუდროე და მდუმარება; მაშ ჩვენც ნუ ავღრევთ მყუდროებას ახალ დაქორწილებულთ, მე მხოლოდ გამოვესალმები ჩემ მკითხველთ რომელთაც გააცილეს ლამაზი ქიჩქინე საქრმოს ხახლის კარებამდის.

გადათ. თ. გ. ერისთავისა.

## სწავლა და ხელოვნება

### საბა ორბელიანოვის მოგზაურობა.

ა. მარიამობის თთუეს წავედით, წმიდის სევასტიანეს მონასტერში. აღმოსავლის მხარეს, ძველს ჰრომს იქით ერთს ქუჩზედ კიდევ შორ იყო. მივედით, შევედით მონასტერში, დიდი და კარგი მაგრამ სხვების თანა შენებულება არ იყო. შუა დიდს ტრაპეზს ქვეშ წმიდა სტეფანე პაპა მოწამე, ესაფლავა. მარცხენას მხარეს ტრაპეზში, წმიდა სევასტიანე და ძირს წმიდის სევასტიანეს სახე. მარმარილოს გათლილი ისრები, შიგ ეჩარა, მკუდარი ასე ეგონა აწ მოუკლავსთო, მარჯვენას მხარეს ტრაპეზზე ესვენა, რომიდამ რომ პეტრე გაიპარა წინ ქრისტე შემოეყარა ჯვარი ეკიდა, ჰრომს მივიდოდა, პეტრემ ჰკითხა, უფალო სად მიხვალო? ქრისტემ უბრძანა მეორედ კაცთა თჳს ჰრომში მინდა ჯვარს ვეცვაო, პეტრე გონებას მოეგო, ქრისტე აღარსად იყო, და ორივ ფეხი ქვაზედ აჩნდა, იმ ქვაზედ ფეხები აჩნია ქრისტესი წმიდა პეტრე და პავლე! უწინ იქ საფლავებულან სამასს ასს წელიწადს.– დაბლა სამარტვილეში, და თვითო მათი კბილი იქავ დაუსვენებიათ იმ ტრაპეზედ იყო, სხუა სხუაგან დაუმარხავსთ, წმიდის ორბანოს პაპის მოწამის თავი ანდრია მოციქულის მკლავი, წმიდის მოწამის ლუკას თავი, წმიდის როკოს მკლავი. წმიდა კალინიკე პაპის მოწამისა თავი, წმიდის ქრისტ ორეს მკლავი, წმიდა ვალენტინა, ქალ-წულ მოწამის თავი, წმიდის სებასტიანეს მკლავი, წმიდის რომ პაპის სტეფანეს თავი, სევასტიანეს მინაქრის სვეტის ნატეხი. და ორი დიდი სკივრი მრავალი ნაწილი, ას სამოცდა ექვსი ათასი წმიდის ნაწილი ძესო, იქიდამ ჩაგვიყვანეს წმიდა პეტრე პავლეს საფლავი ვნახეთ, გამოგვაბრუნეს სხუა კარი გაალეს, ჩაგვიყვანეს სანთლებითა ძველის

ჰრომის დარანი რომ ყოფილა ქრისტიანენი, იმაში დამალულა-
ნი და წმიდა პაპები, და ვისაც აწამებდენ იქ დამარხევდენ, მოი-
პარიან. — სიარული მოგვეწყინა, აქათ და იქით ზოგან ოთხი
საფლავი იყო, ერთმანეთზედ, ზოგან სამი, ზოგან ერთი.
მრავალი გამოქსვენებინათ, სხვაგან დაემარხათ, და უანგარიშო,
და კაცთ შეუგებელი შიგავ არის. ვისიც სახელი არა ჰსცოდ-
ნიათ, ერთი ხურმის ფოთოლი ქვაზედ მოუჭრია, და ერთის
ჭიქით თავისი სისხლი თავით უდგას, ზოგს, და ზოგს მარტო
ხურმის ფოთოლი აქჳს, მრავალი კარია, მიწით ამოვსილი, თუ
სანთელი გაუქრა კაცი გზას ველარ გაიგნებს, შიგ საყდრები
არის. სახლები უანგარიშო, იქიდან წამოვედით გზაზედ, სა-
დაც ქრისტე შემოჰყროდა, იმ ადგილს ერთი მომცრო ეკკლე-
სია აეშენებინათ, და იმ ქვის მაგიერ, ერთს მარმარილოს ქვა-
ზედ, და ის დაედვათ. და ზედ რკინით გარდეჭრედათ ნიშნად
და აქათ ქრისტე ჯვარ აკიდებული, ეკლის გჳრგჳნიანი, ნაცემი
დასისხლებული, იმ დღისათჳს იდგა, და იქით პეტრე დახატუ-
ლი იყო, ის დღე გეგონებოდა რომ გენახა: სადილს უკან წა-
ვედით, წმიდის ფილიპე ხუცის საფლავზედ, ას თექვსმეტი
წელიწადია რომ მიცჳლილა, რომელიც პირველ, საკვირველთ-
მოქმედი გსმენიათ, ისე საკვირველთ მოქმედია, სიცოცხლეში
კაცის ცოდვის სიმყრალე აწუხებდა, და მრავალი უცხო სასწა-
ული უქნია, და დღესაც იქ, ორმოციოდ ხუცესი იდგა, მისი
ხუცები უფრო სხჳა რიგად იქცევიან, მაგრამ რომ შეველ, მის
მონასტერში გაკვირვება დამეცა, ან ეკკლესიის სიკეთე და
შემკობა, ან ნაშენობა, ან სიმდიდრე და კანდელი, ნაწილი და
სასანთლე მგონია შვიდასი ლიტრა ვეცხლი იყო, თორიეტი
მთელი კაცის ტოლი, ვეცხლის წმიდები, მაგრამ ყველას
ვერას თავს გაუვალი და ამას იტყვით. ყველას ასე ჰსწერს
თურმე ტყუისო, სხჳა და სხვა რიგი, დაწერილი უანგარიშო,
ამას დაგიწერ, წმიდა გიორგი საკვირველთ-მოქმედის თავი
და წმიდა ეგნატი, ღმერთ შემოსილისა, ისევ ბერძნულის
გჳრგჳნით, ბისონით, ომფორით, ნაწილები კაცის ტოლები, და
წმიდა სფირიდონ საკვირველთ მოქმედის მარჯვენა მკლავი
იქ იყო, უცხოთ მორთული მონასტერი მომცრო, გაუწყობე-
ბელი წალკოტი შვიდი, რვა შადრევანი. მაგრამ უცხო ქჳშები
და აკატები, ან პარაგონის ქჳშები, გამიკვირდა თეთრი იამანები
ზედ თავისის ბუნებით ხეები ყვავილები. შავად ამოსული

თვითო მტკაველი, და ნაკლული: მრავალი სხვა ფერი გავოცდი იმ წმიდის ფილიპეს საწირავი: ადგილი სენაკი საწოლი ლოგინი, ქვეშაგები წიგნები. სულობით ნაწილად ჰქონდათ პატივით, მისი გული უცხოთ მოჭედილი და მორთული ამისათანები მრავალი, ძელი ცხოვრებისა, და სხვა მრავალი იქიდამ წმიდის როკოს მონასტერში მივედით: წმიდა როკო ფრანცას სასოფლავია. მაგრამ ერთს ეკკლესიათ ისიც ღირს იყო, უცხოდ შემკული იყო, ქსენონიც იყო:— ბ. მარიანობის თჳს წავედით, იოანე მახარობელის მონასტერი რომ დავსწერეთ, კონსტანტილე მეფის აღშენებული, წმიდის პაპის ეკლესია, და სადგომი ის არის. პაპა მისი ეპისკოპოსია, პირველ ჰრომში აშენებული ქრისტიანობაში ეკკლესია ის არის- და მერმე რომ წმიდის პეტრეს სასოფლავი აღუშენებიათ. რომელიც პაპა იქ დამდგარა ის თავისი სასახლე ობოლთა თვის დაუგდია. რაც ჰრომში ობოლი ქალი უპატრონო. და თუ ვისმე პატრონს შენახვა არ შეუძლია იქ მიიყვანს, რვა ასი ქალის ადგილია, ხან მოემატება ხან დააკლდება, ჩემო ბასოთხასი იყო, პატარას მიიყვანენ ყოველს საქმეს ასწავლიან, ჰსჯულის საქმეს. მერმე ქალოვნობას ენკროატისები ადგანან მოძღურები და მწირულები. ყოვლის ფერით გარიგებულია· სასმენელად სასიცოცხლოდ, რომელიც მოიდნომებს მონასტერში შევა· რომელიც მოინდომებს ქმარ შეირთავს, სასაქმოს სულ პაპა მისცემს. სასმელ საჭმელს ტან-საცვამს. და რასაც ისაქმებენ, ოთხი მონასტრისა, ერთი თავეთი, რასან გავლენ, ას მა რჩილს მზითევს გატანს, ოცს წლამდის ვერ გათხოვდება, ოცის წელიწადისა რომ შეიქმნება თჳთან რაც უნდა იქს, ასს მარჩილს მისცემენ, იქ ვერავინ შევა, პაპის ბრძანება გუქონდა, და მისი კაცი დაგვიძღოდა, კარები დაგვიღეს, სამზარეულო სამუშაო, საცსადოდ ყუელა გუაჩუენეს, თუარა როგორც, სხუა დედათ-მონასტერი ისეა. ვერავინ ნახავს, ვინც თავის დისა და შვილის სანახავად მივა, ფანჯრიდამ ნახუენ, ჩუენის გულისათჳს იგალობეს. მაგრამ გავჰკჳრდი, მრავალი კაცი კელთ-საქმარი ვნახე მათი გაკეთებული, ზევით რომ ყრმათ ობლების მონასტერი დავჰსწერე მათს ტანის-სამოსს ქსენი დაჰკერუენ, დარეცხენ, ვისაც ქმარი მოუნდება მათგან შერთუენ. იქიდამ შამოვედით, წმიდის კლემენტოს რომ პაპის მონასტერი ვნახეთ მჳწლი და დიდის ხნისა იყო, წმიდა ეგნატი მოწამე. იოანე მახარებლის მოწამეე იქ

ესაფლავა, ახლა ეს წმიდა პაპა აკეთებდა: რადგან ამასაც კლუ-
მანტოს ერქვა, რაც ძველი იყო აახლებდა კაი მონასტერი
სოფიოდ დახატული. კაი მარმარილოს სვეტები. კარდინალების
სასხდომი. სულ თეთრი მარმარილოს უცხო გათლილი. იქიდამ
წამოვედით წმიდა ფრანჩიკო ჭრომელის მონასტერში მოვედით.
წმიდა ფრანჩისკო ქმრიანი ქალი ყოფილა ასეთი წმიდა ყო-
ფილა. რა ლოცვად დადგის: ანგელოსები უგალობდენ. ახლაც
უცხო საკვირველთ-მოქმედია, ის ეკკლესიაც უცხოთ იყო
შემკული და დიდათ, და გარეთ და შიგნით საკვირველად გაკე-
თებული, მრავალი უცხო ქვები, და თავის თავთ იამანები ვნახე.
ბუნებით დახატული. და მისი საფლავი. შუა ტრაპეზს წინ.
უცხოთ შემკული. და ლუსკუმა სულ ვეცხლისა დაფერილი. და
ზედ მისი სახე ვეცხლისა გამოყვანილი. მძიმედ დაფერილი.
ცალს მხარეს, პეტრე, სვიმონ მოგვი რომ ჩამოაგდო, ქვაზედ
ეჩოქა ის მუხლები ეტანა, მრავალი უცხო ხატი, და მარმარილო
მოჭრილი, სხვა იყო მაგრამ ერთს სამწირველოში ექვსიოდ
სასანთლე იყო სისა თჳთო ანგელოსს ეჭირა, ყოვლის უცხო-
საგან ის უკეთ მომეწონა. უცხო რამ გაეკეთებინათ, იქიდამ
წამოვედით, წმიდის მარტინას საფლავზედ მიგვიყვანეს: ქალ-
წულ-მოწამე იყო, ეკკლესია ჯვარის სახე იყო, და ყველა ამის
ცდილა, მე უკეთესი ავაშენო, მე უფროსი ხარჯი ვქნაო, და
მეც მიკვირს სად გამოვიდა ამდენი უცხო ოსტატი, სხვა იქი-
ურს უცხოებს არას დაგიწერ, სამარტვილეში ჩაგვიყვანეს, რო-
გორც ზეით საყდარი იყო აშენებული ქვეითაც ისე იყო,
მაგრამ როგორც შავს ქვას ცუდს ბროლი ჰსჯობს, ისე ზე-
ითს ქვეშეთი ჰსჯობდა, ოცდა ხუთი უცხო სვეტები ფერადი
მარმარილოსი, მაგრამ უფროსი ერთი ლურჯი იყო, შიგავ
ეპოვათ, ეს ქვები და რავდენი უცხო აკატის ქვა დიდრონი,
ან იასპი, ან ლაჟვარდი იყო, არ ითქმის, ოთხს მხარეს ერთ-
ში ესაფლავა წმიდა საბიანა ქალწულ-მოწამე. მეორეში დე-
როთია ქალ-წულ-მოწამე. მესამეში თეოდორა ქალ-წულ-მოწა-
მე მეოთხეში ევფემია ქალ-წულ-მოწამე იმას წინ საკურთხე-
ველის ძირში წმიდა მარტინა ქალ-წულ-მოწამე და კონკორდი
კაცი მოწამე. და ეპიფანე კაცი მოწამე, სამნივ ერთად ამათს.
საფლავზედ სულ იასპი. და აკატი და ლაჟვარდი იყო შემკობი-
ლი მაღლა ერთი ხატი იყო ყოვლად-წმიდისა, ქრისტე ეჭირა
და მარტინას წის ეჩოქა, და ზეით კიდევ ის სამნი მოწამენი

იდგენ თეთრის აკატისა მთელი გათლილი. გასინჯეთ სასჯელი უნდა ან რა ფასისა იქნება, სადილს უკან წაველით წმიდის პეტრეს ეკკლესიას იქით. ერთი ეჯი ნამეტნავი იყო, სხვა კარმელიტიანების მონასტერი, წმიდა გრიგოლი დიოლოღოსის სასახლე. და დიდად ჰყუარებოდა ის ადგილი, მისი ნაჯდომი სკამი, და ადგილი ეკლესიაში, დიდი ეკკლესიაც იყო, აქათ იქით, ექუსი სუეტი ნაგები ჰქონდა ძირი უცხოთ შეწყობილი კენჭები. სულ კაის ქვისაგან ზოგი სოფიოთ გუმრდები, ზოგი დახატული, ძუელად ბერძენთაგან სალხინებელზედ, მირს ოთხი პორფირის სუეტი, თჳთო სამი ადლი, და ზეით კამარაში სალხინებელში. ოცდა რუა პორფირის სუეტი. თჳთო ნახევარ ადლი. და იმას ზეით, რუა პორფირის სუეტი. იმავ ტოლი, და ერთი ტრაპეზს წინ ორი სახარების წასაკითხავს წინ, ერთი სამოციქულოს წასაკითხავს წინ, ერთი მარჯუნივ სხუას ტრაპეზს წინ, და ერთი მარცხნივ პორფირის ქუაბი იყო, სიგრძე თჳთო თორმეტი მტკაველი, განი ექუსი მტკაველი, მაგრამ სხუა ქუაბები მისი უმცროსი პორფირი, თუ ალაბასტრი თუ აკატი, ურიცხვი, მარმარილოსა, და გრანიტის სუეტები. პარაგონის ქუაბები ამ გუარები, და ისიც ჩაისულებოდა ეკკლესიას ქუეშ, როგორც წმიდა სევასტიანეს საფლავზედ იყო დარანი და ჩასავალი, ჩაგვიძღუნენ სანთლებითა უსაგარიშოთ: ტრაპეზს ქუეშ მიელოთ ზოგი სხუაგან მიეცა, წმიდა პავლს და სხუა ისევ იყო. ჯერ გზებიც არ გაეხსნათ, წმიდა კლემენტინე პაპა მოწამეც იქ ეპოვათ და მრავალი სხუა, წმიდა გრიგოლი დიოლოღი. თურმე ამისთჳს ეწყობოდა იმ ადგილს შიგ სხუა მრავალი უსაგარიშო მაგრამ მოჭედილიც, და შემკობილიც ნაწილი უცხო მრაუალი გუაჩუენეს უცხო ბროლის სასანთლეები, უცხო ბროლის ჯუარები, ამ გუარები მრავალი რამ:—

და, მარიანობის თუეს წაველით, იოანე მახარებელი სადაც ადუღებულს ფისში ჩააგდო, ნერონმან, გზის შუა გულზედ ერთი მომცრო მგრგუალი, სამწირუელო იყო ოთხი კაცი თუ დაეტეოდა: და ტრაპეზს ქუეშ ის ქუაბი იყო. სხუა არა რა. ოღონ ტრაპეზი მარმარილოსი იყო და კანდლები შემკული იმ გზის იქით, სხუა იოანე მახარებლის ეკკლესია იყო: დიდი და ძუელი სუეტებიც კაი ჰქონდა, წ მოველით ერთი საკერპო უოფილ-იყო, სიმართლის ღმერთს ეძახდეს, თურმე, ერთი დი-

დი ქჳა იყო კაცის თავი პირი ღია, იმაში ვინც ჴელს შეჰყო-ფსო, თუ მტყუჳანიაო, მოუჭირებს და მოსტეხს, ამაზედ ღმერთს ეძახდენ, თურმე ის ქჳა იქივ იდჳა. და ის საკერპო ეკკლესიად მოექციათ, მართლის ღჳთის დედისა, კაი ეკკლესია იყო, იმ კერპისას თურმე ასე იტყოდენ, ერთს კაცს ცოლი გაუბოზდა შეეტყო და შესწამაო, დედაკაცმა შორს დაიჭირა, ქმარმა უთხ-რა თუ მართალი ხარო, სიმართლის ღჳთის პირში ჴელი ჩაუყაო, დედა-კაცს რა ღონე ჰქონდაო, ორის დღის უკან პი-რობა მისცაო თავის მუსაიბი იპოვა. უთხრა ჩემმა ქმარმა ასე მომიდჳა, სიმართლის ღმერთთან მიგიყჳანო თუ ჴელს ჩაუდებ, ხომ მომტეხსო. იმ კაცმა უთხრა, ნუ გენაღვლება მე სხვა გლახურად მოვირთვი თავს მოვიგიჟებო, გზაზედ დაგიხვდებიო და გიჟურად გაკოცებო, შენ სიმართლის ღმერთთან ასე უთხ-რო. რაც შენ რომ ნახე, ის კაცი, რომ მაკოცა და შენს გარდა ვიცოდე ვისთანმეო ჩემიმც ჴელი მოუჭამიაო. და ამით მორჩებიო, ის ჰქნა დედა-კაცმაო და მასუკან პირი აღარავის მოუჭირაო, მაგრამ ის კერპი იქავ საყარის კარის ბჭეში ქს: იოანე მახარებლის ქჳაბის ადგილს, ახლაც ერთი იმ გჳარი დარანი გამოჩენილ-იყო მოწამეთა რომ დავჰსწერე, ოთხიოდ ზანდუკი სავსე ნაწილი პაპასთან წაეღოთ და სხჳა კარი ისევ დაებურათ, არავინ იცის რა არი, შიგა ოღონდ ეს იციან ისიც სამარტჳლეა დიდი, იქიდამ სხჳას საკერპოში მიგჳყჳანეს: გარ-შემო სულ, სჳეტები ყოფილ-იყო, ზედამ გამარა, მზის ღმერთს ეძახდენ, თურმე, და აწ სიმართლის მზის დედის ეკ-კლესიათ ეკურთხებინათ, მომცრო ეკკლესია იყო იქიდამ მი-ვედით, მარიამ მეგჳპტელის ეკკლესიაში, მომცრო-ობა ეთქმო-და მაგრამ მჳწლი და კარგა ნაშენი იყო, სომხები ვინც მივა-ლენ იქ დადგებიან იქ სმენ და ჰსჭამენ, ვინც უკჳდება იქ დაემარხებიან. გრიგოლი პართეველი დასატული და მისი სა-ტანჯჳწლები:—

ე. მარიამობის თვეს პაპის მქადაგებელი ვნახეთ წაველით, და იქიდამ გამოვბრუნდით. წმიდა გრიგოლი დეოლოღის სახ-ლი ვნახეთ. მონასტრად იყო, მრავალი კაი სვეტები და ძირი, უცხო მოფენილი ხათაბანდათ ზედამ ხით იყო დახურული. იქ ვნახეთ ტრაპეზს ქვეშ, მრავალი ნაწილი წმიდათა, სხჳას ტრაპეზს ქვეშ, წმიდა მოწამე პანტელეიმონ, სხჳას საწმირველ-

ლოში. წმიდა სილივია წმიდის გრიგოლის დედა დამარხული, წმიდის გრიგოლის ტაბლა, რომ გლახებს პურს აჭმევდა, და ანგელოსი დაუჯდაო, წმიდის გრიგოლის საწოლი, და სალოცავი სახლი, წმიდას გრიგოლის რომ ყოვლად წმიდისა ხატი გამოელაპარაკა, ის ხატი, იქიდამ გამოვიარეთ სადაც წმიდა პეტრე და პავლე საპყრობილეში ება, ის ვნახეთ. ერთმა წარმართმა პავლეს კელი უწია, და პირი ქვას მოახვედრა, სახე ზედ გამოაჩნდა ისქვა, წმიდა პეტრე და პავლე რომ იმ ხაროში იყვნენ რასაც წყლით ნათელს ჰსცემდენ ის წყალი:—

ვ. მარიანობის თვეს წავედით, წმიდის ბალბინა ქალწულ მოწამის მონასტერში. მისი საფლავი იქ იყო, და წმიდა კვირინე მამა მისი მოწამე, და სხვა წმიდა ორბანს პაპა მოწამე. და წმიდა ფილიქ-სიმონა, მოწამე, და წმიდა ალაპის-ტოს მოწამე, წმიდა მავნოს მოწამე, იანვარა მოწამე, წმიდა ბიკენტი მოწამე, და ხუთი სხვა მოწამე მთელი, სახელები არ იციან და ერთი დარანის კარი, იქ იყო შიგ მრავალი მოწამე, ჯერ კარი არ გაეღოთ:—

ზ. მარიანობის თვეში წავედით, ერთს მონასტერში, რომ რომის დარბაისლის შვილებს ჰსდიდენ. ყოვლის ზნეობას. ბერები ასწავლიდნენ, ის დღე მიცვალების უკან კვირა დღე იყო ყოვლის, იმ დღეს იქ შეიყრებიან კარდინალები და ეპისკოპოსები, და დიდრონი თავადები ყმაწვილების სანახავად რომ ვის რა უსწავლია, ნახონ, ადრიან მივედით, წინას დღეს კიდეც მოვიდენ, ორი დიდებულთ შვილი, და მაწვიეს იქა მათის წინა-მძღვარის მაგიერ, შევედით წინამძღვარი კარზედ დამხვდა, სულ მონასტერი გზა სახლი თუ სამწირველოები, სულ წითლის ქამხით მოეფარდათ, კაის აშიებითა, დიდად შეემკოთ, ერთი, დიდი სახლი მოეფარდაგათ მძიმეთ ზედათს თავს ოთხ რიგად ხარისხად მგალობელთა, და საკრავთა მკვრელ სასხდომი იყო, შუა სამი მგალობელი, იჯდა. მაღლა ცხრა ჭიანურის მკვრელი, იმას დაბლა მგალობელს აქათ იქით, ოთხი დიდს ჭიანურს, უკრევდა, ერთი წინწილისა, და ერთი ხუთ ძალსავით, გრძელი რამ საკრავი იყო. ერთი მხარი ტარი უფრო ჰქონდა, სიგრძე შვიდიოდ ალყა ება, და კელს ასლო მრავალი ალყა, დაბლა შუა საქადაგო, მაღალი სავსალმუნი დაედგ

გათ, ხუთი სკამი კარდინალისა თვის აქათ, და ხუთი იქით, კარდინალების უკან, ცოტა რამ გზა დაეგდოთ გასავლელი ეპისკოპოსების სკამები იდგა, სულ სიმგრგვლეზედ ორმოცა-მდის, და მათს უკან ზედა სამ-პირად წინა-მძღჳრებისა, და კედლებში მაღალ დაბლობით, ოთხ-პირად, სულ თავადების სადგომი. შეველით ერთს კაის ადგილს ჩვენ დაგვაყენეს, მო-ვინჯნ მგალობელნი, და მკჳრელნი, თავის ადგილს, და სხდენ, მოვიდენ კარდინალნი, და ეპისკოპოსნი ყოველნი თავის ადგ-ილს დასხდენ, აგრევ თავადნი, და დაუწყეს კვრა, მაგრამ კაცის ყური შეიშლებოდა, ის სამი მგალობელი შეუხმობოად თვითო თვითო გალობდა, ერთი წვლილი ჴმა, ერთი საშუალი, და ერთი ბოხი, მაგრამ მოსწონი იყო, რა ერთი ქელი იგალო-ბეს, ერთი ყმაწვილი წამოაყენეს, კარდინალებს ყვაჴლები. ჩა-მოურიგა, თჳთო მართალი ყვავილი, აქათ იქით, თაყჳანის-ჴსცა, და შედგა სათვსალმუნეზედ, და ყოვლად-წმიდის მიცჳალებას ლათინურად იქადაგა, გაათავა. აგრევ მგალობელთ ყოვლად-წმიდის გალობა იგალობეს, რა დასრულეს, მეორე ყმაწვილი წარმოდგა, ეს უფრო იყო, იმას აგრევ კარდინალებს თაყჳა-ნის-ჴსცა. და აქათ და იქით, აღვიდა სათვსალმუნეზედ და ყოვლად-წმიდის ამაღლებაზედ იქადაგა, მერმე ისევ მგალობელთ დაიწ-ყეს გალობა, და მესამეზედ ერთი პატარა ყმაწვილი შედგა, იმან ყოვლად-წმიდის მარჯვენით ღვთის დადგომისა თჳს ბერ-ძულად იქადაგა. ბერძნის შვილიც იყო. წამოველით, სადილის უკან პაპის სამადლოდ, რომ ბერძნისა, სომხისა, და არაბის შვილები და სხჳათა იზრდებიან, იქ მივედით, ისევ კარდინა-ლები მოვიდენ, და ეპისკოპოზები, მაგრამ სიმდიდრე, იმ უწ-ინდელებისა, უფრო ჴსჩნდა. დაჴსხდენ ჯერ ერთი ყმაწვილი შედგა იქადაგა, და რა გაათავა ამათში მგალობელნი არავინ იყო, გათავებას უკან, პირ-და-პირ, ცამეტი ყმაწვილი კაცი ისხ-დენ შუა უფროსად, ერთი ეთიოპელი შავი იჯდა, ადგა კარდინალებს. თაყჳანის-ჴსცა, და ღვთის-მეტყველება დაიწყო და სხჳამ სიტყჳა უგო, დიდს ხანს ილაპარაკეს, მერმე ეთი-ოპმა მათის ენით ყოვლად-წმიდაზედ ქების ლექსები ჴსთქჳა მისგან გამოთქმული, და სთქჳა მე ეთიოპი ვარო. ამა და ამ ადგილისაო, სახელი თავისი და კარდინალებს თაყჳანის-ჴსცა დიდად, სამმა პატარა ყმაწვილმა ისევ ყვავილები ჩამოარიგეს, და ყოვლად-წმიდის ამაღლების ხატები კარდინალებს ოროლი

მიართვეს. და ხნჳათ თითო. მერმე სხჳა ადგა, აგრევ დაიწყო მეტყუჳტლება, და ყოჳლად წმიდაზე ლექსი ჰსთქჳა, და ჰსთქჳა მე ლათინი ვარო და დაჰსჯდა სხჳამ თაყვანის ჰსცა და ლექსი ჰსთქჳა აგრევ, და მე რუსი-ვარო, და დაჯდა, სხვამ მე ბერძენი ვარო, და სხვამ მე მეგჳპტელი ვარო, სხვამ მე ნემსა ვარო, სხვამ მე ბოშნალი ვარო მე სპარსი ვარო, სხჳამ მე ებრაელი ვარო. სხჳამ მე თურქი ვარო. სხჳამ მე ასური ვარო ასრე ყველამ თჯთო თჯთო, სხჳა და სხჳა რიგისა, ენა და ლექსი და სიტყუჳა იუბნეს მათმა ეპისკოპოზმა, კიდეც მიხუმრა ქართვე-ლი გვაკლია, ყმაწვილები გამამიგზანეო, ასე ვასწავლიო, და იქავ გამოვგზანიო. მაგრამ ეს არც ხუმრობა იყო, მართლა მთხოვა, პაპის ბრძანებითა, მერმე სამი ყმაწვილები წარმოდ-გნენ. იმათ იდავეს, დიდს ხანს, და არ მესმოდა, რას ამბობდენ, მაგრამ კაი რამ იყო, გაათავეს და წამოვედით:—

თ: მარიამობას თთჳესა წავედით. ერთს კარდინალის-ერთი მონასტერი აეშენებინა. ეკკლესია პატარა იყო. ორი მღჳდელი იდგა, რაც ღარიბი და გამოვარდნილი. ლუტერანი იყო. თუ სომეხი, თუ ასურით, რაც მწვალებელი მოვიდის. იქ შეინახვდენ, ასმევდიან, აჭმევდიან. ჩაცმით დახურვით. ესჯული ასწავლიან. და გაუშვიან. ორმოცდა ერთი წელიწადი იყო რომ აშენებულ-იყო, სამი ათას ოთხას, ოთხმოც და თვრამეტი სული მოუქცევიათ, და ქრისტეს-თჳს შეეწირათ, ჩემობას სამოცამდის იყო, მაგრამ ყველა ვერ ვნახე, ზოგი გარეთ იყო:—

ი: მარიანობის თჳჱს წავედით, წმიდის ათანასე ალექს-ანდრიელის მონასტრები, სულ ბერძნები იდგნენ, მონასტერიც კაი და პატიოსანი, დაკარგა შემკული ჰქნდათ. ოღონ სჳჱტე-ბი და უცხო ქჳჱბი არა იყორა, მაგრამ თეთრის მარმალილოთ ნაგები, მრავალი კირგი ნაწილები ტრაპეზი კარგა მორთუი, ზმარების კოლოფი, უცხოთ გაკეთებული, და ბერძული განგე-ლი ბერძულად წირეს, მაგრამ დიაღ განკრძალვით, და კარგა სწირეს, მათი რიგი დიაღ მომეწონა, ასე კარგათ იქცეოდენ, კაი წალკოტი ჰქონდათ ჰრომში, კაი უცხო შადრევნები, იქი-დამ წამოვედით, წმიდის ბენეტიკტეს მამათ სანახავად ვნახეთ, და მრავალნი უცხო ხატები, სულ სირმით ნაკერი ვნახე, და იმათ

ტილო რომ არ დაიწვის ცეცხლში. მისი ძაფები მაჩუქეს. ტი-ლოკი არ ჰქონდათ კაი ნაწილები:—

ია. მარიანობის თთჳეს წმიდას პაპას, წმიდის კლემენ-ტო მოწამის თავი ებოძა, ნაწილი მთელი, და ეტლი თავისი. შვიდს ეკკლესიაში სალოცავად.—

იბ. მარიამობის თთჳეს წაველით, შვიდის, ეკკლესიის სანახავად, უწინ სადამო ჟამ წმიდის პეტრეს ეკკლესიაში მი-ვედით, მეორეს დღეს ადრიან წმიდის პავლეს ეკკლესიაში წა-ვედით. ძჳელის ჰრომიდამ ექჳი და ნახევარი იქნებოდა. რომის წყალზედ, ახლა დიდი ეკკლესია იყო. მაგრამ აგურით ნაშენი იყო და ზეიდამაც ხიდ დახურვილი, ოთხმოცდა ათი თჳთო ქჳს სჳეტი ჰქონდა. თჳთო ექვსს ადლს უმაღლე ზოგი რვა ადლიც იყო. ორი მხრის უფრო სისხო, ზოგი გრანიტი. ზო-გი სხჳა ქჳა, ოცდა ოთხი, სჳეტი. ტრაპეზებზედ პორფირი იყო. მგრამ მომცროები. ოთხ-ოთხი ადლი იქნებოდა ტრაპე-ზი, სულ სოფიოთ დახატული და ზოგი გარეთი წჳეთის წა-ხდინა. ძჳელი ეკკლესია იყო, სულ ბერენის დახატული. სამი ნაბიჯი, სიგრძე სრულიად განი, ნახევარი, წმიდა პეტრეს გუ-ში და ნახევარი. წმიდის პავლესი. ერთს პეტრეს ეკკლესიაში და ნახევარი წმიდის პავლეს ეკკლესიაში. ც თავები ორისავ წმიდის იოანე მახარებელის ეკკლესიაში. წმიდის მოციქულთ საფლავში. შუაადგილს წმიდის პეტრესა ქვით მაგრამ წმიდის პეტრეს ეკკლესიაში ღრმად ჩასავალია, და აქ ხარისხებად აღსა-ვალი. და მერმე ქჳევით ჩავა. ეს მაღლა. დამარხული წმიდის პეტრეს ეკკლესიაში. წმიდა პეტრე. მარჯჳენივ არის. და წმიდა პეტრე მარცხვავ. მარცხენას მკარსა. სხჳა ტრაპეზია შემკული და იქ ერთი ჯჳარ-ცმა ასჳენია, ერთი დიდი ქჳრივი ყოფილა სახელად წმიდა ფერიტა ჰრქმევია. იმას გამოლაპარაკებია იმ ეთკრატისს ქრისტე მრაჳალ-გზის გამოჰსცხადებია. იატაკი უფროსი. ერთი სოფიოთი, და ფერადის მარმარილოთი არის იქიდამ წაველით. მართ ერთი ექჳი ვლეთ, მივედით. სად წმი-და ვიჩენსი. და ანასტასი ეწამებინათ. კაი ადგილი. კაი ეკკლე-სია იყო მრავალი ნაწილი. ქრისტის-შობის მჩჳრის ნიჭერი სადა ქრისტე მიაწვინეს, მის ადგილის ნაკჳეთი. ძელის ნაწი-ლი ქრისტე მკჳდარი რომ ჩარჩამზედ დაასჳენეს. მისი ნაჭე-

რი, ქრისტეს საფლავს ქჳს ნატეხი ყოჳლადწმიდის სამოს-
ლის ნაკჳეთი. წმიდის პეტრეს კბილი. მოციქულებისა უჳე-
ლასაგან ნაწილი. წმიდის კლემენტოს მოწამის ნაწილი. ჵ
მრავალი სხჳს იყო. ჵ წმიდა ფოსიოს. ჵ კოსტა მოწამე
იმას იქით სხჳა ეკკლესია იყო. ზედავ ახლო. ზეცის კიბეს
ეძახიან, რომ წმიდა ბერნადეს ჩჳენება უნახავს, იქ ჟამს ჰსწირ-
ევდა, სალხინებელიდამ სულ ზეცას აღუჳანდნენ, ჵ წმიდა
ზენონ ჵ ათას სამას ოთხი მოწამე იქ ესაფლავა იმას იქიდამ
სადაცა წმიდას პავლეს თავი, მოჰკჳეთეს ისიც იყო. კაი ეკ-
კლესია ჵ სადაც წმიდა პავლე მდგარ-იყო ჵ ქჳაზედ თავი
მოეკჳეთათ იმაზე რკინის ფანჯარა, ევლო, ჵ თავი სამს ად-
გილს დაცემულ-იყო, ერთს ადგილს პირჳელ რძე ამოსულ-
იყო. იქიდამ შემხტარ იყო, სამი ადლი ვერ იყო სხჳაგან და-
ცემულ-იყო. იქ სისხლი ამოსულ-იყო. იქიდამ შემხტარ-იყო.
ოთხი ადლიც მეტია, იქ დაცემულ-იყო. იქ წყალი ამოსულ-
იყო. ახლა სამგანვე წყალი დგა, კაი სასმელი ჵ სხჳა ჵ სხჳა
გემო აქჳს. არსად გარსდადის, სამი ტრაპეზი იყო. კარგა მორ-
თული. ორი პორფირის სჳეტი. რვა ფერადი მარმარილოსი
ჵ ორი გრანიტისა: იქიდამ წაველით ერთს ადგილს, წმიდას
პაპას ერთი მღჳდელი ჵ ესვედრებინა, ერთს დარანში ჩაგვიძ-
ღჳა. რაც წმიდათ მოწამეთ დარანი გჳენახა უდიდე ჵ უმრავ-
ლესი იყო. სულ ცა დაქნილი ქჳთკირი. ზოგან. ჵ უფროსი
ერთი გაგლესილი. თუ გზები. მოწამე მრავალი ყოფილ-იყო
ებრძანა რაც მოინდომოს მიართჳთო. მრავალი ვიარეთ მაგრამ
სახელიანს მოწამეს ვერსად შევხჳდით, წმიდა ნაწილი, მრავა-
ლი იყო, მაგრამ მოწამის ნაწილნი ეს არის, ერთის ჭიქით,
თავით სისხლი უდგს, ჵ ზედ ზოგზედ სახელი ჰსწერია. ან
არა ხურმის ფოთელი ან ჩიტი. ან ჯჳარი ზის, ერთი პატარა
უმანწვილი ვიპოვეთ მოწამე ნიშნიანი. მოვჰსთხარეთ. სულ
დამიწებულ-იყო. მეორე იმავე ტოლი მოვჰსთხარეთ ისიც
დამიწებულ-იყო. მჯდი ეკკლესია ბევრი საქმე უნდა.-ხუთი
სულ მიწიანი წამოვიღე. ორივ მოწამის სისხლი, ჭიქას ზედავ
აჩნდა, ახალს სისხლსავით. ჵ ერთის მოწამის ერქებში ვიპო-
ვეთ. მის საფლავში, მოწამეკი ამოეღოთ. ის დარჩომილ-იყო,
სამი ბაზმა მათი გჳერდით ნანთები თიხის ჯჳარის მონას-
ტერიც იმ დღის მეტად არ მენახა. დიაღ კაი მონასტერი იყო
ჵ უცხო. კარგა გარიგებული. სულ სოფიოდ ძირი მოფენილი.

და ელენე დედოფლის დაბლა სამწირველო. როგორც იერუსალიმს არის. დიად მოსაწონი იყო. რომელსაც ეკკლესიაში მივედი, უფრო და უფრო გვეუცხოვა:—

იგ: მარიამობის თვეს, კარდინალი საკრი-პანტი ვნახე და სადილს უკან, ორი ეპისკოპოსი მოვიდენ ჩემს სადგომს, და წამიყვანეს, წავედით ერთის კაცის სახლში შემიყვანეს ერთი მარმარილოს საფლავი მაჩვენეს, კარგა გათლილი, და სარქველით შიგ ერთის კაცის ძჳლები ყოფილ-იყო, და ძჳლი თეთრი, და ამისთანები, ერთი მსხვილი, ტილოს ხეში. რომ იქნება, მისთანა იყო. ორის კაცის სიგრძე ვერ იყო, განიც ადლი ქნებოდა, ისიც იმაში დებულ-იყო, და შეწყეს სანთლის დუწნთება, გალიფეს მოუკიდეს ცეცხლი, სანთელი ამოიწო, ის ტილო გარეცხილსავით დარჩა, მერმე ნაკვერცხალი დააყარეს, პატარა საბერვლით უბერეს აღეგზნო ნაკვერცხალი, და გარეცხილს გვანდა, ცეცხლმა ვერა დააკლო-რა, ათასი მარჩილი ეძლია ფრანციის კარდინალსა, და არ მიეცა მე რით შევიძლებდი სყიდვასა, თუარა ვასტანგ მეფისა-თჳს კაი ძღვნი იყო, ის ფრანჩაგჳსაგან არის, ამიანტოს ჰქჳან წიგნებში ქუად არა ჰსწერია, ზედ ჰსწერია, ის ქუაც მინახავს, ყაენს გამოეგზავნა, ვასტანგ მეფისათჳს: ამისი ქილის-სახოცი ეგება მიშოვნო სადმეო:—

იდ. მარიამობის თჳეს, ოცდა ხუთი მარიამობის თჳე იყო. წმიდის ბართლომე მოციქულის დღეობაც იყო, და წმიდის ლუდოვიკოსის დღეობაცა, ფრანციის მეფისა, ამათი გვარი წმიდა შექმნილა, მისს ეკკლესიაში წაგვიყვანეს, წირვაზედ ოცდა თოთხმეტი კარდინალი იყო, სხვას ეპისკოპოსსა, და ჯარს გარდა, ნახეთ რა იქნება. გზაც გაგვჭირდა, თავად შუგაში ეტლებისაგან, მერმე ეკკლესიაში ჯარისაგან ფრანცისუებმა გვიცნეს მოგვეგებნენ სხვას კარიდამ მაღლა აღგვიყვანეს იქ დაგვსუეს. სულ ჰსჩანდა ყოველი ეკკლესია არა, და ეკკლესიას გარეთ ფოლორცებიც. სულობით მოეფარდაგათ. და ეკკლესია წითლის ქამხით. სულ ყვითლის ოქრო-მკედის არშიებითა, დიდი ტრაპეზი მთელი ვეცხლი იყო უცხოთ გამოყვანილი. და წმიდა ლუდოვიკოს, წმიდა დიონოსი არიოპაგელი, წმიდა დამიანე. და წმიდა კარალის ვეცხლისა შექმნილი. მთელები,

ორს სამეფო გვირგჳნი ორს საეპისკოპოსო. მიტრა, პატიო-
სანის თჳალებითა, ძათი ჯჳარებიცა ჲ გულსასკიდი. ხატები,
დიად კაი თჳალები იყო. შიგ მათი ნაწილები ისხდა ცოტცო-
ტა ჲ სხჳა ნაწილებიც კარგა გაკეთებული, ლაბლა წმიდის
ლუდოვიკოსის სამწირჳელო იყო, ისიც დიად პატიოსნად
შემკული. რაც ჰრომში კაი მგალობელი იყო იქ შეკრებულ-
იყო, მაგრამ სულ ყჳელა. ერთად იდგა, საკურთხევლის პირ-
და-პირ, წირვას ჰხედავდა, წინ მწუხრზედაც, ჲ მეცხრე ჟამის
ლოცჳაზედაც სამჯერვე მიველ ახლო იყო. მგალობლების ქე-
ბა უწინვე დამიწერია. მაგრამ ეს გამიკჳრდა ნაღარა ჲ ქანარა,
სხჳას საკრავებში გაერიათ. ასე უკრევდენ, ჭიანურს ჲ წინ-
წილს აწყობდენ, ჲ მგალობლების კმას კარგად აბანებდენ:—

იე. მარიამობის თთჳცს, წნლას პაპას ებრძანა ჩემი წირ-
ვა მოისმინონო, ჲ ჩემგან ეზიარნენო, წავედით მისი წირჳა
მოვისმინეთ, პატარა სამწირჳელო ჰქონდა შინა, იქ წირა, ჲ
გჳაზიარა. ვინც ვიყავით, მერმე ლიტანია ჰსთქჳეს, შეგჳყჳა-
ნა თავის სადგომში. დაბძანდა მიბრძანა წმიდის ღჳთის-მშობ-
ლის სახლის ნახჳა გინდა მიმიწერიაო, რომ ჩემს სასახლეში
დაგაყენონო, ჲ რაც პატივი, გრანდუკას რაც სხვისათჳს უქნი-
ათ, ის პატივი დაგდჳანო, ჲ რაც საჩჳენებელია ყჳელა გჳა-
ჩჳენონო, მადლი გარდავიხადე. ჲ მიბრძანა. დღეს დაგვიანდა
ვიკითხეო, გლახები სადილად სხედანო, ჲ სამშაბათს, მოდიო
იმათ გაჩჳენებო, დღეს წადი ჩემი სასახლე ნახეო. წმიდის
პეტრეს ეკკლესიასთანა ამას წინადამ, რომ პაპის სახლებში
შესჳლა დავჰსწერე შამინ საწიგნე. ჲ მოსამსახურეთ სახლები
ვნახეთ. თვარა პაპის. სახლები არ გვინახავს. წავედით შევე-
დით, ან სახლები, ან სხჳა ჲ სხჳა რიგი ფარდაგები, ან ნახა-
ტები უანგარიშო ჲ კაცის გონებისაგან მიუწდომელი იყო.
არ დაიწერება, მაგრამ ხატების მეტი სხჳა საუცხოო არ იყო-
რა. სამიოდ დიდი სახლი ფერადის მარმარილოთ იყო აღგე-
ბული, როგორც ეკკლესიაების დამიწერია, ჲ კარის ეკკლესია
დიდი ჲ კარგი შემკული, ჲ ორი სხჳა მომცრო სამწირჳელო
იყო, რომლის პაპა თავისთჳს ჟამს ჰსწირევდა მრავალი უცხო
სახლები დაგჳატარეს, მაგრამ ვინ გაუვიდოდა, მერმე ერთს
გრძელს სახლში შეგვიყჳანეს უნდა ორასი ადლი უფრო ყო-
ფილ-იყო. ათი ადლი განი იქნებოდა პაპის სასეირნო ადგი-

ლი ცალ მხარეს ძველი სახე მოქსოვილი ფარდაგები ქერა
ცალ-მხარეს წარმართა ამბებიცა უცხოთ შემკული, იმას იქით
თავს ფარდია, თავი ახდილი. აგრევ პაპის სავალი ადგილი
იმავ სიგძე, და ზედ დიდი წყარო, შადრევნად ამოყუანილი,
სამს სართულს სახლს ზეით, იმას აქათ და იქით წალკოტები
ერთი შიგნით სახლები, და ერთი. დიდი სასახლის გუერდით
შიგნით სასახლეები, რომ წალკოტი იყო. ამ გრძელის სახ-
ლების იქით თავს წალკოტის თავს სამ-პირი სასახლე იყო.
სამ-პირი თალარი. ზეითკი ვერ ავედით, და იმ სახლებში ძვე-
ლი კეისრების სახეები, და წარმართებისა მრავალი უცხო. და
ფიცრისა გაკეთებული. ჭრომის ეკლესია წმიდის პეტრესი და
პაპის სახლები საზამთრო, და საზაფხულო. და წალკოტები.
როგორც იყო. სულ მისი ანდაზები დაჭრომის პირამიდების
სახეები. ერთი პირამიდი მთელი ერთის ქვისა თეთრის მარ-
მარილოსა, ისიც ადლზედ მეტი იყო. და სისქე სამი მხარი.
ჩუენ რომ მონასტერში ვიდექით იქ ეპოვნათ, და პაპას წაეღე-
ბინა, ამართუას უპირობდენ. მისი ჭახრაკები როგორც უნდა
აემართათ, ან როგორ გაეკეთებინათ სულ იქ ვნახეთ, მერმე
იქიდამ ჩაგვიღვანეს ერთს ეზოში რაც ძველი კერპების ღუთე-
ბი ულფილ-იყო, სხუა და სხუა რიგი იქ იყო. მერმე წალკო-
ტები, და შადრევნები გუაჩუენეს დიად უცხო და კარგები იყო
მარამ ფრანციისის მეფის-თანა ვერ იყო. ოღონ ნარინჯის სი-
მრავლე ამისი ურიცხვი იყო, და წყაროები, დიდროანი, და ერთს
აუზში სომალდი იყო. და იმ ხომალდის შადრევანი არ დაი-
თვლებოდა უანგარიშო სხუა და სხუა რიგი იყო. ის იქ ვერ
ვნახე, მერმე სადაც საომარი. საჭურველი, აწყვია ის გვაჩუენეს
მარამ ერთის დიდის მეფისათჳს სანატრელი საუნჯე იყო. (1)
პოლოტიკი. (2) თორნი. (3) და ზუჩი, და შესაჭურავი: თოფი

(1) პოლოტიკი არს რკინის ფიცარი ბრძოლაში მკერდთა და ღლიათა და საკრავი: ავტორ. . .

(2) თორნი არს, 41· 18. ყობ: მთელი რკინა პოლოტიკი ტანსაცმელი ერთიანად შემოსახვევი. გულთა, გვერდებთა და ზურგთა, რომელი მოიხვევის ან ჯამებით: ავტ. . .

(3) ზუჩი არს, თავს და სახურავი, ჩაბალახი გინა მუზარადი გინა ჩაჩქანი: ავტ. . .

თუ დაბანჩა. (4) თურგანი, თუ მისი იარაღი, და წამალი. ქლმუ-ბი, აფთები. უანგარიშო იყო:—

ივ: მარიამობის თვეს, კარანდუკას ელჩთან წავედით წი-ნა დღეს იქ მოსულ იყო ჩემს დასაპატიჟებლად, კრანდუკას ბრძანება მოსვლოდა, თუ აქათ წამოვიდეს შემატყობინეო, მე სადგომს არ დავხვდი, პაპის წირვაზედ ვიყავ, მერმე იქ მოვი-და პაპის კარზედ, სალამი მომცა, სადგომს გიახელო, გრანდუ-კას მაპატიჟებელი ვარო, ვერცა იქ უმუსაიბე, სადგომს მიველ ეტლთან, მომკიდება ამიყვანა, დიდად მიალერსა, ქართული ამ-ბები და წმიდაების მკითხა, ეტლში თითონ ჩამსვა, დიდ-ხანს გამომყვა ეტლთან. ამას დიდს მეფეებს არ უზამდა. ამის-თვის ვჰსწერ სტუმრის პატივი ასე უნდა. მერმე კარდინალი ლატრიმულ მოვიდა მეორედ მნახა:—

იზ: მარიამობის თჳს წმიდას პაპასთან წაჳყვდით მისს პატარა სამწირჳყოლოში ხუცესმა წირა ჟამი, პაპა მარჯჳვნეს მკარეს მოფარებით იჯდა, მე ვერ ვჰხედავდი, ჩემის მეტი ეკკლესიაში არავინ იდგა, მისის ძმის-წულს უფროსს კარზედ ეჩოქა დიალ კაი ვაჟკაცი იყო. ამის მეტად არ მენახა წირვას უკან მოვიდა მიალერსა უკაცრავად ვიყავო ვერ გიახელო, დიდის ხანს დაჯდა ჩემთან ქჳყვით, მომიჯდა, მერმე პაპამ დაგვიძახა მიჳყვდით კიბით ჩასავალი იყო, ხელი მომკიდა დიდს ხანს, მითხრა გაირჯებიო, მაგრამ. ეს საქმე წმიდის გრიგოლი დეოლოლის და წესებულ არისო, მას უკან სულ ყოველს დღეს ასე უნდა იქნასო, საკრიპანტი კარდინალი მის-დევდა, მერმე მისი ძმის-წული კარლო, და მერმე მისი ძმა ალექსანდრე, მერმე დავით. და მერმე პაპის მოსამსახურენი, ჩავედით ერთს მომცრო სახლში· პაპის წესია, ყოველ დღე თორმეტი გლახა იჯდა, ვერ შევიტყევ· როგორ მამხლარ-იყო ტაბლა უცხოთ ყვავილებით შეემკოთ, თავს პაპა იდგა, არდაგი მოირტყა იმასთან მე დამაყენა, მერმე საკრიპანტი კარდინალი, არდაგი ერტყა. მერმე პაპის ძმის-წული კარდინალი, მერმე ალექსანდრე და ორი სხვა არდაგებითა, სხვათ მოიტანიან საჭმელი უწინ პაპას მოართვიან, პაპა ორს გლახათ მიართმიდის

---

(4) თურგანი არს დიდი თოფი: ავტო.

მერმე კარდინალებმა იმ სხვათ ჩაურიგიან, მერმე პაპამ ტაბლა აკურთხა, ყველამ დავიჩოქეთ, ჯვარი დაგვწერა, გლახებმა ჭამა დაუწყეს ხუთი რიგი საჭმელი მოიტანეს. დიად საზატიურად ჴსჭამდენ გლახები, დიდი ხანი გამოვიდა მერმე ხილი მოიტანეს, პურსაც პაპა უჭრიდა კორცსაცა, იმ ზეითებსა, და ქვეითებს სხვანი, და ღვინოსაც პაპა მიართვემდა, ის ზეით გლახა, ყმაწვილი კაციც იყო, და ჴგვანდა, საქცელიანი იყო რამდენჯერ პაპა ღვინოს მიართვემდა, ადგის თაყვანის-სცის, დაჯდის დალიის, და ჭიქა პაპას არ მოსცის, მაგრამ არა ჴქნის, აალებინის ქელით გამოართვის, მერმე ბოლოს ჩაბძანდა, და იქიდამ ღვინო ყუფლას ჩამოურიგა, მერმე ხილის ჭამის დრო რომ მოვიდა, ერთმა ხუცესმა პურები შემოიტანა, პაპას მოართვა დაიჩოქა პაპამ ლოცვა წაუკითხა. აიაზმა ასხურა, გლახები ააყენა ფეხზედ და ის პური თვითო თვითოს ჩამოურიგეს იმათ წინ დაიწყეს მერმე ხილი ჭამეს. მას უკან შაქრის ქადა ჩამოურიგეს ისიც წინ დაიწყეს: სხვა, საჭმელები, აიღეს მერმე პაპამ ტაბლა აკურთხა, ქელი დაიბანა, არდაგი შემოიხსნა ისევ ბოლოს ჩაბძანდა, თვითო ნახევარ მარჩილი, და თვითო ამინაშატი უბოძა თავის ქელით ჩამოურიგა, მერმე გლახები ადგენ ყუფლამ ფეხზედ აკოცეს, წამოვიდენ მე ისევ თან წამიტანა: ჩემთვის ულირსი სიტყუა მრავალი მიბრძანა რაც გინდა მთხოვეო, მადლი გარდავიხადე ჩემი სათხოვარი ყველა უთხოვრად აღმისრულდა მეთქი. მომესვია მაკოცა. ფეხზედ ვაკოცე. გზის საქმეები დაგვარიგა, გამომისტუმრა, მიბრძანა ასე მალე არ გაგიშვებდით, მაგრამ ვასტანგ მეფის უკითხავად წამოსული ხარო, რომ დამეჭირე. იმას გულს დააკლდებოდა, წადი მისი საქმე მოიჭირვეო, ას სამოცი იქაური სკუთი ებოძა, სამასი მარჩილია, გზის ხარჯად, გამოვის, ერთის წმიდის მართას დედათ მონასტერი მაჩვენეს მომცრო ეკკლესია იყო, მაგრამ უცხოდ შემკული იყო. სულ ამოწერილი, მარმარილოთ იყო აღშენებული, კედელი სუფტი თუ სატის ყდები, უცხოთ გამიკვირდა ენკბატისები გალობდენ, მაგრამ მათი გალობა, საკვირველი რამ არის, ამავ საღამოს წაველით, სულის-წმიდის მონასტერში, პაპის სამადლოა, ერთის ეპისკოპოსის ქელით არის შაგა დგას, დიდის ფრენჭიფის შვილია, მიმიძღუა და მაროვინა უპატრონო ექვსასი სნეული იწვა კაცი და იმ კაცების სახლი ზედ გზაზედ იყო, ვინც აგი_დედაკაცი დაოჩნული

დება შეილს ვერ წაიხდენს. იქ გზაზედ ერთი ჭახრაკია, იმაში რბილად აიგა. შიგ ყმაწვილს შეაწვენენ, მოაბრუნებენ ზარს დაჰკჳრენ, ქალნი წავლენ, ის ავად-მყოფის მომვლელი წაიყვანს ამ ყმაწვილს, სხჳა ჭახრაკია იმაში ჩააწვენს, მოაბრუნებს დედაკაცებში გაიყვანს, რომ დედაკაცი კაცს ვერ ნახავს სალაპარაკოდ, და კაცი დედაკაცსა, იქ თორმეტი ძიძა იყო, ცამეტს ჩჩვილს ყმაწვილს სდიდენ. რომ ყმაწვილი სამის ოთხის კვირისა შეიქნება გარეთ მისცემენ, სხჳას ძიძასა თჳჱში მარჩილი აქჳსთ. და ოთხს წელიწადზედ ამათვე მოაბარებს თუ ქალია ქალებში გაურევენ, თუ ვაჟია ზოგს გარეთ ოსტატს მიაბარებენ: ზოგს იქავ შემოიყვანებენ, იქ ზრდიან, ჩემობას შეიდ-ასი ქალი შინ იყო მონასტერში და ორმოცდა ათი ვაჟი და ცამეტი ჩჩვილი. სამი იმ ღამეს მოეყვანათ, მე რომ მიველ და რვა ასი ქალაქში ებარა ეს სულ პაპის სასმელ საჭმელით და ტანსაცმითა წამლით, აქიმით ჯარათი. იქ აკეთებდენ ქალები საქალოს კელობასა, და კაცები საკაცოსა. მათი მომღჳრები და გამდლები გაურევლად იქ უდგას, წალკოტები, შადრევნები, გარიგებული თუ ქალი მონოზნად უდგა მით. თუ ქმარი შეირთო მით ასს მარჩილს მზითვად მისცემენ და ბუშს ბუშს შერთვენ, მართალს მართალსა. მეორეს დღეს ქათმის ყიჳლობისას:—

იფ. მარიამობის თჳჱს წამოვედით ჰრომიდამ. ჰრომით წამოსჳლას ავი ჰაერი აქჳს. ასე ჰსთქჳჱს, ამ ორმოც მილს გავლამდის. ვინც დაიძინებთო, სიკჳდილის საშიშიაო. ხამს თჳჱს ზაფხულს ასრეაო. ვიარეთ გრძელი გზა, შენობა შორი შორს იყო. ჰაერის ავობისათჳს, სოფლები შორი შორ, ერთს სოფელში სადილისათჳს ჩამოვხედით მომცრო და ღარიბი სოფელი იყო. ფრანგულის ანგარიშით ოცდა ცხრა იყო. ნათლის-მცემლის თავის კჳჱთა, იმ სოფლის კაცთ, პატარა რამ ნაწილი ნათლის-მცემლისა ჰქონდათ, დიდებას გამოასჳჱნეს პირველ ერთი ქრისტეს ჯჳარის-ცმა მოჰქონდათ. მერმე ორმოცი თეთრით შემოსილი კაცი. სულ თეთრის კელაპტრით ოროლი და ოროლი მოდიოდა, მერმე ერთი ნათლის-მცემლის დროშა, და მას უკან სხჳა ჯჳარის-ცმა, და ორმოცი შავით შემოსილი კაცი. აგრევე სანთლებითა და კელთ ჯჳარები ეჭირათ და მერმე ფარნები მაღალი, და ერთს შემოსილს მღჳდელს.

გელით ნაწილი ვეცხლის კუბოთი ეჭირა აქათ იქით. შემოსილი დიაკუ̂ნები, და მერმე კაცის ჯუარი მოსდევდა; მერმე ქალნი საკრავებითა და გალობითა, ერს პატარა სოფელში მისთანა საქმე მომეწონა, ორმოცი მილი ვლეთ. და ღამე გვესწრა, ოსტრიელს მოვედით:—

ით. მარიამობის თთუ̂ჲს ადრიან ავსდექით. ვლეთ ავი ჰაერიც გათავდა შენობა შენობაზედ შეიქმნა. ვენახი ზეზე, ქვემ სახნავი, ციხე ციხეზედ, სოფელი გაზმით, საკრიპანტი გარდინალის ქალაქი გამოვკლეთ, მაგარი და კაი ქალაქი იყო ნარმა ერქუ̂ა იე. მილი სხუ̂ა ველეთ და მოვედით ქალაქსა თერონას მოდიდო ქალაქი იყო. იდ. მილი სხუ̂ა ვგლეთ, და მოვედით ქალაქსა სპოლეტოს. მეტი მონასტერი იყო. ეპისკოპოსი იჯდა მის ადგილს, კაცთ სიკეთე ეტყობოდა, ამდენს მონასტერს ინახევდენ, კაფუჩინების მონასტერში. დავჰსდექით. იმ ღამეს ერთს იქიურს თავადს სამ რიგი მოსაკითხავი გამოეგზავნა:—

კ: მარიამობის თთუეს, დილაზედ ერთს თავადის ცოლს, თავისი ეტლი, გამოეგზავნა, უცხო სტუმარი ბრძანდებიო ქალაქი ამით გამოიარეო, იე მილი ვვლიეთ ორიოდ კაი ქალაქები გამოვლეთ. და მოვედით ქალაქსა ფოლინიოს დიდი და კარგი ქალაქი იყო. ეპისკოპოსი იჯდა. იქაც კაფუჩინებისას დავჰსდეგით წმიდის სახლის გზა იქიდამ გაბრუნდებოდა:—

კა. მარიამობის თთუ̂ჲს წავედით' რა ცოტა ხანი ვლეთ ზეთის ხე მოაკლდა, მერმე ვენახოვანი მოაკლდა, მთის ადგილს ავედით მსხალ-ნარი დიდ-გორი რომ არის იმ გუ̂არი ადგილები იყო. მერმე ღამა დავიკიდენით ერთი ხევი ჩავლითა ხევის თავს ციხე იყო, არც აქათ იყო გასასვლელი. არც იქით. შიგნიდამ გრძლად სოფელი დაჰკროდა ბოლოსაც ციხე იყო. ვალჩიმარა ერქუ̂ა, იდ, მილი გვევლო იმ დღეს იქ ერთის კაცისას ცოტა რამ ვჰსჭამეთ. იმ სახლში ერთი ქალი იყო. დედა მისი ა̂ეთი უცხოთ-მოყვარე ყოფილ-იყო, რომ მომკუ̂დარ-იყო. რაც საფრანგეთში კაფუჩინთ მონასტერია. პატრს თჳთო ჟამი ეწირა და უმწირუ̂ჲლოს ას ასი მამაო ჩუ̂ჲნო ეთქუ̂ა, ეს ქალიც დედის საქციელს ცდილობდა: იდ: მილი სხუ̂ა ვგლეთ. ერთს კაპილიონში მივედით იქ დავჰსდეგით:—

კბ· მარიამობის თვეს წაგვიძღვნენ. წმიდის სახლი. სანახავად, მისი საქმე კაცისაგან შეუტყობარია, ხუთასი წელი-წადია. რომ ნაზარეთით წამოსულა, რა იეროსალიმს, თათარი მისჯრია. ეს მაშინვე ანგელოზს აუღია ზღვის პირია, ზღვის სამოცი მილია განი, ზღვას გაღმა დამდგარა, მერმე შეცილო-ებულან, და ლორენტო ოხერი ყოფილა, ერთის კაცის მიწაში დამდგარა. მერმე ორნი ძმანი შეცილებულან, იქიდამ ამდგარა ერთის ცხენის გაჭენებაზე ჯვარედინი გზა ყოფილა იქ დამ-დგარა რომ გზა ყოვლის კაცისა არის, მერმე გარშემო მოჭ-რილის მარმარილოს კედელი მიუდგამთ, შიგნით ქჳა და ტალ-ასია, ხუთი ადლი, განი იქნება, ცხრამდი სიგრძე: იქიდამ ვერა-ქჳას ვერც ტალახს, ვერავინ წაიღებს. ზეით ხით ყოფილა დაბურვილი, ის მოუშლიათ, კამარა შეუკრავსთ. კანდლებისათჳს თჳარა ისევ არის როგორც ყოფილა, წინ აღმოსავლისაკენ ბუხარია, მოციქულებს ბუხარს ზეით სარკმელი გაუკეთებიათ, და ლუკა მახარობელს, ლიბანის საროსაგან ყოვლად წმიდა გაუთლია, ძე ჴელთ უჭირავს, ის დაუსვენებიათ, და წინ ტრაპეზი ქვისა გაუკეთებიათ, გარ-შემოსავლებად, და ტილოზედ დახატ-ული ლუკა მახარობელისაგან, დახატული ჯვარის-ცემა, ესევ ნაზარეთით თან მოჰყოლია, და ყოვლად წმიდის მარიამის წამოსასხამი მოწითლო შალი, მთელი და ჯამ-ნალბაქი· უფრო ყოფილა, მაგრამ სართულის ქცევაში და გარგულა, სამი ჯამი და ერთი ნალბაქი რაშიაც იესო ქრისტე, და დედა მისი ჰსჭამდენ მისის ნაგავის მეტს იმ სახლიდამ ვერავინ რას წაიღებს, ნაგავსაც მოპარვით ვერ წაიღებენ, თუ მცველებმა არ მისცეს, იმ სახლზედ გარედამ, ერთი დიდი და საშინელი ეკკლესია აუშენებიათ, ხუთი სამწირველო აღმოსავლეთისაკენ აქჳს მას აქათ, და სამი იქით სხჳა, და ექჳსი სამკრეთ, და ექჳსი ჩრდილოთ თორმეტი დიდი სვეტი აქჳს, და გუმბათი წმიდის სახლის სისწორად აქვს. წმიდა სახლში სამოცდა თორმეტი დიდი კანდელი ჰკიდია, ხუთი დიდი ოქროსი. და მომცრო ოქროსი და ვერცხლისა, სხჳა. მაგრამ ის ხუთი მე ასე მგონია, ხუთ ხუთი ლიტრა ოქრო უფრო იყოს, ორი ოქროს დიდი სასან-თლეა, ასე მგონია, ათათი ლიტრა უფრო იყოს და სხჳა, უანგარიშო კარები. და აღმოსავლის მკარეს, და ბუხარი სულ მთლივ ვეცხლით მოჭედილი დაფერილი კარგა გამოყვანილი, სხჳა სასანთლები, და ანგელოსები ოქროსი, და ვერცხლისა

უანგარიშო. ათასი ლიტრა ვერცხლი მეტი მგონია, მაგრამ ის ყოვლად წმიდის ხატი რომ შეუმკჳათ. როგორ ითქმის, დედასა და მეს ორთავ გვირგვინი ალმასისა, ყოვლად წმიდას ოთხი რიგი სულ ალმასისა არტყია. სამი ასეთი ზურმუხტი ზის რომ ფასი არ დაიდება, და სხჳა რამდენია, ან თვალი, ან მარგალიტი. ან ალმასის ჯჳარები. ან ზურმუხტის ჯჳარები უანგარიშოა, იმ ხატის სისწორ. მაღლა კედელში ორი წითელი იაგუნდი ზის, ხახულისა ღვთის მშობლის თვალის უფროსი არის, და უკეთესიცა. და ყვითელი, და თეთრი იაგუნდი დიდროვანი ურიცხვი, მერმე იმის სალაროში შემიყვანეს, რაც იქ ეკკლესიები ან ტრაპეზები დავსწერე. იმისი ბარძიმ ფეშხუმი და კანდელი, სასანთლე, იმ ტრაპეზზე ეწყო და სხჳა სამკაულმა გამაოცა. უანგარიშო გვირგვინები, უფროსი ერთი ალმასისა, სხჳა ზურმუხტისა, იაგუნდისა, სხჳა მინაქარი, სხჳა ოქროსი რკინის გჳრგვინიც ვნახე; უცხოდ რამ გაკეთებული, რამდენი უცხო რიგი ქამრები, სულ გულ-ქანდად, უანგარიშო, სხვა და სხჳა რიგა, ყელის ჯაჭჳები უცხოდ ნაქმრები საყურები მჳირო ფასები, და ურიცხვი სხჳა და სხჳა რიგები ღილები, უანგარიშო სულ ალმასისა. სხჳა და სხჳა რიგი ნაქმარი ჯჳარები. ალმასისა, იაგუნდისა, და ზურმუხტისა, მრავალი ბეჭდები ფას-დაუდებელი და უანგარიშო. კელ-საბამები, სხჳა და სხჳა რიგი გულები უცხო რიგებად გაკეთებული, შუბლის საკრავები, უცხოდ რამ ნაქმარები. ალმასისა ხატები საკჳრველები ზოგი მურასა, ზოგი თვალზედ მოჭრილი, ზოგი თავის ბუნებით ნაქმარი. ხომალდები გულ-ქანდები, გულ-ქანდა ალმასისა, ზოგი მურასა, ზოგი ოქროსი, ზოგი ვეცხლისა, დიდროვანი ლალები, იაგუნდები, ალმასები, დიდი მარგილიტი ერთი, და სხჳა მარგალიტები მრავალი. დიდრონი ზურმუსტები. და ერთი დიდი ლოდი ზურმუხტის ქანიდამ გამოღებული, მრავალი დიდრონი ზურმუხტი ეკრათ, ორ-თავი არწივები, ზოგი ალმასისა, ზოგი იაგუნდისა, გულ-ქანდა, გულ-ქანდად ქრვივა, და ძოწის კანდლები, სასანთლეები, ჯვარები, ხატები, უცხო და უცხოები, სკიპტრები, სამეფო მურასაები, ვეცხლის რვა დიდი სასანთლე თჳთო ხუთი ლიტრა უფრო იყო, ქალაქების სახე ვეცხლისა. ციხეები, ქალ-ები ვეცხლისა, ვაჟები ანგელოზები, ხილი და ყვავილები, უცხოდ ნაქმარი, ვეცხლი მინაქარად, კირიელეისონები მურასა, ოქროსი, მუშაბადი, უცხო თვლების დათლილი ძოწისა ქარ-

ვისა აკატისა მრავალი ყელსაბამები, სალტეები უცხოები, ყოველი რამ უანგარიშო იყო, მომარგალიტული, შესამოსლები ალმასით გულ-ქანდა შესამოსლები, სხჳა და სხჳა რიგი ნაკეთები, და საქსოვი, რაღა ვჰსთქჳა ფარდაგები ალმასით გულ-ქანდა საღედოფლო სამოსლები ალმასისა სულ გულ-ქანდა, ბარძიმი ფეშხუმები, სასანთლეები. ზოგი ალმასითა და თვალითა, ზოგი მინანქარი, ზოგი ოქრო და ვეცხლი უანგარიშო ტაშტი, წურწუმა, ზოგი ოქროსა, ზოგი ვეცხლისა. ზოგი ლაჟვარდისა, მურასად გაკეთებული, ბრონძისა, ძოწისა, აქატისა, ამისთანაები, გულ-ქანდები, ალმასით გულ-ქანდები ალმასით და თვალებით მარგალიტით გაკეთებული, ყვაჳლები. წმიდის ზიარების შარავანდები, ზოგი ალმასისა, ზოგი იაგუნდისა, და ზურმუხტისა, ზოგი მინანქარი, ოქრო და ვეცხლი. რამდენი წმიდის ზიარების ბარძიმი აკატისა, ლაჟვარდისა, მურასა ოქროსი და ვეცხლისა ესეები სულ მეფეთა და დედოფალთაგან შემოწირული. და ვის ან ზღჳაში გასჭირებოდა, ან ხმელზედ მათის ხვეწნით სასწაულისა თჳს, ძღჳმნი და ვის თვალი სტკიჳმბოდა ვის ფეხი. სხვა ასო ალმასით გულ-ქანდა ზოგი მსხვილის თვალებით. გულ-ქანდა. ზოგი დიდრონი ალმასი, ამას გარდა, უცხო ერთი ხატი, ვნახე ბუმბულით დახატული, რომ კაცი არ დაიჯერებდა, ხელოვანს მხატვარს არ დაუხატავსო, ერთი მარგალიტი ვნახე. უცხო რომ თჳთ ბუნებით ნავში ყოვლად-წმიდა იჯდა, მე ხელთ ეჭირა, ასეთი მარგალიტი იყო, გოჯის ოდენი, ეს ასე მოსულ იყო, მარგალიტის ლითონში ერთ ხანად ვეღარ ეპოვათ შემოხვეწოდენ, ლარეტის ღვთის-მშობელსა, ერთს წელიწადს რაც შემეთესი ვიპოვნოთ, შენ შემოგწიროთ, წლამდი ვერა ეპოვათრა, წელიწადზედ ეს მარგალიტი ეპოვათ, ვერ ასლოდენ. და ვერც ფასი დაედვათ, ამდენი საქონელი, ამისთანა სასწაულები შეუყრია, მრავალი უცხო ვნახე, მაგრამ ვერ დავისწავლე. მისი ჯაბახანა, ვნახე, კაი და მრავალი იარაღი, მარანი ვნახე. დიდი და მძლავრი. ერთის ბუწიწის პირი წახსნეს, ერთის პირიდამ, სამი რიგი ღვინო წამოასხეს სამ ფერი. სამსავ სხჳა და სხჳა გემო ჰქონდა: —

კე: მარიამობის თვეს ლოტერიადამ წამოვედით იმავ გზაზედ მოვედით, ტოლეტინო ქალაქსა, ახალი წმიდა ნიკო-

ლაოსის მკლავები იქ იყო, ამ წმიდა ნიკოლაოსის დედამამა, უშვილო ყოფილან, წმიდის ნიკოლაოზის ვედრებით ქს მისცემია. ღ აგვსტინიანი მონაზონი შექმნილა. მერმე წმიდა შექმნილა, ახლა თუ იტალიაში, ერთი რამ განსაცდელი მოუვა მკლავი სულ გასისხლიანდება. მაგრამ ჩუენ ვერ ვნახეთ, საქმე იმ გვარად მოგვიხდა, მისი ვოივოდა. იქ არ იყო:—

კვ. მარიამობის თვეს, ლბ. მილი ვვლეთ. მოვედით სოფელსა ვაზანოლის:

კზ. მარიამობის თვეს, ზ: მილი ვვლეთ. მოვედით მასვე ქალაქსა ულინიოს, - სადილს უკან, თ: მილი ვვლეთ, ორი კაი ქალაქი გამოვვლეთ, ღ მოვედით ასიის ქალაქსა, იქაც დიდი ეპისკოპოსი იჯდა, ღ ვოივოდაც იქ ემარხა, წმიდა ფრანცისკო:—

კთ: მარიამობის თვეს უწინ მიგვიყვანეს წოკოლანტების მონასტერში. იქ ყოფილ-იყო მამის მისის სახლი, ღ გვაჩუენეს, სადაც წმიდა ფრანცისკო შობილ-იყო ან მამა სადა დაუტეებინა, ისე იყო გამოსახული იქიდამ ჩაგვიყვანეს წმიდის კლაროს საფლავზედ, დედათ მონასტერი იყო იქ ვნახეთ წმიდის კლაროს საფლავი წმიდას ფრანჩისკოს, რომ ჯვარ-ცმა გამოგზავნა, ის ჯუარს-ცმა ბერძნისაგან იყო დახატული, წმიდის ფრანჩისკოს სარტყელი. მისის სამოსლის ნაჭერი. წმიდა კლაროსის სამოსლის ნაჭერი. მრავალი ნაწილი. წმიდა ლუკა მახარებლის დახატული ხატი, ღ ჯვარი. ნაწილი, მოსეს კვერთხის ნაჭერი. წმიდა პეტრე პავლეს თითი. მერმე წაგვიყვანეს წმიდის ფრანჩისკოს საფლავზედ, რომ შენობა იყო, დიაღ დიდი, საყდარი ღ სამი ზედი ზედ ძირს აკლდამასავით, იმაში წმიდა ფრანჩისკო, ღ მისი ამხანაგები, ათი თორმეტი ესაფლავა, მაგრამ წმიდა ფრანჩისკო ფეხზედ დგას, მრავალი უცხო ნაწილი, რვ. კომენტვალი დგას. მრავალი უცხო კანდელი სასანთლე დიდი მურჯამა ვნახეთ, იქიდამ წავედით, ერთს ქჯზედ დაბლა მინდორზედ, ყოვლადწმიდის მონასტერი იდგა, მეტად დიდი ეკკლესია იყო. წმიდა ფრანჩისკოს რომ იანვარში ვარდი მოეკრიფა, ღ შენდობა ემოვნა, იქ იყო ის ადგილი, შუა ეკკლესიაში იყო მომცრო

სამწირვალო. და მარცხნივ წმიდა ფრანჩისკოს საწოლი, სადაც მიცვლილ-იყო და სადაც ანგელოზმან ქრისტესთან მიიყვანა და მარიამ და ქრისტე ეჩვენა, იქიდამ, თ: მილი ვლეთ. და მო-ვედით პერუჯა ქალაქსა. დიდი ქალაქი იყო: კზ: მილი მისი გარეშემო მაღალს მთაზედა, პაპის სასახლე, კეისარიც მრავალ-ჯერ მჯდარა იქა, ორმოცდა თორმეტი. მონასტერია, მისს გალავანს გარეთ კაცნი კარგა საქციელ, და დიდად მქცევნი:—

კთ. მარიამობის თვეს, მისი ვოევოდა მოვიდა, კარ-დინალის რიგშია. რომ მისცემენ. ზვნასა თან გამომიტანა მიმიძღვა დიდს ეკკლესიაში, ყოვლად-წმიდის ბეჭედი მაჩვენა, ეს ბეჭედი. ურიათ ტაძარში ყოფილა, ვისაც ქორწილს უზე-ემდენ, ამით დასწინდევდენ, მარიამც იოსებს ამ ბეჭდით, და-უწინდეს. თუ არ მეფეს, ან კარდინალს ან ასე უცხო სტუმა-რი რომ ერთად მოვიდეს, არ აჩვენებენ, შვიდის კლიტით არის დაკლიტული, ერთი ვოივოდას აქჳს. ერთი მდივან ბეგსა, ერთი მოურავსა, ერთი ეპისკოპოსს, ერთი დეკანოზს, და ორი სხვათა თავადთა ერთად უნდა შეიყარნენ, და ისე გააღონ, მაღა-ლა გუმბათში, ოთხს ანგელოსს უჭირავს, ერთი დიდი, ვეც-ხლითღრუბელი, და მრავალი სერაბიმნი გარეშემო. სულ დაფე-რილი, და იმ ღრუბელზედ ერთი ოქროს კუბო ჰსდგა კარგა შემკული, და იმ კუბოში ჰკიდია თეთრი იამანია მთე-ლი გათლილილი, და მაზედ რასაც ბეჭედს მოუსმენ. ვისაც აქჳს, ცოლქმარი რომ მოძულენი იყვნენ შეაცვა შეუყვარდებათ, თჳალის ტკივილს უშველის, მრავალს სასწაულს იქმს, იქი-დამ წმიდის ბენედიკტეს მონასტერში წაგვიყვანეს, უცხო-რამ მონასტერი იყო, გამაკვირვა მისმა შენებულებამან, მერმე ვოივოდა იქივ სადგომამდი მომყვა, მერმე იმ ღამეს წამიყვანა თავის სასახლეში. პაპის სადგომში, იდგა ის ქალაქი სულ შეიყარა. წვიმის სიმრავლე იყო, დიდებაზედ გამოვიდნენ, რაც დიდი კაცი, ან სუცესი თუ ბერი იყო. ან ჩინებული კაცი. სულ თეთრი ეცვა:თ. თვალის მეტი არა უჩნდათრა, ქალებს პირი ჩამოფარებული ჰქონდათ. სულ ფეხ-შიშველი, თავზედ ეკლის გვირგვნები ებურათ. ხელთ დიდრონი სანთლები, ზოგს დიდი ჯუარი ეკიდა, მძიმეს ძელსა, ზოგი მათრახსით, და შოლტით იცემდა ბეჭებზედ, რომ ვნახეთ, სისხლმა ამოატანა, ამ გვარად

მრავალი ილოცეს, ეკკლესიის კარს, შესტირეს ღმერთს მეორე-ეს დღეს დარი დადგა:

ლ: მარიამობის თვეს პერუჯიდამ წამოვედით, კე მილი ვვლეთ გზაზედ ერთი დიდი ტბა იყო. თევზი ისხდა, გარე-შემო კაი სოფლები ქალაქები იყო, იმ ტბიდამ ცხრა ათასი სკუტი შეუვა. წელიწადში, პაპას. ერთი სკუტი ოთხი აბაზია ამ საღამოს, პაპის თემი დაილია, გრანდუკას თემში შევედით კამუჩია ერქვა:—

ლა: მარიამობის თვეს ვვლეთ. იე. მილი კაი ადგილები ზეთის ხეეოანი ვენახოვანი, ხშირად შენობა, ქალაქები, მრავ-ლად, ერთს ქალაქში სადილი ვჭამეთ არეცო ერქვა, მჭჳლი ქალაქი ყოფილ-იყო, დიდი და უფროსი, ერთის გათლილის ქვით ნაგები, ერთი დიდი ეკკლესია იდგა, დასავლის მკარეს, კარისაკენ სამოცდა თექვსმეტი ქვის სვეტი ჰქონდა ეკკლესია-ზედ სამრეკლო აგოთ, ხუთ-სართულად: სამრეკლო მოუყვანი-ათ, ორმოცი სვეტი სამრეკლოს ჰქონდა, შიგნითკი არ მინა-ხავს, როგორი იყო, რომ გამესინჯა, იქიდამ, ად. მილი ვვლეთ მოვედით სოფელსა:—

ა: ენკენის თვეს, აზ. მილი ვვლეთ. ოთხი კაი ქალაქი გამოვიარეთ, სოფლებს გარდა. შიგ ასე ახლო ქალაქები გამიკ-ვირდა უფროსი ერთი გათლილის ქვის კუთხე და კარი, ფან-ჯარა, მრავალგან სვეტებიც ქვისა იყო სახლისა, ერთის სახ-ლისა დავთვალე, თოთხმეტი დიდი ქვის სვეტი. ძირს ფლო-რენცა იყო, თოთხმეტი ზეით ქვისა მთელი, იქიდამ მილი სხუა ვვლეთ, სულ აღმართ დაღმართი, მოვედით ქალაქს ფლორენცას უვავილს ჰქვიან, და მართლა ქალაქის უვავილი იყო, არც მეტად დიდია, მაგრამ დიად შვენიერი ქალაქია. უფროსი ერთი გათლილი ქვა, განიერი ფოლორცები, დიდი მდინარე ჩამოუდის,—

ბ: ენკენის თვეს იოანე გვალვერტო მონაზონთ პეტი ებოძა გარანდუკასა, თავის მონასტერში წაგვიძღვა იქ დაგვა-ყენა, ის წმიდა იოანე ერის-კაცი ყოფილა, დიდი კაცი. და მდიდარი, ერთს მისს ამხანაგს, მისი ძმა შეჰკლოდა: მის და

კელებას ცდილა ერთს ადგილს მიმავალა შეუტყია, ჯვარით წინ დახდომია, პარასკევი დღე ყოფილა, იმ კაცს რომ უნახავს, შებმა არ შეეძლო, და გარდახვეწილა ეტლიდამ გამოსულა და დაუჩოქია, შეგცოდეო მრავალ, სიკუდილს მემართლები მაგრამ დღეს, ქრისტეს ჯვარ-ცმის დღეა, იმას აპატიეო, ეს რომ უნახავს, გარდმოჭრილა ცხენიდამ, კელს მოხვევია, ქრისტეს გულისა თჳს შემინდვია, დღეის იქით ძმა ხარ ჩემიო. წასულა ქრისტეს ჯვარს-ცმას წინ დაუჩოქია, მე შენი მცნებას აღვასრულეო. ვინც შემცოდა შეუნდეო, აწ ამას გევედრები, ჩემოდენი შენთჳს არავის შეუცოდებიაო, და შენც მე შემინდეო, ჯვარიდამ ქრისტეს თავი მოუდრეკია, რა ეს უნახავს, თავისი სიმდიდრე გლახისა თჳს გაუყვია, მონოზნად შემდგარა, მათის რიგის მამანი არიან, და კაი მოწყობილობა ჰქონდა მდიდარს მონასტერს ჰგვანდა, კარგ რიგად, დაგვაყენა, ცოტა მოვისვენეთ. მოვიდა წაგვიძღვა, შუა ქალაქში, ერთი დიდი ეკკლესია იყო, დიდობითაც დიდი იყო, მაგრამ გარედამ ნაშენი მისთანა. არც ფრანციაში მინახავს, არც იტალიაში, ეკკლესია თუ სამრეკლო, გარედამ თავით ბოლომდი. სრულობით ფერადი მარმარილო იყო, შეწყობილი, ზოგი სულ წმიდანი მოჭრილნი, შეველით შიგნით, შუაზედ, დიდს გუმბათ სისწორ, ერთი ეზოსათჳს მოვლებული იყო საკჳრველად ნაშენი იყო, სიმგრგვლეზედ, ოთხჯერ ექვსი კამარა იყო, სამად გაყოფილი, შუა სვეტები სამი ფერადი მარმარილო იყო აქათ იქით ხუთ ხუთი სვეტი, და შუა შუა კარებსავით ჰქონდა, სხჳა კანდლისა, და სასანთლისა სიმრავლე ურიცხვი, იქიდამ სხჳას ეკკლესიაში მიგვიძღვა, დიდი ეკლესია არ იყო, მაგრამ შიგნიდამ ერთი ამის უარესად შენებული და შემკული ვერ ვნახე, გარედამ გათლილი შავის ქვით იყო, ის ეკკლესია, მარიამ ყოვლად-წმიდისა იყო. ერთი რიგი მამანი არიან, მარიაამის მსახურნი ჰქვიანთ ასიოდ მონაზონნი იდგნენ გარეთ, კაი მინდორი ჰქონდათ, გარშემო სულ გათლილის ქვის სვეტები. კამარა მოვლებული შუა მომცრო კოშკი, ზედ გრანდუკა ცხენზედ მჯდარი. ტყვივისა შექნილი, ოთხსავ ყურეს მინდორი შადრევნები ამოყვანილი, მაგრამ უცხო რიგი, შადრევნები იყო იქიდამ სხჳას გზაზედ წამოგვიყვანეს, მრავალი კაი ხასასლე სულობით თლილი ქჳა და კარი სულ რკინისა, ხასანთლეები, და რკინის უცხო ფანჯრები, თჳთ ერთს ადგილს,

ვნახეთ. ერთის მთელის ტყვიის ცხენოსანი, კაცი გათლილი, სხუა ქუეითი შესწიდებოდა. ქვევით ხანჯალი შეეცა, და ცხენი წასარჩლებოდა, და ქვევით გარდმოსწდომოდა:—

გ. ენკენის თუეს ჩუენის მონასტრის უფროსმა ჯერ თავის ეკლესიაში ჩამიყვანა წირვა მოგვასმენინა. დიად კარგი ეკკლესია იყო. როგორიც ეკკლესიები რომში ვნახეთ ერთი ისიც იყო, ფერადის მარმარილოთი შიგნიდამ ნაშენი სადილს უკან გრანდუკასთან წაგვიყვანა დიდურად და მდიდრულად ვნახეთ კარგი და დიდი სასახლე, სრულობით გათლილი ქვისა. ოთხ ხუთ სართულად, შესავალს კარს რა შეივლიდი· ერთი მაღნიტის ლოდი იდვა მეტად დიდი ათი საპალნე ყოფილ-იყო თვითან დაბალს სახლებში იდგა, დარბისელნი მოგუეგებნენ შეგვიძღვნენ. სამი ოთხი სახლი შევიარეთ, ერთს სახლში დაგუეხვდა- მოვიდოდა თავის საჯდომს სახლს არ ჰგვანდა, მომცრო კაცი იყო, რაკი ტანის-სამოსი ეცვა. სანამ არ მითხრეს ვერ ვიცან, უღვაშები ესხა. სულ მთლივ, იმ ჟამად იქ ვერა ვისი ვნახე, მიალერსა ტკბილად, და მხვდა, ფეხზედ ვილაპარაკეთ· ერთს სახლს გარეთ გამომყუა. წამოვედით მისის შვილის სანახავად, მის მეტი შვილი არა ჰყავს: ისიც უშვილოა, თავი ქალთ არ აქუს, ას ორმოცი ბიჯი კიბე ამაროვინეს, დიდს ხანს კარზედ ვიდექით· მერმე შეგვიყვანეს ისიც ფეხზედ დამხუდა, ტკბილად მიალერსა, შინაურად და გამოყოლით არც ბიჯი წამოუდგამს, მომცრო მსუქანი კაცი იყო. თვალად არა ჰსწირდარა, წამიყუანეს მისის წალკოტის ამბები, ფრანცისისა დამიწერია, მაგრამ ამისი ასე ჰსჯობდა სულ ნარინჯ თურინჯი იყო აუარებელი ლობესავით თუ ჭურჭელში ნადგამი· თუ თაღარსავით, დახურვილი. ერთს რიგზედ სხარტესავით გარდეგრიხათ· გარდმოეგრიხათ, ადლ-ნახევარი თუ იყო სიმაღლე გრძლად დიდს ადგილს, და სულ ხშირად ნარინჯ თურინჯი ესხა, ის დიად მომეწონა, კარგ გვარად იყო წამიყვანეს ხევინებს აქათ და იქით, ორ რიგი ალვისხე, თჳთო ჰსწორედ, ასული, და თჳთო გაფანჩული იდგა. და წინ დაბლა ბზა ედგა აქათ და იქით დახურვილი დაფნი. ალვის ხეებზედ და მისთანა იყო. შიგ გზა გაიარდა მზე არ დაადგებოდა დაბლა შუაზედ. ერთი აუზი იყო დიდი და შიგ აუზში. ერთი ჩაის ნარინჯისა და ყვავილების წალკოტი იდგა. კარგა მოდიდო იყო

და შუაზედ სხვა ავაზი იყო, და ჯვარედინად გათლილი ქვა იდვა ავზი თევზით სრულიად სავსე იყო, და ჯვარედინს ქვაზედ მარმარილოთი აღგებული კაცის სიმაღლე იყო, ორი კაცი მკარს შემოსტევდა. ზედ ერთის კაცის სიმაღლე გრანიტის ქვა იდვა იმავ სისხო და ზედ იმ ქვაზედ, ერთი მართალის ქვის ტაშტი იდგა. იმათის ადლით ოცდა თექვსმეტი ადლი იყო. ძთელი·—იმათი ადლი სამი მტკაუწლი. და ოთხის თითის დადება, ეს ქუა დიად გამიკვირდა, იმ ტაშტში. ერთი დიდი ლოდი იდვა სამ-გნით სამი კაცი გათლილი მჯდომარე. და ქელთ სხვა და სხვა ცხოველი ეჭირათ, და იმ შუა ლოდზედ ერთი ფეხზედ მდგარი, ამ დიდის აუზს აქადამაც კიდი ჰქონდა გასავალი, და იქიდამაცა ბრტყელი კიდი: და აქათ იქით მაღალი რკინის ხარისა ევლო: და იმ დიდს ავაზსაც მაღალი რკინის ხარიხა ევლო. ხარიხას გარ ერთის გზის ოდენი სრული ჩაწყობილი კენჭი ევლო, და მისავალს ხეივან-ზედაც აქათ იქით სრულ ისევ იმ სიგანე ჩაწყობილი კენჭები იყო, ზეით ამ ხეივანში ერთი კენჭებით ჩაწყობილი ვარდის სახე იყო იმას ზეით ერთი კლიტე იყო. და ავაზის კიდს- აქათაც. კარი ჰქონ-ნდა, იქითაც რკინის ფანჯრის კარს აქათ იქით პატარა სახლი იყო კაცი შევიდოდა. დგომითაც გაემართოდა. ერთი კაცი შევიდა იმაში რაცალა კლიტე მოაბრუნა ჯერ იმ შუა ავზში იმ კაცებსა, და იმ ცხოუწლეიში ამოედინა შადრევანები, მერმე იმ დიდს ქვს ტაშტის გარშემო· მრავალი წვლილი მაღალი შადრევანი ამო-ედინა, მერმე კიდზედ· ზედ ახლო ახლო ათპირად ორასამდინ შადრევანი ამოედინა. მერმე რაც ხარიხა იყო, ან კიდზედ. ან კიდს გარშემო· სულ ახლო ახლო შადრევანები ამოედინა მაგრამ თითოში ხუთ ხუთი. მერმე რაც კენჭი დაფენილი იყო ჩაწყობით, ვინ იცის რამდენი ათასი შადრევანი, ზოგი. აღმა ზოგი განზე. ამოედინა, ეს სრულ დიოდა. უმზერდით. მერმე ხეივანში რომ ვარდივით კენჭი ჩაწყობილი ვჰსთქვი იმას ზეით კლიტე მოაბრუნეს. იმ კენჭებში უანგარიშო შადრევანი ამოე-დინა. მერმე ის დასწყუდა შუაზედ ერთი მაღალი შადრევანი ამოედინა. და რახან იდინა· სულ თოფის შილინგივით კმა იყო ზედა ზედ, მერმე ის მოშალეს. ერთი თასმის ფავარა ჩაურჭ. ჭუს საიდკენაც უნდოდა ვისაც კელით ეჭირა, ეს დიდი შადრე-ვანი იქით მიუშვის. ვისი გაწუწვა უნდოდის გაწუწის. ორმოცს ადლზედ სადაც უნდის იქ შეასხის. მეორე ის თასმა ამოაძრო,

სხვა რკინის ფავარა დადვა. ამოუშვეს შადრევანი, წვიმა რომ
მოდიოდეს იმ გვარად, და ზეიდამ იდინა, ჭაერში ისე სჩანდა
მერმე ჭაერში რომ თოვლი ჩამოდიოდეს ისე ჭსჩანდა ძირს
უველა წყალი იყო, მაგრამ ჭაერში იმ გვარად ჭსჩნდა, მერმე
ხომ კაკალა რომ მოდიოდეს იმ გვარად გამოჭსჩნდა მერმე
წაგვიყვანეს სხვა მკარეს უცხო ფრინველები და პირუტყვები
სანახავად სარ აქლემები იყო. და თეთრი ფარშამანგი, თეთრი
ხოხობები მრავალი მაგრამ წვრილი იყო, ეთიოპური ცხვრე-
ბი იყო დიდრონი რქები ჭქონდა მიდრეკილი უჩამდისინ, ფა-
რაოს ქათმებს ეძახდენ უცხო რამ მფრინველი იყო. ათი თხუთ-
მეტი თუთი იყო, ზოგი წითელი, ზოგი მწვანე, ზოგი ჭრე-
ლი, ზოგი თეთრი, სხვა და სხვა რიგი მაგრამ წითელი უფ-
რო მრავალი იყო, ვარხვი, იხვები, გარაპები, მაჩვები მკით-
ხეს გინახავსო მე უთსარ მრავალი მეთქი, და ეუცხოვათ. ასე
უცხო ნადირის მოყვარე არიან ჯერნის რქები იყო და იმასთან
სხვა რქები იყო ჯერნისას ჭგვანდა, და ორის ჯერნის რქის
სიგრძე იყო დამოგრეხილი მითხრეს ერთი რიგი ნადირიაო-
ეს ფესზედ ასხიაო მერმე საქიმოს სახლში შემიყვანეს მრა-
ვალი უცხო რამ იყო მაგრამ მე რომ არ მენახა ერთი რისა-
ღაც რქა იყო ჯერნის რქის მჭსგავსი მაჯის სიმსხო ერთი
მკარი და ნახევარი იქნებოდა შავი დამოხრილი ჯერნის რქა-
სავით დაჭდეული სხვა კორკოდილო და მარტორქის რქა და
მაგისთანაები მრავალი ერთი გველი იყო ორი მხარი
სიგრძე და მკლავის სისხო კბილები ორ რიგად ესხა ასე
თქვეს ინდოურიაო, მრავალი რამ ამ გვარი მაგრამ ერთი ხო-
მალდი გაეკეთებინათ ნავით აფრით, ანძით, თოკებითა
დიდი კელოვნება ეხმარათ მრავალი უცხო ფაიფური და წამ-
ლები და ქვები ვნახეთ:

დ: ენკენისთვეს წავედით გრანდუკას, სასაფლაოში დიდი
ეკკლესია და კარგი გარიგებული იყო და მარცხენას მკარეს მა-
თი სასაფლაო კარი შევიდოდა კარგა შემკული საფლავები იყო
კელმწიფურად შემკული მერმე გრანდუკა რომ ეკკლესიას აშე-
ნებს იქ შემიყვანეს მრავალი ფერადი მარმარილოს სვეტი იყო
კარგები მაგრამ ორი შავი პარაგონე ქვის სვეტი იყო გამაკ-
ვირვა ოთხ ოთხი ადლი უმაღლე იყო ორი კაცი მხარს თუ
შემოსტკვდა ის საკურთხეულისა თჳს სრულ კელი არ უხლიათ
და ნახევარამდის სხვა ძვილ აშენებულა არც მწვემომცროა, კა

მოზრდილი ეკკლესია, მაგრამ შიგნით სვეტი არა აქვს მრავალგან ზურმუხტი ლაჟვარდი, და ძოწი უხმარებიათ ყვავილებში. ჲ სხვა სრულობით აკატი ფერადი ქვში შეუწყვიათ ყვავილად ნადირად, თუ ფრინველად. რომ კაცს დახატული ეგონებოდა ამ საქმემ დიდად გამაკვირვა რვა კუთხე ეკლესია თვარა ფერადი მამარილო გრანიტის ქვა ჲ ალაბასტრი პორფირი ჲ პარაგონის ქვები ნახმარია მაგრამ ასე რიგად რომ არ ჩაიგდება ან საფლავები ჲ ან ხატების უკან არის ნახმარი ერთი ახალი ვაჟ კაცი იყო მისი ოსტატი ოცის წლისა თუ იყო ან ცოტად მეტი ან ნაკლები მაგრამ გვარიანს რასმე ჰგვანდა, ტრაპეზად ერთი წითელი ჭრელი იამანი იყო სამ-ადლო-ნახევარი სიგრძე ორი ადლი განი მთელი და რამდენი უცხო ქვები სხვა იყო ვინ მოსთვლის ორი სასთაული გაკეთებინათ ქვისა და შიგ თვლები მოეყვანათ მაღლობზედ დაედვათ ზედ გრანდუკას სახეები იდგა გარშემო ალმასი, ზურმუხტი და იაგუნდი ისხდა და აქათ იქით პირს სხვა დათლილი თვლები, ზოგი სეილანი, ზოგი სრავი ზოგი თლილია ზებერჯა ჲ მისთანანი ჲ ექვსი მისთანა სასთაული სხვა უნდა გაკეთებულ იყო ტრაპეზისა დასაკურთხეველის შემკობა ამას იქით როგორი მოვა ის თქვენ გასინჯეთ იმ სასთაულებზედ გვირგვინები იდვა გულ-ქანდათ კაი თვალები შეწყობით ჩასხმული ნახევარს ზეით სრულად ჲ საკურთხეველი სამი კედელი იყო მის ძირს ჩაგვიყვანეს კამარა შეკრული დიდი ეკკლესია იყო ის ზედ მოეყვანათ ჲ ბალი კამარა შეეკრათ კელს ვერ შეაწვდენდა კაცი იქ ერთი ქრისტე ჯვარს-ცმული ჲ ცალკენით ყველას-წმინდა, ცალკენით იოანე მახარებელი მარმარილოსი გათლილი იყო სწორად ცოცხლები გეგონებოდა იქიდამ დომენიკაანთ მონასტერში მივედით ჲ ერთ მონასტრად სიდიდით თუ სიმდიდრით თუ მორჭმით ისიც კარგი იყო მონასტრების ქება, ხომ არ დაიწერება ვერც კაცის გონება მისწვდება სამოცდა თოთხმეტი დედათ მონასტერია ფლორენცაში მამათ მონასტერსა ჲ ეკკლესიას გარდა ის მერმე იმავ დიდს ეკკლესიაში მივედით დღეობა იყო წმიდის ზენონისა მისი თავი ჲ სხვა ნაწილები ვნახეთ:

ქ: ენკენისთვეს წავედით ერთს სხვას მონასტერში წმიდა ანტონინე მთელი იქ იყო დამარხული იქ ვილოცეთ გამოვბრუნდით სამადლოთ რომ ქალებს ზრდიან მონასტერში

ვის უნდა მონაზონად შედგება ვის უადა გათხოვდება იმათო-
გან რომელიც გასათხოვარი იყჳნენ გამოესხსათ და მოდიოდენ
პირველად ერთი ვეცხლის ჯვარცმა მოჰქონდათ ზედ გრძელი
ომფორივით დრაჲა ეკიდა, საუფლოები შეკერილი და ექვსის
კაცის უმაღლე სასანთლე ვეცხლისა, აქათ და იქით მერმე ერ-
თი ხის ჯვარსცმა მოჰქონდათ და ორასამდის შავით შემოსი-
ლი კაცი თვალები უჩნდათ სხვა არა რა ოროლი და ოროლი
თვითო დიდი თეთრი კელაპტარი კელთ ეჭირათ მერმე სხვა
ჯვარს-ცმა მოვიდოდა და ოთხ ასამდის აგრევ თეთრით შემო-
სილი თვალის მეტი არა ჳჩნდათ რა სრულ ოროლი მერმე
სხვა ჯვარს-ცმა მოვიდოდა დასრულ მამანი და ძმანი ორასი
უფრო იყო ოროლი მოდიოდენ ზოგი იეზოვიტი ზოგი
ბენედიკტენი, ზოგი სხვა რიგი, სულ ყველა ერთ-ხმად გალობ-
დენ მერმე შემოსილნი დიაკუნები და ერთი დიდი დროშა
ყველა წმიდისა მარიამის მოჰქონდათ: მერმე ის საქორწილო
ქალები ორმოცდა თორმეტნი იყჳნენ, ოროლი აგრევ სანთლე-
ბით სრულ ის ფერი ეცვათ, და თეთრი წმიდა ტილოს ლე-
ჩაქები ებურათ ერთ ნაირად იყჳნენ დართული მერმე შემო-
სილნი მღჳდელები მოდიოდნენ დიდროანის სანთლებითა და
ფილონებითა, მერმე ერთი კუბო გაეკეთებინათ მოაბაზე და
ზედ ყოვლად წმიდა იდგა, მორთული კაცის თვალი მისს უკე-
თესს ვერას ნახევდა კელ განპყრობით მლოცავი ცოცხალი
ეგონებოდა მღუდლების მკარზედ ედგათ მოაბა; მასუკან ჯარი
მოდიოდა ქალი და კაცი რომ შუკაში არ ეტეოდა ჩვენ ეტე-
ლით ვიდექით და გამოგვიარეს უმზერდით კაცს ენახა იტყო-
და ქრისტიანები არიანო თვარა ამ ქალებზედ ამდენს რათ
ირჯებიანო ის ქალები წაიყვანეს ერთს სასახლეში დააყენეს
მოძღვრით გამდლით მასწავლებელითა იქიდამ ვინ ვის ით-
ხოვდა ზითევს ზოგს ას მარჩილს, ზოგს მეტს მისცემდენ
და ქორწილს უზემდენ ამავ დღეს წმიდის პაპის ჯანიშინი მო-
ბრძანდა გვნახა დია კაის კაცს აქებდენ ყოველი სული, ყმაწ-
ვილი კაცი იყო, ასე ამბობდენ კარდინალობას მისცემენო
ფლორენციის მთავარ-ეპისკოპოსი მოვიდა და ერთი სხვა ეპის-
კოპოსი მოვიდა მაგრამ ასეთი კაცი იყო, გულები დაგვტაცა
და ზედ მიიკრა:

ვ: ენკენის თთვეს სხვა კარგი მონასტრები მოვიდო-
ცეთ დიად შემკული:

ზ: ენკენისთვეს წაგვიყვანეს, ერთს ყველა წმიდის მონასტერში დიაღ დიდი და კარგი შემკული მონსტერი იყო. ერთი წმიდა ლუკა მახარებლის დახატული ხარება იყო მისს სანახავად თუ არ დიდს მეფეს და მისს ძმასა და შვილს არ აჩვენებდენ ასე მოატყუდა ის ქალაქი რომ მისი გახსნა შეიტყვეს გზა ველარ ვიშოვეთ სამჯერ კარზედ მივედით ვერ შევედით მერმე გრანდუკას მეთოფეებმა ძლივ გზა იშოვნეს მე შემათრიეს ვერც მოვენე ვერავინ შემომყვა გარედამ ვეცხლით მოჭედილი კარგათ, და უფერავად, და კაი. თვალები დიდრონი ისხდა ის ჩამოუშვეს ძირისაკენ ჩავიდა. მართ ორი ადლი განი ჰქონდა და სიგრძე უფროსი მერმე ოქროთ დაფერილი კარი იყო და მრავალი კაი და ძვირ-ფასი თვალი იჯდა მაგრამ ერთი ლურჯი იაგუნდი იჯდა ერთის შუათანას ვაშლის ტოლი მართლა კაი ფერი და წყალი ჰქონდა, ხუთი დიდი წითელი თვალი სხვა იჯდა, არც ლალი იყო, არც იაგუნდი მაგრამ კარგი რამ თვლები იყო ცუდი არა იყორა, ხუთი ყვითელი იაგუნდი დიდრონი, გამიკვირდა კაი წყლისა და ფერისა სხვაც მრავალი ზურმუხტი სხვა თვალი, მერმე ის კარი ჩამოუშვეს, მერმე ბროლის კარი ჰქონდა ისიც ჩამოუშვეს ყველა წმინდა და გაბრიელ დახატული. მაგრამ ძველობა მაგდენი რომ მართებდა არ აჩნდა გაბრიელ წინ-მდგომი მარიამ მაღლა იკედებოდა მერმე ისევ დასურეს და დაკლიტეს წამოვედით იმ დღეს ჯარის ჯრილობით ერთი დედაკაცი. და ერთი ყმაწვილი მომკუდარ იყო გრანდუკას საუნჯის სანახავად წაგვიყვანეს, თავად სახლები ასე რიგად. მორთული იყო კაცი ამას იტყოდა სამეფო სასახლე უნდა იყოსო, ორ-პირად გრძლად ერთი ცხენი დაიდალებოდა სულ გათლილი ქვის სვეტი, მერმე მაზედ საოსტატო სახლები, და იმას ზეით საუნჯის სახლები ცოტა რამ გვაჩვენეს მაგრამ საჩვენებლად კმარ:იყო, გარშემო სულ დერეფანი, და ძირს ვინ იცის რამდენი ასი კერპი ან ძველი მეფეთ სახეები იყო გათლილი ზოგი მარმარილოსი ზოგი ალაბასტრისა, ზოგი პორფირისა, ზოგი პარაგონისა. საკჳრველები, და ზეით დახატული სატები ზოგი მეფეთა, ზოგი გრანდუკას გვარისა, ზოგი პაპეისა, ზოგი კარდინილებისა, ზოგი ხვანთქრებისა, და ოსმალებისა. ვისიც ამისთანაები ერთს სახლში შევგიძლვნენ რაც საფრანგეთში ჴელოვანი მხატვარი კაცი თუ ქალი გამოსულ-იყო, თავეთის ჴელით თავეთი სახე

დახატული იყო, იქიდამ სხვა სახლში შეგვიყვანეს მრავალი უცხო ფაიფური. დიდი ბადიები, დიდი ლანგრები. დიდროვანი ქვევრები, სხვა ჯამები, თეფშები, და ფიალა· ჩვენ რომ სქელს ბალღამს ჩინურს უძახით, ისინი ეგვიპტურს ჭურჭელს ეძახიან, დიაღ კაი და დიდრონი ჭურჭლები იყო, იქიდამ სხვა სახლში უკეთესები დაუმრავლესი. მერმე იქით წაგვიყვანეს ხუთიოდ სახლი გვაჩვენეს მაგრამ რას იტყვის კაცის ენა, თავ-გაუსვლელი სრულობით. მურასა გულქანდა ისე ოქროთ. ბროლი იამანი. ეშმი. აკატი. მთელ მთელი დათლილი. ხომალდები. ჭურჭლები. ფრინველები, ჯამები ტაშტები. ალთაფები ლაჟვარდისა მთელები· ასეთები ვნახე. სხვის მეფისაში იმ სიდიდე ჭიქის ჭურჭელი ვერ ვნახე. ერთი მარგალიტი ვნახე. თავი ვერცხლისაგან მოებათ და ტანი მწოლარე ლომის მსგავსი იყო ერთი სხვა მისი უფროსი მარგალიტი იყო, მაგრამ ფერადისი ჰსჯობდა ტრედის კვერცხის ოდენი ვერ იყო, და უსწოროც იყო, მაგრამ ზურმუხტები, და ყვითელი იაგუნდები დიდრონი და კარგ ფერები ვნახე. ერთი ინდი ლალის ქრისტეს სახე გათლათ და ინდი ლალის ფიალა· და მაგისთანები უცხოები მრავალი და უცხო რიგი ხატები, ზოგი ძველისა ზოგი ფერადის თვალებისა შეწყობილი ვნახე კაბა ლაჟვარდისა ეცვა, წამოსასხამი პორფირისა, პერანგი თეთრის იამანისა მთელი გათლილი. ამ გვარად მრავალი ტანის-სამოსი ფერად ფერადად, და ქალების ლეჩაქი თეთრის იამანისა ვნახე, სკივრები, ფერადი იამნები, და თვალები სილის მსგავსად და თლილი, სხალი ვაშლი, ყურძენი გაპობილი ბროწეული, ქლიავი ბალი თავვეთის ფოთლით, მტოდ შეწყობილი ვნახე სკივრები ყვავილები დთლილი მთელს ყვავილისავით გამოყვანილი ვნახე სკივრები თვალები და თლილი მხატვარსავით ყვავილი მფრინველი დახატული ვნახე ტაბლები მფრინველი სულ თვალები შეწყობილი დახატულსავით ვნახე ქალაქები ზღვები ხომალდები, ციხეები, ომები, სულ თვალი დათლილი შეწყობილი დახატულსავით ვნახე ხატი ხარებისა, შობისა· მოგვთ- მოსვლა, მარტო ყველა წმიდა. ფერადის თვალებით. შეწყობილი. როგორც ვეცხლით გამოყვანილი. მართალს ცოცხლებსავით. ვნახე. წვლილის კენჭებით დახატული ხატები. კაცის სახეები თევზის სახეები ვნახე, სახლი სადაფებით ღშენებული და სხვა, და სხვა რიგი, ხელა ყვავილი გამოყვანი-

ლი, არა თუ გათლილის სადაფით მთელ მთელის სადაფით
ვნახე ქარვის ჯვარები, ხატები, სკივრები, ტაშტები, მთელი
ფიალები. მთელი, კათხები მთელი, და სხვა შეწყობილი, ქარ-
ვის სომლი, ოცდა ოთხი სანთელი აენთებოდა. და ქვეშ სულ
ხატები. წმიდათ სახეები ჰსჩნდა. ქარვის მთელი კოლოფები,
საათის ბუდეები შეწყობილი სასანთლები, თევზის კბილის
უცხო ჯვარცმაები, ფილოს ძვლის უცხო და უცხო გარდა-
მოხსნაები, უცხო და უცხო ხეები, ყვავილები ხატები, ჯაჭვე-
ბი, ძვლუნის ზომაები, ამ გვარები მრავალი უცხო, ვნახე თა-
ვის ბუნებით, ფერადი ხეები შეწყობილი ყვავილები და მფრინ-
ვლები, ერთს უცხოთ იქ ესეც უცხოდ ჰსჩნდა ვნახე უდის ხე
ხუთს ადლამდის, სიგრძე და აქა იქ მტო მოკლეები ჰქონდა,
სისხოც წვივის სისხო იყო, იამანის გათლილი ხატები ფე-
რად ფერადი ეშმასა, და ამისთანაები. ფიროზის გათლილი ხა-
ტები, ფროფირის ქვისა, წმიდა კელად ნაქმარი, სხვა მინაქარი
და ოქროსი: და ან მაგ გვარი რამ უანგარიშო, იქიდამ ჩაგ-
ვიყვანეს საოსტატო სახლებში, საცა ამაებს აკეთებდენ. ქვას
როგორ სერსავდენ როგორ ყვავილებსა დახილებს ჰსჭრიდენ, რო-
გორ წყალს აძლევდენ ხეს როგორ ჰსთლიდენ. რკინასროგორ აკე-
თებდენ, ძვალს როგორ ჰსთლიდენ, იამანს როგორ ჰსჭრიდენ, ესე-
ები გვაჩვენეს, როგორ აწყობდენ, როგორ აკეთებდენ. ერთს
სახლში შეგვიყვანეს. ეკკლესიის ქება რომ დავჰსწერე, მისი
ტრაპეზი, და ზიარების კიდობანი, იქ, იდგა, ზოგი გაკეთე-
ბინათ, ზოგს აკეთებდენ ზოგისა ნიშანი იყო, ისე უნდა გა-
კეთებინათ, მრავალი კაი თვალი ზურმუხტი. დიდრონი ყვი-
თელი, და ლურჯი იაგუნდი, ისხდა თვარა ფერადი აკატი ია-
მანი და ეშმი სულ ის იყო. შეწყობილი. ზოგი საუფლოდ,
ზოგი ყვავილად ზოგი ძველის ჰსჯულის სახედ. მოციქულები
მთელ-მთელი. სხვა და სხვა ქვისა, სხვის ქვის ფერანგი სხ-
ვის ქვის სამოსელი სხვის ქვის წამოსასხამი სულ პატიო-
სანი ქვებისა. რომ ეგონებოდა, ფარჩის ტანისამოსი აცვია
და თავ თავეთი სატანჯიელი. კელთ ეჭირათ მაგრამ ამის მე-
ტი, სხვა სალარო არა გვინახავსრა და სრულობით ასე ამბობ-
დენ. გრანდუკას ეკკლესია, და სალარო არას მეფეს არა ჰქონ-
დეს მაგრამ ეკკლესია ნახევარზედ გათავებული არ არის და
სალა რო ამის მეტი არ გვინახავს მაგრამ რაც ვნახე ერთის
მეფისა თჳს დიდი საქნელია თუ გასინჯავთ.

ტ: ენკენის თვეს ისევ გარანდუკამ გვნახა, გამოგვესალმა. ერთს კარს გარეთ გამომყვა. ალი-კორნაძლის ნავი. და რასაც ხანს ალი-კორნას ვიდევით. ხარჯი დაგვიწერა გამოგვისტუმრა იქიდამ წაგვყუვანეს, ასალი წმიდა მარიამ მაგდანელელის საფლავზედ, დედათ მონასტერი იყო კარგი ეკკლესია ფერადის მარმარილოთი აღშენებული, ეს მარიამ მაგდანელელი· ფლორენ-ცაული თავადის ქალი ყოფილა. მარიამ მაგდანელისა ლოცვით ძისცემია მისი სახელი დაურქმევა. ქმარი აღარ უნდომებია, წმიდის ტერეზიას რიგის ქალწული შექმნილა მრავალი უცხო საკვირველი უქმნია. ქრისტე მრავალ-გზის გამოსცხადებია. ას და ათის წლისა მიცვლილი იყო, ოღონ კორცი მომაყრობოდა თვარა არც ცხვირი. არცა წარხდომოდარა. ისევ მთელი მძინარესავით ბროლის კუბოში ოქროთ მოჭედილში ესვენა. უცხო და ძვირფასი. მურასა გვირგვინი ესურა კაი ძვირ-ფასი ბეჭედი ეცვა. კაი ჯვარს-ცმა მურასა გულზედ ესვენა. პირი კელები და ფეხები უჩნდა, სხვა კაის ზარბაბებით შემოსილი იყო. იმათმა ეხკრატისებმა გვნახეს გვალერსეს იქიდამ წამოვედით, გრანდუკას სამხეცოში შეგვიყვანეს ოთხი ლომი იყო. ერთი ხვადი. დიაღ დიდი, სამი უმცროსი. ძუ ხუთი ვეფხვი იყო. ორი დათვი ოთხი მგელი ორი მგლის დიდის ქოფაკის შვილი მგლებს უფრო გვანდა და შავი იყო. ოთხი ტურა იყო. ყაჯირი არწივი. ამისთანაები, დიდრონი ქოფაკები მართ იმ ძულომებს უფრო იყო. დიაღ დიდრონი იყუნენ ლომებსაც ეტყობოდა სამძლოდ ნაქმარი რამ იყო. მათი ადგილიც კარგა გარიგებული იყო. მერმე სამადლო ადგილი გვიჩვენეს· ერთი ქსენონი სხვებიც იყო. მაგრამ ჩვენ ეს ერთი ვნახეთ. ათასის სნეულის ლოგინი იყო. მაგრამ ჩვენობას ოთხას სამოცდა ექვსი სნეული იწვა. ვაჟკაცნი ცალკე ბერი კაცი ცალკე, და ყმაწვილები ცალკე, ქალები ცალკე, ბებერები ცალკე, და დედაკაცები ცალკე. საპატიო კაცების ლოგინი სხვაგან იყო. კარგი მორთული, ორის მეტი არავინ იყო, მისი სააქიმო, და საჯარო გვაჩვენეხ, მაგრამ სააქიმომ გამკვირვა. მე ასე მგონია ასი ქვევრი თვითო საპალნისა სულ მალამო იყო, სხვას გარდა, მე ხომ მეტი მგონია. სხვას წამლებს გარდა ის, თორმეტი კაფუჩინი მსახურებდა.

განგრძელება შემდგომ ნუმერში.

## სოფლური სახლის პატრონობა.—

### მურაბის და ჟელეს გაკეთება.

სიროფი მურაბისა თვის უნდა გაკეთდეს ამ გვარად:

ერთ გირვანქა შაქარს უნდა ორი ჩაის ფინჯანი წყალი. დადგი სიროფი აადუღე ქაფი მოხადეთ წმინდათ. სილი უნდა ხუთ გირვანქა შაქარზედ ათი ფინჯანი მაშინ იქმნება კარგი მურაბა, შეიძლება ხუთ გირვანქა შაქარზედ თორმეტი, ფინჯანი სილი სამურაბე, მაგრამ მეტიკი აღარ შეიძლება.—

1, მალინისა ანუ ჟოლოს მურაბა; მოუმზადეთ სიროფი როგორაც ზემო სწერია, რომ ადუღდეს, ჩაყარეთ ჟოლო როგორცა მზათ იქმნება, თეფშებზედ დაასხით ამოიღეთ კოვზით ჟოლო სიროფი გაუწურეთ რომ კურწები არ შეჰყვეს და ჩაასხით ბანკებში.—

2, ალუბლის: გამოიღეთ კურკები, გატეხეთ გული ამოიღეთ და ალუბალში ჩასდევით, მოამზადეთ სიროფი აადუღეთ როგორც ზემოთ სწერია.—

3, ვაშლისა. მურაბისათვის ტკბილი ვაშლი უნდა ამოირჩიოს გაფცქვნათ მიხაკები უნდა ჩაურჭვათ მოამზადოთ სიროფი და ჩააწყოთ შიგ ვაშლები. შიგ რომ მოიხარშა ასე უნდა შეატყოთ რომ გახდოთ მინასავით ნათლად გამოჩნდება.—

4, მსხლისა. გაფცქვენ მსხალი; თავი მოსჭერ ცოტა, კურკები ამოიღე დანით, დადგით ქვაბით წყალი, როცა წყალი ადუღდება, ჩაყარე მსხალი, ნახევარ საათი ხარშეთ, მერე საცერზედ დაჰყარეთ, წამადუღეთ სიროფი, ჩაყარეთ და ხარშეთ ამასაც ვაშლისავით შეეტყობა როცა მოხარშული იქმნება.—

4, კომში. გაფცქვენი თითო კომში. დასჭერით ნაჭრებად, კურკები ამოიღეთ ნახევარ საათი წყალში ხარშეთ, მერე გადასწურეთ საცერში მოამზადეთ სიროფი ერთს გირვანქა შაქარს ორი ფინჯანი წყალი უყავით, როცა სიროფი ადუღდება ჩაყარეთ კომში, აადუღეთ მანამდის, კარგათ მოიხარშება და სიბრწყინალე ექმნება.

5, კომშის ჟელე. გაფცქვენით კომში კურკები ამოიღეთ, დასჭერით წვრილად, მოხარშეთ წყალში კომში იმდენი უნდ იყოს რომ ნახევარი ტაფა ამსოს, იმდენი აადუღეთ მანამდი

კარგა არ მოიხარშოს, მერე როცა რბილი გახდება გაწურეთ
ერთათ სალფეტკაში მერე გადმოასხი წვენი სტაქანში ორ
სტაქან წვენს სტაქანი შაქარი უყავ დადგი ხარშე და ქაფი ხა-
დეთ როცა გინდათ რომ შეიტყოთ მოხარშულა ჟელე თუ
არა, უნდა ორი კოვზი ჩაის ფინჯანზედ დაასხა, თუ ცივდება
და შეიკრა, მზათ არის. თუ ძალიან მოიხარშა მაშინ უნდა
გადმოიღოს ცეცხლიდამ თუ ძალიან გადაიხარშა მაშინ კარგათ
არ შეიკვრის და ძაფება დაიწყობს, გადმოასხით რომ გაცივდეს
ბანკაში ჩაასხით.—

6, ვარდის მურაბა. ვარდი დარჩიეთ ფურცლებად, მოკვეცეთ
თეთრი თავები, და თითო ფურცელი ან ორათ ან სამათ გას-
ჭერით. ორი გირვანქა ვარდის ფურცლისათვის ორი ლიმო-
ნი მოიტანეთ გამოსწურეთ წვენი ლიმონისა დააყარეთ ნახევარ
გირვანქა შაქარი დაფქული დასრისეთ ამ წვენში ვარდის ფურ-
ცელი; მოამზადეთ სიროპი ერთ გირვანქა ფურცელს ოთხ
გირვანქა შაქარი 12 ფინჯანი (წყალი) როცა სიროპი ადუღდე-
ბა ქაფი მოხადეთ და ჩაყარეთ ფურცელი როცა მზათ იქმნე-
ბა ამით შეიტყობთ ფურცელი მაღლა არ დაიწყებს ცურვას
და დარბილდება მაშინ ჩამოიღეთ ცეცხლიდგან გადმოასხით
ჯამში და ერთს დღეს უკან ჩასხდევით ბანკაში.—

7, კოწახურის. გამოიღეთ კურკები კოწახურიდგან მოამზა-
დეთ სიროპი ქსრეთ, გირვანქა შაქართან ორი ფინჯანი წყალი
და ორი ფინჯანი კოწახური შემდგომი როგორც სხვა მურაბა-
ებს.

8, შინდის. გამოიღეთ კურკა მოამზადეთ სიროპი ერთ გირ-
ვანქა შაქარს ორი ფინჯანი წყალი, ორი ფინჯანი შინდი და
შემდგომი როგორც სხვა მურაბებს.—

8, ყურძნის. მოიტანეთ მწიფე ყურძენი, შემოაძრეთ ნელა
ტყავი; გამოიღეთ კურკები. მოამზადეთ სიროპი (ერთ გირვან-
ქა შაქარს ორი ფინჯანი წყალი) მოიტანეთ ყურძენი ჩაყარეთ
ჯამში, დასხით ცხელი სიროპი, დადგით ცივს ალაგს ერთი
დღე და ღამე ერთს დღეს უკან გადმოასხი სიროპი ნელა, შე-
მოდგი და აადუღე როცა ადუღდეს სამი გირვანქა შაქარი თუ
არის ერთი მისხალი ბადიანი უყავით ნახევარ საათი ხარშეთ,
გადმოასხით გააცივეთ და ჩასხით ბანკაში.—

მურაბა უწყლოთ. ყოლის ბალისა, ალუბალის მარწყვისა, შეიძ-
ლება მოიხარშება მურაბა მშრალათ: მოამზადეთ ხილი უკურ-

ყოთ როგორც მურაბის რიგია, ერთს გირვანქა ხილს გირვანქა ნახევარი შაქარი უნდა დაფქული გაცრილი ჩაყარეთ ტაფაში ერთი პირი შაქარი, მერე ჩაყარე ერთი პირი ხილი. მერე დაყარე ზეიდგან შაქარი. მასუკან კიდევ ხილი, და მასუკან კიდევ შაქარი, დადგი ცეცხლზედ ხილი თავის წვენს გაუშვებს, როდესაც მოიხარშება, გადმოასხი ჩაის ჯამზედ გაცივე და ბანკაში ჩაასხი ეს უნდა იცოდეთ ორ რიგ ან სამს მეტს ნუ ჩაყრით ხილსა.

მეორეთ მოხარშეთ თუ მეტი გინდათ მურაბა დიდხანს შეინახება.

უმაღლესი რესკრიპტი სახელსა ზედა კავკასიის ნამესტნიკისა.

კნიაზო მიხეილ სიმონის ძევ!

დასასრულსა წარსულისა წლისა, შესრულდა ორმოცდაათი წელი, იმა დროიდგან ოდესცა შეხვედით თქჳენ სარბიელსა ზედა სამხედროს სამსახურისა— დაწყებიდგანვე აღმოაჩინეთ თავი თქვენი უმაგალითო სიმხნისა ღვაწლითა, თჳთ იმა მხარესა, რომელსაცა მართავთ ჩემის მოადგილის სახელ-წოდებით; თქჳენ მიიღებდით თჳთ უბრწყინვალესთა მონაწილეობათა ყოველთა ბრძოლათა შინა აღსრულებულთა მეფობისა ჟამსა ალექსანდრე 1-ლისასა; აღმოსჩნდებოდით ყოველთვი სუმაღლესითა სამხედროითა მხნეობითა, და ყოვლითა კეთილგონიერებითისა მხედართ მძღვან თჳსებითა.— ესრეთვე დიდ არიან და მყარნი ნამსახურობანი, უკანასკნელ თურქთა ბრძოლისა დროთა ჟამსა ვარნის ციხის დაბურობისასა, თქჳენ მოწოდებულ იყავით მმართჳელად ნოვოროსიისა და ბესარაბიისა მხარისათჳს, თქვენ აღმოაცენეთ ყოველნი შტონი ხალხთა სიმდიდრისა და დადგინეთ ადგილობრივი მართებლობა მიიყვანეთ მხარე ესე ესოდენ უმაღლეს ხარისხა ყვავილოვნებადმდე რომელთა ზედა აწ მდგომარეობს; ღირსად აღვიარე რა, ღირსებანი თქვენნი მე სრულითა რწმუნებითა მოგანდეთ თქჳენ წოდება კავკასიის ნამესტნიკისა და მთავარ მართებლისა ოტდელნის კავკასიის კორპუსისა და თქჳენ სრულებით განამართლეთ ჩემი იმედი; სამოქალაქოს ნაწილში თქვენის დაუძინებლისა მოქმედებითა და შრომითა ჰქმენით კვალად დიდნი წესიერებანი და შესანიშნავნი უმჯობესობანი, რომელნიცა უეჭველად იმსახურებენ კეთილ წესიერებათათჳს მხარისა და ისაშუალებენ კეთილ მდგომარებისათჳს ყოველთა და თვითვეულთათჳს, რომელიცა შეადგენს უპირატესსა ჩემსა სურვილსა.— ერთგვარისავე კმაყოფილებითა ვხედავ, რომელ სამხედრონი საქმენი კავკასიასა შინა მიისწრაფიან მიწთომად ჩემგან ნაჩვენებისა საგნისადმი; თანა უძლევიან მარადის გამარჯვებანი და აღმოსჩნდნენ ბრწყინვალითა ძლევითა: ჩაჩანთა დაღისტნელთა; და მარჯვენა ფლანგის კავკასიის ლინიისასა.— დამოწმება ჩემის ყოვლად საყვარელის შვილისა მისის იმპერატო-

რების უმაღლესობის მემკვიდრის ცესარევიჩისა, ოდეს უკუნ იქცა კავკასიიდგან. მსახურებენ მე დასაკმა-ყოფილებლად, რომელ მხედრობანი კავკასიის კორპუსსა შინა რაოდნიცა არიან მხნენი ბრძოლასა შინა, ესე ოდენვე დაუღალავნი შრომათა შინა, მიყ-ვანილ არიან უმჯობესსა ყოველთა გარემოებათა შინა წესი-ერებადმდე და მხედრულის განათლებადმდე.—

რათა განვიცხადო თქჳენ ჩემი კეთილ თქვენდამო მიდ-რეკილება და ჩემი გულითადი მადლობა ღირს საქებართა თქვენ-თა შრომათა თჳს, უმაგალითოს სასარგებლოდ ტახტისა და მამულისათჳს შემწირველობისათჳს მე აღვიარე ჭეშმარი-ტებად მივუთვისო თქვენგან მიღებულსა წოდებასა შთამოსი-რულთა თქჳენთა ნათესაობათა კნიაზობისა ღირსებასა ტიტუ-ლი უგანათლებულესობისა.— ვგიე თქვენდამი მარადის უცვ-ლებელ და კეთილ მიდრეკილი.—

ნამდვილსა ზედა ჴელს აწერს ნიკოლოზ.

—

ბრძანებითა უგანათლებულესის კნიაზის მ. ს. ვორონცოვისა დაიბეჭდა მოხილუა ტიმოთესი.- დაბეჭდვადზედა ამა წიგნის მშრომელსა კოლლეჟსკის სოვეტნიკს პლატონ იოსელიან დაურთავს მუნ წინა-სიტყუაობა შემდგომი:

მწერალი წიგნისა ამის ტიმოთე, იყო ქართუელი, გუა-რით გაბაშჳლი. აღიზარდა იგი კათოლიკოზ ბესარიონს-თან, რომელმანცა დაიპყრა საჭე ეკკლესიის განმგეობაი-სა თურქთა ჟამსა, შემდგომად განდევნისა ჰატიმრად ტე-ნედოსის ჭალაკში კათოლიკოზისა დომენტისა.

ოდეს, ვითარ, დასადა განვლო ხარისხნი მონოზონე-ბისა, ჯერა ჱსჩანს წერილთაგან. მხოლოდ ვუწყი მუცლთა საქმეთაგან უწმინდესისა რუსეთისა სინოდისა, სადაცა განვვლე მე ორი წელი მსახურებისა (1), რომელ წარ-გზავნილ-იყო იგი იმერეთით რუსეთად 1738 წელსა

(1) 1843 და 1844.

ხარისხით ქუთათელ მიტროპოლიტისა, იმერთა მეფისაგან ალექსანდრე გიორგის-ძისა დესპანად წინაშე იმპერატრიცა ანნა იოანოვნასსა. მისრულმან სანკტპეტერბურღს მიართჳა არზა უწმინდესსა სინოდსა ივლისისა თთჳესა 1738 წელსა და ითხოვა, რათა ჰსცენ მას ნება უსისხლოჲსა მსხჳერპლისა შეწირჳსა [2].

სხჳსა საქმისაგან, სახელდობ თხოვისა-მებრ ქრისტეფორე წილკნელ მიტროპოლიტისა [3], ჰსჩანს, რომელ; ესე ქრისტეფორე 1764 წელსა, ევედრა არზით სინოდსა, რათა შემთხჳევისა-გამო გარდაცჳალებულისა ამავე წელსა ივლისის თთჳეში ქალაქსა ასტრახანს ტიმოთე ქართჳელთ მიტროპოლიტისა, მიჰსცენ მას მისი ადგილი.

ამა საქმეთაგან ჰსჩანს, რომელ პირჳელ მოგზაურობისა საბერძნეთად, ტიმოთე იყო რუსეთსა, ვითარცა მღჳდელ-მთავარი ქუთაისისა და შემდგომად დაბრუნებისა რუსეთით, ვითარცა თჳთცა ჰსწერს [4], მიიღო მან კათედრა მთავარ-ეპისკოპოსობისა, რომელიცა იყო პირჳელი შემდგომად კათოლიკოზობისა; და ჟამსა განდევნისა ქართლით რუსეთად დიდისა კათოლიკოზისა ანტონისა ლათინთა ეკკლესიისა თანხმობისათჳს, ესე იგი 1754-სა, ამანცა ტიმოთემ, ვითარცა თანა-აღზრდილმან მისმან, ლტოლჳა ჰყო საბერძნეთად და ვჰგონებ უნებლიეთ განეშორა ეპარხიასა თჳსსა, ანუ მიზეზითა მით წყენითითა, რომელ არა მას, უპირჳელესსა იერარხსა, მიენდო განმგეობა კათოლიკოზობისა, არამედ რუისისა არხიეპისკოპოსსა იოსებს.

---

[2] 1738 წლის არხივის № 360.

[3] საქმე 1761 წლისა № 196.

[4] იხილე ამა მისისა წიგნისა გჳერდი 42.

შემდგომად პალესტინისა და საბერძნეთისა მოხილჳსა, უკუმოიქცა ქართლადვე 1757 წელსა, და დამთენილმან უეპარხიოდ, ადირჩია სადგურად დავით-გარესჯისა უდაბნო და იწოდებოდა, ანუ უწოდებდა თჳთ თავს თჳსსა, იერუსალიმელად (5).

რაოდენთ წელთა დაჰყო აქა, არა ჰსჩანს. მხოლოდ დღესცა არს მას მონასტერს საფლავისა მისისა ქჳა, თჳთ მისგანვე განმზადებული; და დღესცა ძმათა ამა უდაბნოისა უწყიან მტკიცედ, რომელ მთავარ-ეპისკოპოსი ტიმოთე, რომელმანცა შეიმზადა თჳსდა ქჳა საფლავისა, არა არს მუნ დასაფლავებული.

შემდგომად, წარსრული რუსეთად, მივიდა ასტრახანსა და გარდაიცვალა მუნ თთუესა ივლისსა 1764 წელსა.

წიგნისაგან ამის, აღწერილისა მისგან, ჰსჩანს, რომელ იყო იგი კაცი განსწავლული; მოისმინა კატიღორია, დიალექტიკა და კავშირი პროკლე დიადოხოსისა, მის ჟამისა მეცნიერებისა წიგნნი და აღმოვსებისათჳს სიბრძნისა წყარონი. — დიდად იყო დახელოვნებული საღმრთოთა შინა და საეკკლესიოთა წერილთა და ვჰგონებ, თანამოწაფეცა კათოლიკოზისა ანტონი პირველისა.

ესწავა მცირედ ბერძული (6) და უწყოდა კარგად ენა თათრული (7).

წიგნი ესე, შემოწმებით ორთა სხუათა ესევითართა თანაჰმა, დაიბეჭდა თანხმად იმა ძუელისა დედანისა, რომელი-

(5) გუერდი 9.

(6) გუერდი 63.

(7) გუერდი 44.

ცა ვჰპოვე გარდაწერილი 1787 წელსა (8), თელავის სემინარიის რეკტორის დავით ალექსის-ძისა ჴელითა (9).

გუერდებზედ აქუნდა ამას უძუელესსა ჴელ-წერილსა, გარდანუსხულსა ოც-ოდენ წელ შემდგომად გარდაცვალებისა თჳთ ტიმოთესსა, — მცირედნი შენიშუნანი; და ესენიცა აქავე დაურთენ სხოლიოდ. სხუანი ესე-გუარნი, რომელნიცა ვჰგონე ჯეროვან-სასარგებლოდ მკითხუელთათჳს, განსამარტებელად და დასახსნელად რაოდენთამე სიმძნელეთა, ჩემით დაურთენ.

ვიმედეულებ, რომელ მკითხუელნი ამა წიგნისა, ჩემთა ამათ შენიშუნათა, მიიღებენ არა განკიცხვითითა უურადღებითა.

---

(8) ქორონიკონსა ჳოე.

(9) უკანასკნელსა ფურცელზედ ამის დედანისა, რომელიცა მკუთუნის დეისტვიტელნის სტატსკის სოვეტნიკს თავადს ნიკოლოოზ იოსების-ძეს ფალავანდოვს, ესრეთ იყო თჳთ მწერალისაგან მიწერილი:

ესე წიგნი გაბა-შჳლის ტიმოთე მთავარ-ეპისკოპოსისაგან გაკეთებული, მთა-წმინდისა და იერუსალიმისა და სხუათა ადგილთა მოხილუა, რომელი თჳთ ესილუა, ყოველივე აღეწერა და ესთა წიგნად ექმნა. ხოლო მე მაღალ-კეთილ-შობილმან ალექსის-ძემან, სრულიად კახეთის სამეფოს, თელავის ქალაქს რეკტორმან, ფილოსოფიისა და ღუთის-მეტყუელებისა მოძღუარმან დავით აღვჰსწერე წიგნი ესე გარდანუსხჳთ; და ვინცა ამისგან კითხჳთ და ამბის შეტყობით ირგოთ, ლოცუა-ჰყავთ ჩემ მშრომელისათჳს.

აღიწერა წიგნი ესე თთუესა მარტსა, რიცხუსა ია, ქორონიკონს ჳოე.

მაღალ-კეთილ-შობილი ალექსის-ძე რეკტორი დავით.

მიუძღუნია წიგნი იგი მათისავე უგანათლებულესობისათჳს

## ლექსთ-თხზულება.


1. ბაღჩა სარაის. . . თ. გ. ერისთავის.
2. გარემისა სათვალავნი. . თ. გ. ერისთავისა.
3. სიმღერა მაზურკის ხმა. თ. გ. ერისთავისა.
4. სოფლის მღურჭა სიბერისათჳს. თ. დ. ბაგრატიონისა.
5. მეფის ვახტანგის ლექსნი.—
6. ძველთა და ახლთა ქართველთა მოწერალთა სახელნი მეფის თეიმურაზ პირველისაგან. .
7. პეტრე ბაგრატიონისათჳს სიტყვა რუსულად ალექსანდრე ანვერდოვისა . . .


## პ რ ო ზ ა.


1. მოლანურის მოთხრობა თ. გ. ერისთავისა.


—

## ჰსწავლა და ხელოვნება.


1. მოგზაურობა . . საბა ორბელიანისა.
1. სოფლიური სახლის პატრონობა.
1. მურაბის გაკეთება . . თ. გ. ერისთ.
სხუა და სხუა ცნობანი.
უმაღლესი რესკრიპტი სახელსა ზედა კავკასიის ნამესტნიკისა.
ახალი გამოცემული წიგნი მოხილვა ტიმოთე ეპისკოპოსისა.